

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარიამ მაჭავარიანი

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის
ფორმირება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“
შიფრი: 0713

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0166, საქართველო
ივლისი, 2021 წ.

საავტორო უფლება © 2021 წელი, მარიამ მაჭავარიანი

თბილისი
2021 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მარიამ მაჭავარიანის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

....., 2021 წელი

ხელმძღვანელი: პროფესორი დ.ჩომახიძე

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2021

ავტორი: მარიამ მაჭავარიანი

თემის დასახელება: „საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად“

ფაკულტეტი: ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: 2021 წ.

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომში „საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად“ დასმული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით შესწავლილია ელექტროენერგეტიკული ბაზრების ფორმირების მსოფლიო გამოცდილება, აღწერილია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაციის წინაპირობები, გაანალიზებულია ევროკავშირის ელექტროენერგეტიკული ბაზრის დირექტივები და რეგულაციები, დეტალურად არის ჩამოყალიბებული საქართველოს არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი, მისი სპეციფიკა და ხაზგასმულია არსებული ბაზრის მოდელის ტრანსფორმაციის აუცილებლობა, განხილულია ევროკავშირისა და ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებში მოქმედი ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელები და ახალი ბაზრის მოდელზე გადასასვლელად ჩატარებული ღონისძიებები და შესწავლილია აღნიშნული ქმედებების შედეგები ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე, გაანალიზებულია ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმის პროცესში საქართველოს მიერ არჩეული გზის დადებითი და უარყოფითი მხარეები, საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოთავაზებულია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ალტერნატიული გზა, რომლის მეშვეობითაც საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირება ევროკავშირის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან ერთად ნაკლებ დანახარჯთან იქნება დაკავშირებული.

I თავში განხილულია ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან გამომდინარე საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაციის წინაპირობები, წარმოდგენილია საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, აღწერილია ყველა ის მოთხოვნა, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში, გაანალიზებულია საქართველოს მიერ ე.წ. „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მიხედვით ელექტროენერგეტიკულ სექტორში გასატარებელი ყველა აუცილებელი ღონისძიება.

II თავში მოცემულია საქართველოს არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის დეტალური ანალიზი, წარმოდგენილია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოკლე მიმოხილვა, აღწერილია საქართველოს მოქმედი ელექტროენერგეტიკული ბაზრის გარდამტეხი მოვლენები, განხილულია არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურა და ბაზრის სუბიექტები, წარმოდგენილია არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზრების პირდაპირი ხელშეკრულებების ბაზრის, საბალანსო ელექტროენერჯის ბაზრისა და გარანტირებული სიმძლავრის ბაზრის თავისებურებები და მოყვანილია მათი მახასიათებლები, წყაროებზე დაყრდნობით მოცემულია

საქართველოს არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის 2019 – 2020 წლების სტრუქტურა და ბაზრის მდგომარეობა.

III თავში ჩატარებულია „ენერგეტიკული გაერთიანებისა“ და ევროკავშირის ქვეყნებში ელექტროენერგეტიკული ბაზრების შედარებითი ანალიზი. შედარებითი ანალიზისთვის შერჩეულია უკრაინისა და ხორვატიის რესპუბლიკებში მოქმედი ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელები. რატომ კონკრეტულად აღნიშნული ქვეყნების ელექტროენერგეტიკული ბაზრები? უკრაინა, საქართველოზე სამი წლით ადრე, 2011 წელს გაწევრიანდა „ენერგეტიკული გაერთიანებაში“. მას მოუწია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაცია „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუმცა უკრაინის მიერ ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმირების არჩეულმა გზამ სექტორი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ბაზრის გახსნის მიუხედავად, კვლავ მოქმედებს მკაცრი რეგულირების მექანიზმები და სექტორის მონაწილეებს უჭირთ როგორც მათზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება, ასევე ფინანსური ანგარიშსწორება, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს მთელ ელექტროენერგეტიკულ სექტორს. რაც შეეხება ხორვატიის რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკულ ბაზარს, მისი ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ 2001 წლიდან დაიწყო. რეფორმების შედეგად, ხორვატიაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის მცირე ზომის მიუხედავად, ოპერირებს კარგად ფუნქციონირებადი ელექტროენერგეტიკული ორგანიზებული ბაზრები. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზარი აწყობილია, სწორედ, იმ პრინციპით, რომელიც სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებულია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ალტერნატიულ გზად.

IV თავში აღწერილია საქართველოს მიერ არჩეული გზა ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებისკენ. დეტალურად არის გაანალიზებული რეფორმების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები, განხილულია საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც განაპირობა და დაარეგულირა ახალი ბაზრის მოდელის ჩამოყალიბება, აღწერილია არჩეული მექანიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეები საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით. აღწერილია ელექტროენერგეტიკული ორგანიზებული ბაზრების გამართულად ფუნქციონირებისთვის შერჩეული პლატფორმის სპეციფიკა. განხილულია, არჩეული გზის სირთულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანიზებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ამოქმედების ვადის გადადების მიზეზები.

V თავში მოცემულია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ალტერნატიული გზა, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარს გამართულად ფუნქციონირებასთან ერთად, მეზობელი ქვეყნების ელექტროენერგეტიკულ ბაზრებთან დაწყვილების შესაძლებლობა ექნება. ჩამოყალიბებულია ე.წ „დელეგირებული ბაზრის ოპერატორის“ არსებობის უპირატესობები. აღწერილია საქართველოს არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის

ოპერატორის - „ესკოს“ როლი ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე და მოცემულია აღნიშნული როლის გაძლიერების მნიშვნელობა და მისი დადებითი მხარეები არჩეულ მექანიზმთან შედარებით.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებული ალტერნატიული მექანიზმის გათვალისწინება, ელექტროენერგეტიკულ სექტორს, შესაძლებლობას მისცემს დათქმულ ვადებში გამართულად ფუნქციონირებასთან ერთად, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და დააკმაყოფილოს ევროკავშირის სტანდარტები.

Abstract

In order to solve the problems posed in the dissertation paper titled "Formation of the Georgian Electricity Market in Accordance with the EU Standards", the international best practices and experience in formation of electric power markets was studied; the preconditions for the transformation of the Georgian electric power market were described; the directives and regulations of the EU electric power market were analyzed; the model of the existing electricity market in Georgia was defined in detail, its specifics and the need to transform the existing market model were discussed; existing electricity market models in the EU and the Energy Community countries and the measures taken to move to a new market model were discussed and the results of these actions in the electricity markets were studied; the advantages and disadvantages of the path taken by Georgia in the process of reforming the power plant were analyzed; based on the specifics of the Georgian energy system, an alternative way of forming the electricity market was proposed, through which the formation of a new energy market in Georgia within the framework of compliance with EU standards will be associated with lower costs.

Chapter I discusses the preconditions for the transformation of the Georgian electricity market following the signing of the Association Agreement; presents Georgia's commitments to the European Union; describes all the requirements that need to be considered in the process of formation of a new electricity market in Georgia; analyzes all the necessary measures to be taken by Georgia in the electricity sector under the so-called "Third Energy Package".

Chapter II provides a detailed analysis of the current model of the electricity market in Georgia; gives a brief overview of the electricity market in Georgia; describes the current developments in the current electricity market in Georgia; discusses the structure of the existing electricity market and market actors; presents the specifics of the market for direct contracts of the existing electricity markets, the balancing electricity market and the guaranteed capacity market, and based on the sources, gives the structure of the existing electricity market in Georgia for 2019-2020 and the state of the market.

Chapter III provides a comparative analysis of energy markets in the countries of the Energy Community and the European Union. For a comparative analysis, the models of the electricity market in Ukraine and Croatia were selected. Why exactly the electricity markets of these countries? Ukraine joined the Energy Community in 2011, three years earlier than Georgia. It had to transform the electricity market to meet the requirements of the Third Energy Package, but Ukraine's choice of electricity market reform put the sector in a difficult position. Despite the opening of the market, strict regulatory mechanisms are still in place and it is difficult for sector participants to meet their obligations as well as financial settlement, which puts the entire power sector in a difficult position. With regard to the electricity market of the Republic of Croatia, its transformation began in 2001. As a result of the reforms, Croatia has well-functioning, well-

organized electricity markets despite the small size of the electricity market. The Croatian electricity market is structured in accordance with the principle proposed in the dissertation as an alternative way of forming the Georgian electricity market.

Chapter IV discusses the path taken by Georgia to create a new electricity market. The decisions made as a result of the reforms are analyzed in detail; the legislative framework that determines and regulates the formation of a new market model is discussed; the advantages and disadvantages of the selected mechanism are described, taking into account the specifics and characteristics of the electricity market in Georgia; the specifics of the platform selected for the proper functioning of the organized electricity markets are described. Due to the complexity of the chosen road, the reasons for the postponement of the launch of the organized electricity market in Georgia are discussed.

Chapter V presents an alternative way of forming the electricity market of Georgia, in case of the implementation of which the electricity market of Georgia will be able to be paired with the electricity markets of neighboring countries. The advantages of the so-called "delegated market operator" are outlined. The role of Electricity Market Operator - ESCO (which operates in Georgia) in the electricity market is described, and the importance of strengthening this role and its advantages in comparison with the chosen mechanism is indicated.

Consideration of the alternative mechanism proposed in the dissertation paper in the process of formation of the Georgian electricity market will enable the electricity sector to function properly within the set timeframe, fulfill its obligations and meet the EU standards.

შინაარსი

88

შესავალი.....	13
თავი 1. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაციის წინაპირობა.....	20
1.1. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები.....	21
1.2. მოთხოვნები საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში.....	34
1.3. საქართველოს მიერ „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში.....	37
1.3.1. განცალკევება.....	38
1.3.2 ბაზრის ახალი მოდელი.....	42
თავი 2. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის არსებული მოდელის ანალიზი.....	44
2.1. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის არსებული სტრუქტურა და სუბიექტები.....	51
2.2. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის 2019 – 2020 წლების მახასიათებლები.....	58
თავი 3. ენერგეტიკული გაერთიანებისა და ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი ელექტროენერგეტიკული ბაზრების შედარებითი ანალიზი.....	66
3.1. უკრაინის ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის მიმოხილვა.....	67
3.1.1. უკრაინის ენერგეტიკული სექტორის რეგულირება, მმართველობითი ორგანოები და პოლიტიკის გამტარებლები.....	68
3.1.2 უკრაინის საბითუმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერირება რეფორმამდე პერიოდში.....	69
3.1.3. უკრაინის საბითუმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმა.....	71
3.1.4. უკრაინის ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის გაშვების შედეგად წარმოქმნილი სირთულეები.....	76
3.2. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის მიმოხილვა...	83

3.2.1. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირება, სამთავრობო პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო.....	86
3.2.2. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი და ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეები.....	88
3.2.3. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული რეგულირებული ბაზრები, მისი მონაწილეები და საბალანსო ჯგუფის მოქმედი მექანიზმი.....	92
თავი 4. საქართველოს არჩეული გზა ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის ჩამოყალიბებისკენ.....	99
თავი 5. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ალტერნატიული გზა - ევროპეისის მაგალითი.....	120
5.1. დელეგირებული ბაზრის ოპერატორი.....	122
5.2. საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ალტერნატიული გზა.....	127
დასკვნა.....	133
გამოყენებული ლიტერატურა.....	136

ცხრილების ნუსხა

83

ცხრილი 1. 2019 წელს კვალიფიციური საწარმოების წილობრივი მონაწილეობა ესკო - ს მიერ შესყიდულ საბალანსო ელექტროენერგიაში.....	60
ცხრილი 2. 2020 წელს კვალიფიციური საწარმოების წილობრივი მონაწილეობა ესკო - ს მიერ შესყიდულ საბალანსო ელექტროენერგიაში.....	60
ცხრილი 3. 2019 წელს საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფი.....	61
ცხრილი 4. 2020 წელს საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფი.....	61
ცხრილი 5. 2019 წელს გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისთვის დღიურ ბაზისზე ასანაზღაურებელი თანხა.....	62
ცხრილი 6. 2020 წელს გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისთვის დღიურ ბაზისზე ასანაზღაურებელი თანხა.....	62
ცხრილი 7. 2019 წლის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის დღეთა მთლიანი რაოდენობა და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის ჯამური საფასური.....	63
ცხრილი 8. 2020 წლის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის დღეთა მთლიანი რაოდენობა და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის ჯამური საფასური.....	63
ცხრილი 9. 2019 - 2020 წლების მოქმედი სამომხმარებლო ტარიფები ქვეყნების მიხედვით.....	116

ნახაზების ნუსხა

83

ნახ. 1. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის დინამიკა 2013 – 2016 წ.	46
ნახ. 2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურა 2018 წლის მდგომარეობით.....	49
ნახ. 3. საბალანსო ელექტროენერჯის წილი მთლიან მიწოდებაში, 2019 წ...59	
ნახ. 4. საბალანსო ელექტროენერჯის წილი მთლიან მიწოდებაში, 2020 წ...59	
ნახ. 5. 2019 წელს გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების შესყიდვის წილი მთლიან შესყიდვაში.....	64
ნახ. 6. 2020 წელს გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების შესყიდვის წილი მთლიან შესყიდვაში.....	65
ნახ. 7. უკრაინის საბითუმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმამდე არსებული სტრუქტურა.....	71
ნახ. 8. უკრაინის საბითუმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი სტრუქტურა.....	76
ნახ. 9. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრის საბალანსო ჯგუფის მოდელი.....	93
ნახ. 10. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სამიზნე სტრუქტურა.....	101
ნახ. 11. აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერჯის მოხმარების სტატისტიკა (2015 – 2020 წლები).....	110
ნახ. 12. ევროპეის დელეგირებული ბაზრის ოპერატორები.....	125

შესავალი

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმა 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერითა და 2016 წელს საქართველოს „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანებით არის განპირობებული. მთავრობის გადაწყვეტილებამ და ქვეყნის მიერ არჩეულმა ევროპულმა გზამ ბიძგი მისცა თითქმის ყველა სექტორის ტრანსფორმაციას, გამონაკლისს არც ენერგეტიკის სფერო და ელექტროენერგეტიკა წარმოადგენს.

ენერგეტიკა ეკონომიკის საბაზისო დარგია, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის ენერჯის გარდაქმნასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან. ენერგეტიკა რთული საწარმოო – ეკონომიკური სისტემაა. სამეურნეო კომპლექსში ის მრეწველობის ორი დარგის – ელექტროენერგეტიკისა და სათბობის მრეწველობის ერთობლიობაა. მასში შედის ის საწარმოები, რომლებიც ეკონომიკას უზრუნველყოფენ ყველა სახის ენერჯითა და ნაწილობრივ ტექნოლოგიური ნედლეულით... ენერგეტიკის მნიშვნელოვანი როლი განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ ნებისმიერი წარმოება, მრეწველობის სხვადასხვა დარგში – სოფლის მეურნეობაში, მოსახლეობის მომსახურების სხვადასხვა სფეროებში დაკავშირებულია ენერჯის სულ უფრო და უფრო მზარდ გამოყენებასთან. ენერგეტიკის განვითარების დონე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნს საწარმოო ძალების განვითარების დინამიკასა და განლაგებაზე, ქმნის აუცილებელ წინაპირობას ცხოვრების დონის ამაღლებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. მისი განვითარების ტემპები და მასშტაბები განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საბოლოო შედეგებზე [1]. სწორედ, რომ ენერგეტიკული სექტორის სტაბილური და გამართული ფუნქციონირება განაპირობებს ეკონომიკისა და ზოგადად ქვეყნის სიძლიერეს.

საქართველოსთვის ელექტროენერგეტიკული სექტორი დარგის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, რომლის გამართულად ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული არა მხოლოდ ბაზრის მონაწილეთა კორდინირებული თანაარსებობა, არამედ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე. საქართველოს მიერ, ელექტროენერგეტიკულ სექტორში, ნაკისრმა ვალდებულებებმა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციამ გამოიწვია ელექტროენერგეტიკული სექტორის სრული ტრანსფორმაცია. კონკრეტულად კი, ახალი მოთამაშეებისა და სუბიექტების გაჩენა ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე, არსებული ბაზრის მონაწილეების გარდაქმნა, ახალი საბითუმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირება, საცალო ბაზრის გახსნა, უნივერსალური მომსახურების ვალდებულების დანერგვა, ეროვნული მარეგულირებელი კომისიის როლის გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით, ელექტროენერჯის მომხმარებელთა უფლებების დაცვის უკეთესი მექანიზმების შემუშავება და სხვა.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში გასათვალისწინებელია არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის სპეციფიკა. აუცილებელია, ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტების გაანალიზება, როგორებიცაა აფხაზეთში ელექტროენერჯის მიწოდების საკითხი და გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების ინტეგრაცია ორგანიზებულ ბაზრებზე. ბაზრის აღნიშნულმა სპეციფიკამ შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ელექტროენერჯის ბაზრის ფორმირებაზე, ასევე საბოლოო მომხმარებლებზეც, რაც არც ქვეყნის ეკონომიკისთვის და არც ელექტროენერგეტიკული სექტორის ფუნქციონირებისთვის ხელსაყრელი არ არის.

როგორც ვხედავთ, ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმა საკმაოდ კომპლექსური და რთულია. მოცემულ ნაშრომში „საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად“ აღწერილია საქართველოს არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაციის წინაპირობები,

განხილულია და გაანალიზებულია საქართველოს არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზარი, მისი სპეციფიკა და თავისებურებები, გაანალიზებულია „ენერგეტიკული გაერთიანებისა“ და ევროკავშირის ქვეყნების ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმის საკითხები, შესწავლილია აღნიშნული რეფორმის შედეგები ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე, აღწერილია საქართველოს მიერ არჩეული ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ჩამოყალიბების გზა და შემოთავაზებულია რეფორმის განხორციელების ალტერნატიული მექანიზმი, რომლის გათვალისწინების შემთხვევაშიც ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმა ბაზრის მონაწილეებსა და მომხმარებლებს მძიმე წნეხად არ დააწვებათ.

თემის აქტუალურობა. ენერგეტიკა ქვეყნის მამოძრავებელი ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი და წამყვანი დარგია. მის გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობა ასევე ეკონომიკური სიძლიერე.

საქართველოს მიერ ევროკავშირისა და „ენერგეტიკული გაერთიანების“ წინაშე ნაკისრი ვალდებულებები იწვევს ენერგეტიკული სფეროს სრულ ტრანსფორმაციას, ცვლილებების უმეტესი ნაწილი ეხება ელექტროენერგეტიკის სექტორს. აღნიშნული ცვლილებები ისე უნდა განხორციელდეს, რომ დარგმა კვლავ შეძლოს გამართულად ფუნქციონირება, ამასთანავე ცვლილებები არ უნდა დააწვეს მძიმე წნეხად არც სექტორის მონაწილეებს, არც ქვეყნის ეკონომიკას და რაც მთავარია არც საბოლოო მომხმარებლებს - მოსახლეობას. სადისერტაციო ნაშრომი „საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად“ აქტუალურია, იქიდან გამომდინარე, რომ რეფორმა განხორციელების აქტიურ ფაზაშია და მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე რამდენჯერმე გადავადდა. საქართველოს ახალი კონკურენტული ელექტროენერგეტიკული ბაზარი, ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ, 2019 წლის დასაწყისისთვის უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა საკანონმდებლო ბაზის დაგვიანებულმა

განახლებამ, სამთავრობო ცვლილებებმა და რეფორმის სირთულემ მისი გადავადება გამოიწვია. მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის საბოლოო ვადად 2021 წლის პირველი ივლისი განისაზღვრა, თუმცა აღნიშნულმა ვადამაც მინიმუმ ექვსი თვით გადაიწია. სწორედ, რეფორმის სირთულემ და მისი განხორციელების არჩეულმა გზამ გამოიწვია მისი გადავადების პროცესი. თემაში შემოთავაზებული ალტერნატიული გზა იძლევა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ნაკლები სირთულისა და არსებული რესურსის გამოყენებით.

მეცნიერული სიახლე. წინამდებარე ნაშრომში პირველად არის შემოთავაზებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და მისი გავლენა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირებაზე. დეტალურად არის განხილული ევროკავშირის დირექტივები და რეგულაციები, რომელთა გავლენითაც უნდა განხორციელდეს საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება, სწორედ, ხსენებული ნორმატიული აქტების დანერგვამ საქართველოს კანონმდებლობაში გამოიწვია ბაზრის სრული ტრანსფორმაცია და საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე როგორც არსებული ბაზრის მონაწილეების გარდაქმნა, ასევე, ახალი ისეთი მნიშვნელოვანი სუბიექტების ჩამოყალიბება, როგორებიც არიან ტრეიდერები, უნივერსალური, საჯარო მომსახურების, თავისუფალი და ბოლო იმედის მიმწოდებლები. ნაშრომში დეტალურად არის განხილული აღნიშნული სუბიექტების ურთერთკავშირი და მათი როლი ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე.

ნაშრომში ჩამოყალიბებული მსჯელობისა და კონკრეტული ფაქტების გაანალიზების საფუძველზე სიახლეს წარმოადგენს რეფორმის გავლენა სამომხმარებლო ტარიფებზე, კონკრეტულად კი ის გარემოება, რომ ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმა, სამომხმარებლო ტარიფებს კი არ ამცირებს, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, არამედ პირიქით, მათ გაზრდას იწვევს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ის ალტერნატიული გზა, რომელიც ნაშრომში შემოთავაზებულია ელექტროენერგეტიკული რეფორმის განხორციელების პროცესში. სწორედ, აღნიშნული გზის არჩევის შემთხვევაში ხდება საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინება და რეფორმის შედეგები არ იწვევს მძიმე შედეგებს არც ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე და არც ქვეყნის ეკონომიკაზე.

სამუშაოს მიზანი. უკანასკნელი წლების განმავლობაში ელექტროენერგეტიკული დარგი, თავისი თავისებურებებით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გადაიქცა ერთ - ერთ განვითარებად და მიმზიდველ სფეროდ. დარგის მრავალფეროვნება ზრდის მის მიმართ, როგორც სამეცნიერო კვლევების ასევე ბიზნეს ინტერესს. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ხდება დარგის აქტიური ლიბერალიზაცია და კონკურენციის განვითარება. დარგის სწრაფად განვითარების ფონზე, იზრდება მის მიმართ ბიზნეს ინტერესიც და მასში ინვესტიციის განხორციელების სურვილი. თუმცა, აღნიშნული მოვლენები მხოლოდ გამართული ენერგეტიკული საკანონმდებლო ბაზის მქონე ქვეყნებში ხდება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკული ბაზის ჯანსაღ ფუნქციონირებას. სამუშაოს მიზანს წარმოადგენს საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში ისეთი მექანიზმის შემოთავაზება, რომელიც მისი სპეციფიკის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სექტორის გამართულ ფუნქციონირებას, არ საჭიროებს რთული მექანიზმების ამოქმედებას, განაპირობებს ბაზრის მონაწილეთა ჯანსაღ ურთიერთკავშირს და რაც მთავარია დაიცავს მომხმარებლებს ელექტროენერჯის ფასების ზედმეტი გაძვირებისგან.

კვლევის ობიექტი და მეთოდები. კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი, მისი ახალი მოდელის ფორმირების პროცესში.

საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციისა და ახალი ბაზრის ფორმირების პროცესში განსაზღვრავს წინამდებარე ნაშრომის სტრატეგიას.

დასმული ამოცანების გადასაწყვეტად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ისტორიული, ლიტერატურული და ინტერნეტ რესურსების მიმოხილვის საფუძველზე შესწავლილია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის არსებული მოდელი;

- აღწერილობითი მეთოდის გამოყენებით შესწავლილია ევროკავშირში, ელექტროენერგეტიკულ სექტორში, მოქმედი დირექტივები და რეგულაციები;

- შედარებითი ანალიზის საფუძველზე აღწერილია ევროკავშირში და „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“, კონკრეტულად კი, უკრაინისა და ხორვატიის რესპუბლიკებში, განხორციელებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმები და აღნიშნული რეფორმების შედეგები ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირებაზე;

- საჭირო ინფორმაციის მოპოვების მიზნით განხორციელებულია საქართველოში მიმდინარე ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმაზე დაკვირვება და მასში უშუალო მონაწილეობის მიღება.

კვლევის ძირითადი შედეგები და შედეგების გამოყენების სფერო. წინამდებარე ნაშრომში განხორციელებული კვლევა და შემოთავაზებული ალტერნატიული გზა საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში შეესაბამება მსოფლიოში დანერგილ პრაქტიკას და ფართოდ გამოიყენება ევროპის ქვეყნებში. მოცემული მექანიზმი აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს და სრულად ჯდება საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებით გასატარებელ ღონისძიებებში. ნაშრომში, სწორედ, საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით შემოთავაზებულია რეფორმის განხორციელების ალტერნატიული გზა. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროცესში. რეფორმის არჩეული გზის სირთულის და მისი ვადების რამდენჯერმე გადაწევის ფონზე, აღნიშნული ნაშრომით შემოთავაზებულია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ალტერნატიული, საქართველოს რეალობაზე მორგებული მექანიზმი.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი შედეგები მოსმენილი იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის, ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტში I, II და III კოლოქვიუმებზე და დისერტაციის წინასწარ განხილვისას.

სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელოვანი საკითხები მოხსენებების სახით გაშუქდა მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ (ქ. ქუთაისი, 2018 წლის 26 ოქტომბერი).

თავი 1. საქართველოში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაციის წინაპირობა

დღევანდელ მსოფლიოში, თანამედროვეობის უამრავი გამოწვევის ფონზე, ეროვნული უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და სტაბილურობის მიღწევა თითქმის შეუძლებელია დანარჩენ მსოფლიოსგან განცალკევებით. ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მსოფლიო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის აქტიური ხელშეწყობა. სწორედ, მსოფლიოს სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის აირჩია საქართველომ ევროპული კურსი და მოინდომა თავისი წვლილი შეეტანა როგორც ქვეყნის ასევე ევროპული ოჯახის განვითარებაში.

საქართველოს მთავრობამ ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად აირჩია ევროპული კურსი და ნათლად გამოხატა ევროკავშირთან ინტეგრაციის სურვილი. განხორციელებული რეფორმებისა და გადადგმული ნაბიჯების შედეგად საქართველომ და ევროკავშირმა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ევროპული საბჭოს შეხვედრის ფარგლებში ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რითაც საქართველომ კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა თავისი მისწრაფება გამხდარიყო ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი ენერგეტიკის სექტორს ეხება და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას გულისხმობს, რაც ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვან რეფორმებს საჭიროებს.

„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ავალდებულებს საქართველოს სხვადასხვა სექტორში მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელებას. გამონაკლისს არც ენერგეტიკის სექტორი წარმოადგენს. ასოცირების ხელშეკრულების 25 – ე დანართი სრულად ენერგეტიკას ეთმობა.

აღნიშნული დანართი საქართველოსთვის ითვალისწინებს ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სხვადასხვა დირექტივებისა და რეგულაციების კონკრეტულ ვადებში შესრულებას. მართალია, ასოცირების ხელშეკრულება პირდაპირ არ უთითებს კონკრეტულ ვადებს, თუმცა ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ საქართველოს მიერ ამ დირექტივების კონკრეტული დათქმები უნდა შესრულდეს „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშეკრულების ფარგლებში დადგენილ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიერ თება „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან არ განხორციელდება შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის მანძილზე, ასოცირების საბჭოს წარედგინება წინადადება ახალი ვადის განსაზღვრის შესახებ აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლისა [2].

1.1. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები

ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს ავალდებულებდა მესამე ენერგეტიკული პაკეტის მკაცრი რეგულაციების შემჭიდროვებულ ვადებში გადმოტანას ეროვნულ დონეზე, თუმცა არსებობდა ალტერნატივა, რომელიც საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების მკაცრი დებულებების შემსუბუქების საშუალებას აძლევდა. სწორედ, აღნიშნული გზა აირჩია ჩვენმა ქვეყანამ. კერძოდ კი, რეფორმების ხელშეწყობისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მეტად დაახლოების მიზნით, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, 2016 წლის 14 ოქტომბრის „ენერგეტიკული გაერთიანების“ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველო გაწევრიანდა „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ (გადაწყვეტილება 2016/18/MC-EnC).¹ აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველო მიუერთდა „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ

¹ PROTOCOL CONCERNING THE ACCESSION OF GEORGIA TO THE TREATY ESTABLISHING THE ENERGY COMMUNITY; <https://www.energy-community.org/Search-Result.html>

ხელშეკრულებას, ხელშემკვერელი მხარის სტატუსით. შეიძლება ითქვას, რომ, სწორედ, ასოცირების ხელშეკრულებამ მისცა საქართველოს შესაძლებლობა გაწევრიანებულიყო „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“.

„ენერგეტიკული გაერთიანება“ წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც აკავშირებს ევროკავშირს და მის მეზობელ სახელმწიფოებს იმისთვის, რომ შეიქმნას ერთიანი ინტეგრირებული საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზარი. ორგანიზაცია შეიქმნა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ხელი მოეწერა ათენში, საბერძნეთში 2005 წლის ოქტომბერში. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2006 წლის ივლისში. ენერგეტიკული გაერთიანების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული ბაზრის წესებისა და პრინციპების გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, შავი ზღვის რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში [3].

„ენერგეტიკული გაერთიანების“ ხელშეკრულების ხელმოწერით ხელშემკვერელი მხარეები შეთანხმდნენ მიეღოთ იურიდიული ვალდებულებები ევროკავშირის ძირითადი ენერგეტიკული კანონმდებლობის ე.წ. „acquis communautaire“ - ს საკუთარ კანონმდებლობაში დანერგვის გზით. „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელი ხელშეკრულება და მისი „acquis communautaire“ მუდმივად ვითარდება და ახალ დარგებს იმატებს, გარდა ამისა ანახლებს აქტებს ან ძველ აქტებს ცვლის. ევროკავშირის სამართლის განვითარებისთვის ფეხის ასაწყობად დამფუძნებელი ხელშეკრულების 24 – ე და 25 – ე მუხლები, [4] რომლებიც „acquis communautaire“ - ს მიღებას და განვითარებას ეხება ცვლილებების განხორციელების საშუალებას იძლევა. ეს იმისთვისაა საჭირო რომ ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვერელმა მხარეებმა მუდმივად შეძლონ ევროკავშირის განვითარებისთვის ფეხის აწყობა და მოახერხონ საკუთარი სამართლებრივი ჩარჩოს განახლება როგორც ენერგეტიკის ასევე მასთან დაკავშირებულ დარგებში.

ენერგეტიკული გაერთიანების „acquis communautaire“ მოიცავს ისეთ დარგებს როგორებიცაა: ელექტროენერგია, გაზი, განახლებადი ენერგია, ენერგოეფექტურობა, ნავთობი, გარემოს დაცვა, კონკურენცია, სტატისტიკა და ინფრასტრუქტურა.

ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მთავარი მიზნებია :

- შექმნას ენერგეტიკული ბაზრისთვის სტაბილური მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, იმისათვის რომ მოიზიდოს ინვესტიციები ელექტროენერგიის წარმოებისა და ქსელების განვითარებისთვის;

- შექმნას ინტეგრირებული ენერგეტიკული ბაზარი, რომელიც გაამარტივებს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობასა და ევროკავშირის ბაზართან ინტეგრაციას;

- გაზარდოს მიწოდების უსაფრთხოება სტაბილური და უწყვეტი ენერგომომარაგებისთვის, რომელიც აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სტაბილურობისთვის;

- გააუმჯობესოს ეკოლოგიური მდგომარეობა რეგიონში ენერგომომარაგებასთან მიმართებაში, ამასთანავე უზრუნველყოს განახლებადი ენერგიის გამოყენება და ენერგოეფექტურობის წახალისება;

- განავითაროს კონკურენცია რეგიონალურ დონეზე [5].

„ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანებამ საქართველოს და მის ენერგეტიკულ სექტორს საშუალება მისცა ე.წ დეროგაციებით, გამონაკლისებით ესარგებლა. მაგალითად, გამონაკლისს წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო ვაჭრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, იქიდან გამომდინარე რომ საქართველოს ამჟამად არ აქვს ევროკავშირის არცერთ წევრ სახელმწიფოს ქსელთან წვდომის საშუალება. გარდა ამისა, რეფორმების განხორციელების კონკრეტულ ვადებთან ერთად, გათვალისწინებულ იქნა ერთწლიანი სატესტო პერიოდი, რომელიც ენერგეტიკის სექტორს გარდამავალ პერიოდში უკეთ ფუნქციონირების საშუალებას მისცემს.

„ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელი ხელშეკრულება ეყრდნობა ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობას, რომელიც ევროკავშირის „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ სახით არის წარმოდგენილი.

ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრის კანონმდებლობის ბოლო ცვლილებები, რომლებიც „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ სახელითაა ცნობილი, ძალაში შევიდა შიდა ენერგეტიკული ბაზრების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად და სტრუქტურული პრობლემების გადასაწყვეტად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ 90 - იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული ენერგეტიკული ბაზრები ჯერ კიდევ მონოპოლიზებული იყო ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოების მიერ.

„მესამე ენერგეტიკული პაკეტი“ შედგება ორი რეგულაციისა და სამი დირექტივისგან, რომლებიც 2009 წლის ივლისში მიიღეს. ეს საკანონმდებლო აქტებია:

- ელექტროენერჯის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ 2009/72/EC დირექტივა;

- გაზის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ 2009/73/EC დირექტივა;

- ბუნებრივი გაზის ქსელზე დაშვების შესახებ ((EC)No715/2009)

რეგულაცია;

- ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისთვის ქსელზე დაშვების პირობების შესახებ ((EC)No714/2009) რეგულაცია;

- ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობის სააგენტოს დაფუძნების შესახებ (ACER) ((EC) No 713/2009) რეგულაცია [6].

„მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მთავარ მიზანს წარმოადგენს გახადოს ენერგეტიკული ბაზარი ბოლომდე ეფექტური და შექმნას ევროკავშირის ერთიანი ელექტროენერჯისა და გაზის ბაზარი. ეს ხელს შეუწყობს ფასების შენარჩუნებას რაც შეიძლება დაბალ ნიშნულზე, სერვისის სტანდარტის და მიწოდების უსაფრთხოების გაზრდას.

„მესამე ენერგეტიკული პაკეტი“ ხუთ ძირითად მიმართულებას მოიცავს. ეს მიმართულებებია:

- ენერჯის მიმწოდებლების გამოყოფა ქსელის ოპერატორებისგან;
- ეროვნული მარეგულირებელი კომისიების დამოუკიდებლობის გაძლიერება;
- ეროვნული მარეგულირებელი კომისიების თანამშრომლობის სააგენტოს დაფუძნება (ACER);
- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა გადაცემის სისტემის ოპერატორებს შორის და გადაცემის სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელის შექმნა;
- საცალო ბაზარზე გამჭირვალობის გაზრდა მომხმარებლების ინტერესების დასაცავად [7].

„მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ ზემოხსენებული ხუთი საკვანძო მიმართულებიდან, „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელი ხელშეკრულების თანახმად, სავალდებულოდ შესასრულებელი და ასამოქმედებელია მხოლოდ ოთხი. დამფუძნებელი ხელშეკრულება არ ავალდებულებს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებს ACER - ში გაწევრიანებას, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო ქსელების ოპერირების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და მათი დანერგვის უზრუნველყოფის მონიტორინგი. შესაბამისად, წარმოდგენილი ნაშრომი „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ ძირითადი პრინციპებიდან მიმოიხილავს მხოლოდ ოთხ მიმართულებას. ეს მიმართულებები და პრინციპებია:

Unbundling - გამოყოფა - იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ენერგოპროდუქტებით ვაჭრობა, დამოუკიდებელია გადამცემ ინფრასტრუქტურაზე, უმეტესად კი ქსელზე, ენერგეტიკულ ბაზრებზე განცალკევების პრინციპების დაცვა საკვანძო როლს ასრულებს კონკურენციის განვითარების კუთხით. მაშინ როცა დაინტერესებულ მხარეს არ აქვს ქსელზე თავისუფალი და შეუზღუდავი წვდომის შესაძლებლობა იგი ვერ მოახერხებს ბაზარზე შესვლას, აქედან გამომდინარე

კი, ვერ მიიღებს მონაწილეობას ელექტროენერგიით ვაჭრობაში. აქედან გამომდინარე, ქსელზე დაშვება პირდაპირპროპორციულია ბაზარზე დაშვების, რითაც დგინდება ენერგეტიკულ ბაზრებზე კონკურენციის ხარისხი. განცალკევება ემსახურება ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას, კონკურენტული საქმიანობის (მიწოდებისა და გენერაციის) ბუნებრივად მონოპოლიური (გადამცემი სისტემის/ქსელის ოპერატორის) საქმიანობისგან გამიჯვნის მეშვეობით. მაგალითისთვის, მაშინ როცა ერთი კომპანია მართავს გადამცემ ქსელს და ამასთანავე ახორციელებს გენერაციას ან ენერჯის გაყიდვას, მან სავსებით შესაძლებელია, შეზღუდოს ან ხელოვნურად დააბრკოლოს კონკურენტების დაშვება ქსელზე. მსგავსი ქმედებები ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის განვითარების ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს და საბოლოოდ იწვევს ელექტროენერჯის მომხმარებლებისათვის ენერჯიაზე ფასების გაზრდას [13].

მესამე ენერგეტიკული პაკეტის, ელექტროენერჯის შიდა ბაზრების საერთო წესების შესახებ 2009/72/EC დირექტივების შესაბამისად, არსებობს განცალკევების სამი სახე, რომლის კონკრეტული მოდელის არჩევა და გამოყენება დამოკიდებულია ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების პირად არჩევანზე:

- *Ownership Unbundling* - საკუთრების გამოყოფის შემთხვევაში ყველა ინტეგრირებული ენერგეტიკული კომპანია ვალდებულია გაყიდოს თავის საკუთრებაში არსებული გაზის ან ელექტროენერჯის ქსელი. ამ შემთხვევაში მიწოდების ან წარმოების კუმპანია არ არის უფლებამოსილი ფლობდეს აქციების უმრავლესობას ან რაიმესახით ერეოდეს გადამცემი ქსელის ოპერატორის საქმიანობაში;

- *Independent System Operator (ISO)* - სისტემის დამოუკიდებელი ოპერატორის შემთხვევაში ენერჯის მიმწოდებელ კომპანიებს ფორმალურად შეუძლიათ ფლობდნენ გაზის ან ელექტროენერჯის გადამცემ ქსელებს, მაგრამ ქსელის ოპერირება, ტექნიკური უზრუნველყოფა

და ქსელში ინვესტიციების განხორციელება დამოუკიდებელ კომპანიას უნდა გადასცეს;

• *Independent Transmission System Operator (ITO)* - გადამცემი სისტემის დამოუკიდებელი ოპერატორის შემთხვევაში ენერჯის მიწოდებელ კომპანიას კვლავ შეუძლია ფლობდეს და ოპერირებას უწევდეს გაზისა ან ელექტროენერჯის ქსელებს, მაგრამ ამას უნდა ახორციელებდეს შვილობილი კომპანიის მეშვეობით. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს შვილობილი კომპანიის მეშვეობით დამოუკიდებლად.

„ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს არჩევანის გაკეთება მოუწევს განცალკევების მხოლოდ ორ მოდელს შორის. ეს მოდელებია: ქონებრივ განცალკევება (OU) და დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი (ISO) [13].

„მესამე ენერჯეტიკული პაკეტი,“ ასევე, ადგენს ინტეგრირებული საწარმოსგან განცალკევების დებულებებს, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის, თუმცადა საზღვრავს დამოუკიდებლობის ნაკლები ხარისხის ვალდებულებებს, ვიდრე ეს გადამცემი სისტემის ოპერატორების შემთხვევაში ხდება. კერძოდ, კი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ სამართლებრივი და ფუნქციური დამოუკიდებლობა. სამართლებრივ განცალკევებაში ამ შემთხვევაში იგულისხმება დამოუკიდებელი სამართლებრივი სუბიექტის/საწარმოს დაფუძნება, ხოლო რაც შეეხება ფუნქციურ განცალკევებას, ის გულისხმობს ორგანიზაციულ და გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებლობას. შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს მენეჯმენტის განცალკევება და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მართვაზე პასუხისმგებელი პირები მონაწილეობას არ უნდა იღებდნენ იმ ინტეგრირებული საწარმოს კორპორატიული სტრუქტურების მართვაში, რომლებიც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ჩართულები არიან წარმოების, გადაცემის, მიწოდების ან/და ვაჭრობის ყოველდღიურ საქმიანობაში. გარდა ამისა, აუცილებელია, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს ჰქონდეს ინტეგრირებული

საწარმოსგან დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება იმ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროა გამანაწილებელი ქსელის ოპერირებისა და განვითარებისთვის, გარდა ამისა, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს მასზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის სათანადო ადამიანური, ტექნიკური, მატერიალური და ფინანსური რესურსები უნდა გააჩნდეს [8] [13].

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა - ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა საკვანძო როლს თამაშობს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული ენერგეტიკული ბაზრების დაკავშირების კუთხით. ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესახებ რეგულაციები² „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, რომელთა მიზანია მეზობელ სახელმწიფოებს შორის ენერგოპროდუქტით საზღვართშორისი ვაჭრობის პროცესში არსებული დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრა. აღნიშნული გარემოებების აღმოსაფხვრელად, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ რეგულაციები ადგენს ერთიან საკანონმდებლო ბაზას წევრი სახელმწიფოებისთვის ტრანსსასაზღვრო ქსელზე დაშვების პირობების შესახებ, რაც მოიცავს: ტრანსსასაზღვრო წესებს სიმძლავრის განაწილების, საბალანსო და სარეზერვო მექანიზმების და ასევე, ქსელზე დაშვების სატარიფო მეთოდოლოგიის შესახებ დებულებებს და სხვ.

ეროვნული გადამცემი ქსელის ოპერატორები პასუხისმგებელნი არიან ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ეფექტურად ტრანსპორტირებაზე მილსადენებისა და ელექტროქსელების მეშვეობით.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ეროვნული ენერგეტიკული ბაზრების ინტეგრირებას რეგიონალურ დონეზე მხოლოდ ამ რეგულაციების ზედმიწევნით შესრულების გზით აღწევენ, რაც წევრი სახელმწიფოების მეზობელ ენერგეტიკულ სისტემებს შორის (ტექნიკური, სამართლებრივი)

² რეგულაცია N715/2009 (EC) ბუნებრივი აირის გადამცემ ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ) და რეგულაცია N 714/2009 (EC) (ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ

შეუთავსებლობის მინიმუმამდე დაყვანას ემსახურება და უზრუნველყოფს საზღვართშორის თავისუფალ ვაჭრობას [9] [13].

დამოუკიდებელი მარეგულირებელი - „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს დამოუკიდებელი და ძლიერი მარეგულირებელი ორგანოს არსებობა, რომელიც ადგენს სპეციალურ ნორმებს მონოპოლიური და საბაზრო ენერგეტიკული საქმიანობების განმახორციელებელი კომპანიებისთვის და უზრუნველყოფს მათი შესრულების ზედამხედველობას.

კონკურენტული შიდა ენერგეტიკული ბაზარი ვერ იარსებებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გარეშე, რომელიც ყველა ზომას მიიღებს რათა ევროკავშირის რეგულაციები შესრულდეს. „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ თანახმად ეროვნული მარეგულირებელი უნდა იყოს დამოუკიდებელი როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორისგან, მათ შორის მთავრობისგანაც. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შექმნა უნდა ხდებოდეს მხოლოდ კანონის შესაბამისად, პარლამენტის მიერ და შესაბამისად ის პასუხისმგებელი უნდა იყოს მხოლოდ ქვეყნის პარლამენტის წინაშე. ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ საკუთარი უფლებები და ვალდებულებები უნდა განახორციელოს მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ, ობიექტური კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად. მარეგულირებელი ორგანო უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ იურიდიულ პირის და ის თავად უნდა განაგებდეს საკუთარ ბიუჯეტს. მთავრობამ უნდა განახორციელოს მარეგულირებელი ორგანოსათვის ყველა შესაბამისი რესურსის გადაცემა, რათა მან შეძლოს თავისი უფლებამოსილებების შესაბამისად განხორციელება. ეროვნული მარეგულირებელი უფლებამოსილია გამოიტანოს სავალდებულო გადაწყვეტილებები და დააწესოს ჯარიმები იმ კომპანიებისთვის, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. ენერგეტიკული საწარმოები ვალდებულნი არიან მარეგულირებელ ორგანოს მიაწოდონ მისთვის საჭირო ყველა შესაბამისი ინფორმაცია [13].

“მესამე ენერგეტიკული პაკეტის” პრინციპების შესაბამისად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს კომისიის წევრები კარგი რეპუტაციით უნდა გამოირჩეოდნენ, ეთიკისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ და არ უნდა იყვნენ ჩართული პოლიტიკური ან კომერციული საქმიანობის განხორციელებაში. აუცილებელია, დამოუკიდებლობის მაღალი დონით გამოირჩეოდნენ, როგორც მარეგულირებელი ორგანოს კომისიის წევრები, ასევე მისი აპარატის თანამშრომლები. ეროვნულ მარეგულირებელს აპარატის დაკომპლექტებისას და მართვისას თავისუფალი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება უნდა შეეძლოს. დაუშვებელია, ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრს ან აპარატის თანამშრომელს ამავდროულად ეკავოს რაიმე თანამდებობა ენერგეტიკულ ან მასთან დაკავშირებულ საწარმოში. პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ფინანსური დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს ცალკე ბიუჯეტისა და უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისათვის საჭირო, შესაბამისი ფინანსური რესურსების არსებობას. დანერგილი და მიღებული პრაქტიკის თანახმად ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ბიუჯეტის ფორმირების წყარო უნდა იყოს რეგულირების საფასური [13].

ეროვნული მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობის დონე დგინდება მისი უფლებამოსილებით თავისუფლად და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. მისი გადაწყვეტილების გადახედვა, შეცვლა ან გაუქმება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს. გარდა ამისა, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს ეფექტიანი, პროპორციული და მომავალი დარღვევის ჩადენის თავიდან არიდებაზე ორიენტირებული ჯარიმების დაკისრების შესაძლებლობა [10].

ღია და სამართლიანი საცალო ბაზარი - ღია და სამართლიანი საცალო ენერგეტიკული ბაზრების შექმნა „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ ქვაკუთხედს წარმოადგენს, აღნიშნული უმთავრესად მომხმარებლების ინტერესების დაცვას ემსახურება. ელექტროენერგეტიკულ საცალო ბაზარზე

კონკურენციის არსებობის ხელშეწყობისთვის აუცილებელია რომ მომხმარებლებს გააჩნდეთ სხვადასხვა მიმწოდებელს შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ამის უზრუნველსაყოფად, „მესამე ენერგეტიკული პაკეტი“ ადგენს სპეციალურ დებულებებს მომხმარებლების უფლებების დაცვის შესახებ, რაც იძლევა ელექტროენერგეტიკულ საცალო ბაზრებზე მიმწოდებლების თავისუფლად არჩევის ან შეცვლის შესაძლებლობას ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების ან ზედმეტი ხარჯის გაწევის გარეშე. არჩევანის თავისუფლებაში მოიაზრება ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე მიმწოდებლის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის არსებობას, იმისათვის რომ მომხმარებლებმა შეძლონ მიწოდების მომსახურების მიღება ისეთი მონოპოლიური საქმიანობისგან დამოუკიდებლად, როგორც საქართველოს შემთხვევაში არის ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობა.

ევროკავშირის მოთხოვნებისა და მესამე ენერგეტიკული პაკეტის პრინციპების შესაბამისად, მომხმარებლები უფლებამოსილი არიან მიიღონ ხარისხიანი ენერჯია და შესაბამისი მომსახურება მათთვის მისაღებ ფასად, რისთვისაც საჭიროა იცოდნენ, რა რაოდენობის ენერჯიას მოიხმარენ, რა თანხას იხდიან და კონკრეტულად რომელი მომსახურებისთვის, წარმოადგენენ თუ არა ისინი სუბსიდირების ობიექტს და ოპტიმალურია თუ არა ენერგოკომპანიების მიერ განხორციელებული ის ინვესტიცია, რომელთა ანაზღაურებაც მათ უწევთ მათთვის დადგენილი შესაბამისი ტარიფით. ზემოხსენებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ მომხმარებლებმა შეძლონ საკუთარი ინტერესების ეფექტურად დაცვა [11].

საჯარო მომსახურების ვალდებულება - გავრცელებული მოსაზრების შესაბამისად, კონკურენტული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება ელექტროენერჯის მომხმარებლებისთვის სათანადო ხარისხის მომსახურების მიღებას უზრუნველყოფს. თუმცა, კონკურენტული ბაზრის დანერგვის თავდაპირველ საფეხურებზე ან კონცენტრირებული ელექტროენერგეტიკული საბითუმო ბაზრის არსებობის შემთხვევაში,

საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით აუცილებლობას წარმოადგენს, სახელმწიფოს მხრიდან, გარკვეული ზომების მიღების საჭიროება. ზემოხსენებულის მხედველობაში მიღებით, ენერგეტიკული ბაზრების გახსნის პროცესში საბოლოო მომხმარებლებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების ინტერესების დაცვის შესაბამისად, ევროკავშირის კანონმდებლობის დებულებები წევრ სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, დააწესონ სპეციალური მექანიზმი - ე.წ. საჯარო მომსახურების ვალდებულება. საჯარო მომსახურების ვალდებულების დაკისრება ხდება მაშინ, როცა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, საზოგადოების მიერ მომსახურების მიუღებლობის, ან არასათანადო ხარისხით მიღების რეალური საფრთხე არსებობს [13].

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის შესაბამისად საჯარო მომსახურების ვალდებულების დაკისრება ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სფეროში მოქმედ სუბიექტებზე ხდება. ზემოხსენებული ვალდებულების დადგენის მიზანი შესაძლოა განსხვავდებოდეს. მათ შორის უმთავრესია მიწოდების უსაფრთხოების და მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფა. რეგულირებული ფასები, როგორც ცნობილია, უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს ბაზარზე ახალი მოთამაშეების წარმოქმნისთვის, რაც, შესაბამისად, უარყოფით გავლენას ახდენს კონკურენციასა და სამომხმარებლო ფასებზე. იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო მომსახურების ვალდებულება ითვალისწინებს ბაზრის ფუნქციონირებაში ჩარევას, იგი გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენება, როგორც გარდამავალი, დროებითი ღონისძიება და ექვემდებარება მკაცრ მონიტორინგს [13]. არ შეიძლება საჯარო მომსახურების ვალდებულება სცდებოდეს იმ კონკრეტულ საზღვრებს, რომელიც აუცილებელია დასახული მიზნის განხორციელების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, საჯარო მომსახურების ვალდებულება მკაფიოდ დადგენილი, გამჭვირვალედ დაკისრებული და რაც მთავარია არადისკრიმინაციული უნდა იყოს ყველას მიმართ [13]. საქართველოს კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად, კონკრეტულ საწარმოზე საჯარო მომსახურების

ვალდებულების დაკისრება მთავრობის ექსკლუზიური და უპირობო უფლებაა [13].

ევროკავშირის რეგულაციების თანახმად დადგენილია სამი სახის საჯარო მომსახურების ვალდებულება, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება. ასეთი ვალდებულებებია: უნივერსალური მომსახურება, ბუნებრივი გაზის მიწოდება საჯარო მომსახურების სახით და ბოლო იმედის მიწოდება. ნაშრომში განხილულია, ის საჯარო მომსახურების ვალდებულებები, რომელთა დანერგვაც ელექტროენერგეტიკულ სექტორშია გათვალისწინებული.

- **უნივერსალური მომსახურება საჯარო მომსახურების სახით**

საჯარო მომსახურების ვალდებულების ერთ - ერთ სახეს წარმოადგენს უნივერსალური მომსახურება. მისი მთავარი მიზანია სათანადო ხარისხითა და ხელმისაწვდომო ფასად ელექტროენერჯის მიწოდება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის, და, საჭიროების შემთხვევაში, მცირე საწარმოებისთვის/ბიზნესისთვის. მესამე ენერგეტიკული პაკეტით უნივერსალური მომსახურების ვალდებულების დანერგვა გათვალისწინებულია მხოლოდ ელექტროენერგეტიკულ სექტორში. სახელმწიფომ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის განსაზღვრა უნდა მოახდინოს კანონის ძალაში შესვლიდან ცხრა თვის განმავლობაში [13], თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონის ამოქმედებიდან ორი წლის შემდეგაც კი უნივერსალური მომსახურების კონკრეტული მიმწოდებელი განსაზღვრული ჯერ კიდევ არ არის.

- **ბოლო იმედის მიწოდება**

ელექტროენერჯის მომხმარებლების დაცვის მიზნით საჯარო მომსახურების ვალდებულების უმნიშვნელოვანესი სახეა ბოლო იმედის მიწოდება. აღნიშნული მექანიზმის, გამოყენება ხდება ელექტროენერჯის იმ მომხმარებლებისთვის, რომლებმაც, სხვადასხვა მიზეზით, ვერ აირჩიეს, ან დაკარგეს ელექტროენერჯის მიმწოდებელი. ბოლო იმედის მიწოდება ითვალისწინებს მომხმარებლების ელექტროენერჯით ავტომატურ მომარაგებას არა უმეტეს სამი თვის ვადით. კომისია ადგენს ბოლო იმედის

მიწოდების წესებს და ახდენს მისი ფასის რეგულირებას. აღნიშნული მომსახურების ფასი უნდა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ელექტროენერჯის საშუალო საბაზრო ფასი. მსგავსი პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს მომხმარებლის ერთგვარი „იმულება“, იყოს უფრო აქტიური და დროულად მოახდინოს სასურველი მიმწოდებელის არჩევა [13]. კანონის შესაბამისად, მთავრობამ ელექტროენერგეტიკულ სექტორში ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი უნდა განსაზღვროს კანონის ძალაში შესვლიდან 9 თვის ვადაში.

„ასოცირების შეთანხმების“ ხელმოწერით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები ითვალისწინებენ „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ ზემოხსენებული საკვანძო პრინციპების დანერგვას ეროვნულ კანონმდებლობაში.

1.2. მოთხოვნები საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში

ელექტროენერგეტიკის სექტორში „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმით, „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრულია ერთი დირექტივა, ელექტროენერჯის შიდა ბაზრების საერთო წესების შესახებ და ერთი რეგულაცია, ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესახებ, რომელთა დანერგვაც საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნის პროცესში მოუწევს. ამასთანავე, ოქმით გათვალისწინებულია ელექტროენერგეტიკის სექტორში მიწოდების უსაფრთხოების დირექტივის დანერგვას. იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ საქართველოს ენერგეტიკული სექტორი წარმოადგენს იზოლირებულ ბაზარს, რომელსაც არ აქვს „ენერგეტიკული გაერთიანების“ ან/და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ენერგეტიკულ სისტემებთან დამაკავშირებელი ელექტრული ქსელი, საქართველო დროებით სრულად

გათავისუფლებულია ტრანსსაზღვრო ვაჭრობის შესახებ რეგულაციების მოთხოვნების შესრულებისგან.

დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთების ოქმით განსაზღვრულია კონკრეტული ვადები და პირობები რომელთა ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს კონკრეტული დირექტივების და რეგულაციების მოთხოვნების ამოქმედება.

ელექტროენერგეტიკულ სექტორში ოქმით გათვალისწინებული იყო „ელექტროენერჯის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ N2009/72/EC დირექტივის, იმპლემენტაცია 2018 წლის 31 დეკემბრისთვის. ოქმით ასევე დადგენილია ბაზრის გახსნის ეტაპებს, რომლის თანახმადაც ევროკომისიის 2009/72/EC დირექტივის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, საქართველოს უნდა განხორციელებინა ყველა შესაბამისი მომხმარებლის ბაზარზე მონაწილეობის უზრუნველყოფა:

- 2018 წლის 31 დეკემბრიდან ყველა არასაკმაყოფილებლობა მომხმარებლისთვის,
- 2019 წლის 31 დეკემბრიდან ყველა მომხმარებლისთვის.³

„ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთების ოქმით გარდა კონკრეტული ვადებისა და პირობებისა რომლებიც საქართველოს აქვს შესასრულებელი გათვალისწინებულია ე.წ. „დეროგაციებიც“ ანუ, სპეციალური გამონაკლისები რომლებიც ასახულია ოქმის დანართში. მოცემული გამონაკისებით სარგებლობის უფლება საქართველომ მიიღო დამფუძნებელი ხელშეკრულების ხელმოწერით.

დანართში „ენერგეტიკის გაერთიანების“ მხრიდან აღნიშნულია იმ მდგომარეობის გააზრების შესახებ, რომელშიც საქართველო იმყოფება. პირველ რიგში, ხაზგასმულია საკითხი ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ და აღნიშნულია, რომ საქართველო არ არის პირდაპირ დაკავშირებული რომელიმე ხელშეკრული მხარის ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ელექტროენერგეტიკულ ქსელთან, რის

³ აღნიშნული ვალდებულება ახალი კანონის დაგვიანებით შემუშავების და ამოქმედების გამო ვერ შესრულდა დათქმულ ვადაში.

გამოც ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო გაცვლის შესახებ დებულებები მასზე არ გავრცელდება, მანამ სანამ, საქართველო ფიზიკურად არ მიუერთდება ენერგეტიკული გაერთიანების რომელიმე ხელშემკვრელ მხარეს ან ევროკავშირის რომელიმე წევრ სახელმწიფოს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მიეცა შესაძლებლობა მეზობელ სახელმწიფოებთან, რომლებიც არ არიან „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე მიერთებულები ან არ წარმოადგენენ ევროკავშირის წევრ ქვეყანას, თანამშრომლობა დატოვოს ეროვნული კანონმდებლობის კომპეტენციის ქვეშ [12].

დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთების ოქმით, როგორც ვნახეთ კონკრეტული ვადებია დადგენილი, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 2021 წლის ივნისის მდგომარეობითაც კი საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს შესრულებული ოქმის ხელმოწერით ნაკისრი ვალდებულებები და გახსნილი ელექტროენერგეტიკული ბაზარი. აღნიშნული, პირველ რიგში, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დაგვიანდა „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების“ შესახებ საქართველოს ახალი კანონის დათქმულ ვადებში მიღება. კონკრეტულად კი 2018 წლის ნაცვლად, საქართველოს პარლამენტმა კანონი მხოლოდ 2019 წლის 20 დეკემბერს მიიღო, ძალაში კი 27 დეკემბერს შევიდა. კანონის დაგვიანებულმა მიღებამ გამოიწვია, ბაზრის გახსნისთვის მნიშვნელოვანი საკვანძო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებისა და ამოქმედების ვადის გადაწევა. სწორედ, ზემოხსენებულმა ფაქტმა, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა და სხვა ფაქტორებმა, განაპირობა საქართველოს მთავრობის დადგენილების „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“⁴ მხოლოდ 2020 წლის 16 აპრილისთვის მიღება. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ბაზრის გახსნის ერთ – ერთ მთავარ

⁴ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N246 დადგენილება „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ შესახებ; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4852064?publication=0>

წინაპირობას. „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია“ ბაზრის გახსნის პირველი ეტაპის ბოლო ვადად ითვალისწინებს 2021 წლის 1 ივლისს, თუმცა რეფორმის კომპლექსურობისა და მსოფლიოში გამეფებული პანდემიის გამო აღნიშნულმა ვადამ მინიმუმ 6 თვით გადაიწია. შესაბამისად, საქართველო უნდა ისარგებლოს გადადებული ვადით და მოახერხოს რომ ამ დროისთვის ჰქონდეს ჩამოყალიბებული კარგადფუნქციონირებადი, გამართული ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზარი, რომელიც შეძლებს ბაზრის ყველა მონაწილის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

1.3. საქართველოს მიერ „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“

მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში

„ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანების შემდეგ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საქართველოს ელექტროენერგეტიკულმა ბაზარმა სხვადასხვა ცვლილება განიცადა. კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით უმნიშვნელოვანესია საქართველოს ახალი კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების“ შესახებ. არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის შესახებ“ და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის მიერ მიღებული დადგენილება „ელექტროენერჯის ბაზრის წესების შესახებ“, რომლითაც მიღებულ იქნა „ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესები“ და „ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე ბაზრის მომსახურების წესები“. ზემოხსენებული დოკუმენტების შემუშავება მარტივი და მოკლევადიანი პროცესი არ ყოფილა, თუმცა საბოლოოდ აღნიშნული საკანონმდებლო აქტების შემუშავებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ახალ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირებას.

საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ამოქმედება 2021 წლის ივლისიდან იგეგმებოდა.⁵ მანამდე ახალი კანონმდებლობა ავალდებულებს არსებულ ბაზრის მონაწილეებს განახორციელონ ძირეული ცვლილებები და რეფორმები იმისათვის, რომ სრულად იქნეს დაკმაყოფილებული მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნები და მათ ახალ ბაზარზე ოპერირება ყოველგვარი დებრკოლების გარეშე შეძლონ.

1.3.1. განცალკევება

„მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ ძირეულ ქვაკუთხედს, როგორც უკვე ავლინებთ, წარმოადგენს ე.წ. “Unbundling”-ი ანუ განცალკევება. საქართველოს აღნიშნული კუთხით სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება ჰქონდა განსახორციელებელი. პირველ რიგში, საქართველოსთვის ელექტროენერგეტიკულ სექტორში განცალკევება გულისხმობს განცალკევებას სხვადასხვა დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის 28 დეკემბრამდე საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებდა იმ საწარმოებს ანგარიშების ცალკე წარმოებას, რომლებიც ფლობდნენ ერთზე მეტ ლიცენზიას ან ეწეოდნენ სხვა კომერციულ საქმიანობას, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მესამე ენერგეტიკული პაკეტის განცალკევების მოთხოვნების დაკმაყოფილებას გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის. ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ამოქმედებით განცალკევების კუთხით არსებულმა მოთხოვნებმა სამართლებრივი სახე შეიძინა. განცალკევების მოთხოვნების დაცვის მიზნით, ელექტროენერგეტიკულ სექტორში საქართველოს სხვადასხვა დონეზე

⁵ რეფორმის კომპლექსურობიდან და საქართველოს მიერ არჩეული გზის სირთულიდან გამომდინარე ახალი ბაზრის ამოქმედება გადავადდა.

კონკრეტული ქმედებები უნდა განეხორციელებინა. მათ შორის გარკვეული ვალდებულებები, დაწყებული რეფორმის შედეგად, უკვე შესრულდა.

ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და განცალკევების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებლობას წარმოადგენდა ქსელური და კონკურენტული საქმიანობების ერთი და იგივე კომპანიების დაქვემდებარებიდან გასვლა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ენერგეტიკის სექტორში წამყვანი კომპანიების მესაკუთრეს სახელმწიფო წარმოადგენდა სს „საპარტნიორო ფონდის“ მეშვეობით, ხოლო მის საკუთრებაში არსებული კომპანიები მართვის უფლებით გადაცემული იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის. ელექტროენერჯის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ 2009/72/EC დირექტივის მე - 9 (6) მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ორგანოების სამართლებრივი განცალკევების შესაძლებლობა, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფოს დაქვემდებარების ქვეშ შესაძლოა დარჩეს როგორც ქსელური (გადაცემა, განაწილება) ასევე კონკურენტული (გენერაცია, მიწოდება) საქმიანობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე სახის საქმიანობა ცალკეული სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას და კონტროლს დაექვემდებარება. მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნების შესაბამისად განცალკევების დებულებების დასაკმაყოფილებლად საჭიროებას წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „საპარტნიორო ფონდის“, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ერთდროულად კომერციულ და ქსელურ საქმიანობაში, უფლებამოსილების განცალკევება. აღნიშნული დირექტივის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ჯერ კიდევ 2020 წლისთვის „საპარტნიორო ფონდმა“ გადასცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წილები ბაზრის ოპერირებისა და ელექტროენერჯის გადაცემის საქმიანობაში, რაც შეეხება მის საკუთრებაში არსებულ სს „თელასის“ 24.5% - იან წილს ის 2020 წელს აუქციონის სახით გაასხვისა კერძო მესაკუთრეზე. სწორედ, ინტერესთა კომფლიქტის თავიდან ასარიდებლად და განცალკევების მოთხოვნის

დასაკმაყოფილებლად მოხდა სახელმწიფოს მიერ ბაზრის ოპერირების და ქსელური საქმიანობების წილების დათმობა.

- **განცალკევება გადაცემის სისტემის კომპანიების დონეზე**

საქართველოში ელექტროენერგეტიკის სფეროში ლიცენზიის მქონე სამი კომპანია აწარმოებდა გადაცემის საქმიანობას. ეს კომპანიებია: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე), სს გეს „საქრუსენერგო“ და შპს „ენერგოტრანსი“. სახელმწიფო განკარგავდა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის 100% წილს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენდა „ენერგოტრანსის“ 100% წილის მფლობელს. მესამე ენერგეტიკული პაკეტის განცალკევების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად განხორციელდა სს „სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და „ენერგოტრანსის“ შერწყმა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ერთი კომპანია. სახელმწიფო, აგრეთვე, განკარგავს „საქრუსენერგოს“ 50% წილს, ხოლო დანარჩენ 50% ფლობს რუსული მხარე. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, ამასთანავე წარმოადგენს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიის ერთადერთ მფლობელს, რომელიც პასუხს აგებს საქართველოს მთელი ელექტროსისტემის ტექნიკურ მართვასა და გამართულად ფუნქციონირებაზე. კანონმდებლობის თანახმად, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოს არჩევანი უნდა გაეკეთებინა განცალკევების მხოლოდ ორ მოდელს შორის. საქართველოს მთავრობის დადგენილებით გადაცემის სისტემის ოპერატორის განცალკევების მოდელად არჩეულ იქნა ქონებრივი განცალკევება. მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, ქონებრივი განცალკევებისთვის (OU) „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ გაიარა სერტიფიცირება, როგორც ერთიანი გადაცემის სისტემის ოპერატორმა. ამ მიზნით, სსე - ს მართვის უფლებით გადაეცა სს გეს „საქრუსენერგოს“ წილის საკონტროლო პაკეტს, რათა მან დაუბრკოლებლად შეძლოს მთლიანი ქსელის მართვა და კონტროლი (დისპეტჩირება), დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები ქსელის განვითარებისა და მესამე მხარის ქსელზე დაშვების შესახებ [14].

- **განცალკევება გამანაწილებელი კომპანიების დონეზე**

„ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი რომელიც 2019 წლის 27 დეკემბრამდე მოქმედებდა არ იცნობდა მიმწოდებლის ინსტიტუტს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე. ელექტროენერგეტიკის სექტორში მიწოდების საქმიანობას ახორციელებდნენ და 2021 წლის პირველ ივლისამდე განახორციელებენ გამანაწილებელი ლიცენზიის მქონე კომპანიები, რაც მესამე ენერგეტიკული პაკეტის თანახმად წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს საცალო ბაზარზე კონკურენციის განვითარების კუთხით. საცალო ბაზარზე მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯიის მიწოდება ხორციელდება გამანაწილებელი კომპანიების სს „თელასისა“ და სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ. მომხმარებლებს 2019 წლის დეკემბრამდე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ ჰქონდათ შესაძლებლობა თავისუფლად შეეცვალათ ელექტროენერჯიის მიმწოდებელი, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა განაწილების საქმიანობის განხორციელებისგან.

ელექტროენერჯიის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ 2009/72/EU დირექტივის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, საჭიროებას წარმოადგენს, სს „თელასისა“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კომპანიების გამანაწილებელ საქმიანობას გამოეყოს ელექტროენერჯიის მიწოდების საქმიანობა. აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისია ზემოხსენებული კომპანიების სამართლებრივი განცალკევება. გადამცემი საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიებისგან განსხვავებით, გამანაწილებელ კომპანიებს არ მოეთხოვებათ ქონებრივი განცალკევება. შესაბამისად, სამართლებრივი და ფუნქციური განცალკევება სრულიად საკმარისია „unbundling“-ის/განცალკევების მოთხოვნების ბოლომდე დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით, „თელასი“ და „ენერგო-პრო ჯორჯია“ უფლებამოსილნი არიან დააფუძნონ შვილობილი კომპანიები, რომლებიც მათი ქსელური საქმიანობისგან დამოუკიდებლად, განახორციელებენ ელექტროენერჯიის მიწოდების საქმიანობას და მოახდენენ საცალო მომხმარებლების ელექტროენერჯით მომარაგებას. 2021 წლის პირველი ივლისიდან განაწილებისა და მიწოდების საქმიანობების

გამიჯვნა განხორციელდება. ელექტროენერჯის მიწოდება გამოეყოფა მონოპოლიურ საქმიანობას განაწილებას და ის საქართველოსთვისაც გახდება კონკურენტული საქმიანობა, როგორც ეს მიღებულია ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებში.

1.3.2. ბაზრის ახალი მოდელი

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდ სირთულეს სახელმწიფოსთვის ბაზრის ახალი მოდელის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია და ბაზარზე არადისკრიმინაციული, კონკურენტული გარემოს შექმნა, საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, მარტივი პროცესი არ არის.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის შემუშავება, ევროკავშირისა და „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნების შესაბამისად გულისხმობს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ორგანიზებული ბაზრების არსებობას. კონკრეტულად კი, დღით ადრე, დღიური, საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, ბაზრის ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ: ელექტროენერჯის ბაზრის ოპერატორი, გადამცემი სისტემის ოპერატორი, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, ელექტროენერჯის მწარმოებელი, ტრეიდერი, მიმწოდებელი, მსხვილი მომხმარებელი, საბითუმო საჯარო მომსახურების გამწევი ორგანიზაცია. „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, ბაზარზე უნდა გაჩნდნენ ახალი სუბიექტები და წარმოიქმნან ახალი საქმიანობები.

ბაზრის ახალი მოდელის ჩამოყალიბებისკენ უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების“ შესახებ საქართველოს ახალი კანონის მიღება და მის საფუძველზე 2020 წლის 16 აპრილს მიღებული მთავრობის დადგენილება „ელექტროენერჯის ბაზრის

მოდელის კონცეფციის“ შესახებ. აღნიშნული დადგენილება აყალიბებს ახალი ბაზრის მოდელის საკვანძო პრინციპებსა და ამოქმედების ვადებს. გარდა ამისა, კონცეფციით მტკიცდება საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპები. ხოლო რაც შეეხება, აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბებული, ელექტროენერგეტიკული ბაზრის შერჩეულ მოდელსა და მისი ამოქმედების მიზნით გადადგმული ნაბიჯების სისწორეს, ამას სადისერტაციო თემის მომდევნო თავებში განვიხილავთ.

თავი 2. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის არსებული მოდელის ანალიზი

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირებამ კარგად ფუნქციონირებად ბაზრად ჩამოყალიბებამდე მრავალი ტრანსფორმაცია განიცადა.

საქართველოს მიერ „ენერგეტიკული გაერთიანების“ წინაშე, „მესამე ენერგეტიკული პაკეტის ფარგლებში“, ნაკისრი ვალდებულებები, მართალია 2021 წლის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ არის შესრულებული, თუმცა ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესისკენ კონკრეტული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ჯერ კიდევ 2014 წლიდან დაიწყო. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ პერიოდის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები როგორებიც არის „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ როლის გაძლიერება სხვადასხვა კუთხით. ასევე, ამ პერიოდის მიმდინარე მოვლენების შეფასების დროს არ შეილება არ ყურადღების გარეშე დარჩეს ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის პროცესი. 2012 – დან 2014 წლამდე პერიოდში შვიდი ჰიდროელექტროსადგური შევიდა ექსპლუატაციაში 150 მგვტ. ჯამური დადგმული სიმძლავრით. ეს ჰიდროელექტროსადგურებია : შილდა, ბახვი, ლარსი, ახმეტა, ყაზბეგი, არაგვი და ფარავანი. არ შეიძლება, აღნიშნული მოვლენა არ შეფასდეს დადებითად. ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა აძლიერებს ქვეყნის როგორც ენერგეტიკულ ასევე ეკონომიკურ შესაძლებლობებს [15].

2013 წლის ბოლოს და 2014 წლის დასაწყისში ენერგეტიკის შესახებ კანონმდებლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რითაც დაიწყო არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაციის მეოთხე ეტაპი. აღნიშნული ტრანსფორმაციის დინამიკა მოცემულია ნახაზზე N1. აღნიშნული ტრანსფორმაციის განხორციელების მიზნით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს იმ

დროისთვის მოქმედ კანონში 2013 წლის 27 დეკემბერს შევიდა შემდეგი სახის მნიშვნელოვანი და საკვანძო ცვლილებები:

- „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი“ ეწოდა და შესაბამისი ფუნქციების განხორციელება დაეკისრა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“;
- ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის, გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის წესების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, საბალანსო ელექტროენერჯისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა – გაყიდვის სტანდარტული პირობებისა და ერთიანი საბუღალტრო – სააღრიცხვო სისტემის დანერგვის ვალდებულება განესაზღვრა მარეგულირებელ კომისიას;
- დადგინდა ელექტროენერჯის ტრანზიტის განხორციელების შესაბამისი პირობები, აგრეთვე განისაზღვრა მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი;
- დაწესდა ახალი 400 კვ გადამცემი ხაზით ელექტროენერჯის ექსპორტის განხორციელების პრიორიტეტები და ტრანსსასაზღვრო გამტარუნარიანობის განსაზღვრისა და განაწილების ძირითადი პრინციპები;
- განისაზღვრა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ყოველდღიურ ვაჭრობის მოდელზე გადასვლის დაწყების პერიოდი და სხვ.


„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წლის 23 დეკემბერს ასევე შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა თანახმად:

- განიმარტა გადამცემი სისტემის ოპერატორის არსი, მისი შესაბამისი ფუნქცია - მოვალეობების შესრულება დაევალა ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს და დადგინდა მისი კონკრეტული კომპეტენციის ფარგლები;
- განისაზღვრნენ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პასუხისმგებელი პირები (გადამცემი სისტემის ოპერატორი და ენერგეტიკის

სამინისტრო)⁶. ასევე დადგინდა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მიზანი და ამოცანები. შემუშავდა მისი განხილვისა და დამტკიცების შესაბამისი პროცედურები, ასევე – განხორციელების მექანიზმები;

- განისაზღვრა სასისტემო (დამხმარე) მომსახურების სტრუქტურის, საპროგნოზო ღირებულებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირი – გადამცემი სისტემის ოპერატორი...[16]

აღნიშნულმა მოვლენებმა მყარი საფუძველი ჩაუყარა ელექტროენერგეტიკული ბაზრის არსებული მოდელის ფორმირებას და ბაზრის ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.



ნახ. 1. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის დინამიკა 2013–2016 წლებში

ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებები და ზოგადად განვითარების ტენდენცია შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ ხელს უწყობდა ენერგეტიკული სექტორის სტრუქტურისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ დებულებებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის განვითარებას, თუმცა იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ შეიცავდა

⁶ დღეის მდგომარეობით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

იმ საკვანძო საკითხებს, რაც აუცილებელი იყო ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნისთვის.

2014 წელს განვითარებული პოზოტიური მოვლენების გარდა, მნიშვნელოვანი და შეიძლება საკვანძო ღონისძიებები განხორციელდა 2018 წელს, რომლებმაც მოგვიყვანა დღეს მოქმედ ელექტროენერგეტიკულ ბაზრამდე.

2018 წელს მნიშვნელოვნად განახლდა და დაიხვეწა ელექტროენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელი ჩარჩო, რაც ხელს უწყობს საქართველოს ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესს და მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას, კერძოდ, ცვლილებები შევიდა როგორც პირველად, ისე მეორად კანონმდებლობაში.

2018 წლის მდგომარეობით მოქმედ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ დაზუსტდა პირდაპირი მომხმარებლის სტატუსი. კერძოდ, კი „ელექტროენერგის პირდაპირ მომხმარებელს, წარმოადგენდა ის მომხმარებელი რომელიც საკუთარი საჭიროებისთვის ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებდა წარმოების ან გადაცემის ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან სხვა მომხმარებლის კუთვნილი ქსელიდან, აღნიშნულ ქსელზე მდებარე მიწოდების წერტილებიდან ჯამურად, კალენდარული წლის შედეგებით, საშუალოდ თვიურად მოიხმარდა არანაკლებ 15 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას და აკმაყოფილებდა „ელექტროენერგის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს“. ახალი ცვლილებების მიხედვით პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაცია შეუქცევად პროცესს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს რომელიც დარეგისტრირდა პირდაპირ მომხმარებლად არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა საცალო მომხმარებლად რეგისტრაცია.

განხორციელებული ცვლილება ითვალისწინებდა ზემოხსენებული მომხმარებლების დარეგისტრირებას საბითუმო ბაზარზე კვალიფიციურ

მომხმარებლად და მათ მიერ ელექტროენერჯის უშუალოდ გენერაციის ობიექტებისა და იმპორტიორებისაგან პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდვას.

აღნიშნული ცვლილება ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნის პროცესში მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, თუმცა ბაზრის ლიკვიდურობისა და მის სრულად გასახსნელად ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი. რა თქმა უნდა, ბაზრის სრულად გახსნა ისეთი პატარა ლიკვიდურობის მქონე ქვეყნისთვის როგორც საქართველოა მარტივი არაა, ბაზარზე ფასების რადიკალური ცვლილება მძიმე ტვირთად დააწვება როგორც ბაზრის მონაწილეებს, ასევე მომხმარებლებსაც. სწორედ, ამიტომ დაიწყო ბაზრის გახსნის პროცესი 2018 წლიდან ეტაპობრივად. გარდა იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებმა დააზუსტა პირდაპირი მომხმარებლის სტატუსი, ასევე, საქართველოს მთავრობას განესაზღვრა ვალდებულება დაედგინა პირდაპირ მომხმარებლად პირის რეგისტრაციის კრიტერიუმები.

ასევე სიახლე იყო ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ისეთი ახალი სუბიექტის წარმოქმნა როორც არის ელექტროენერჯის საბითუმო მიმწოდებლის. აღნიშნულ სუბიექტს, მიენიჭა კვალიფიციური მომხმარებლის სტატუსი. მის ფუნქციად კი, წარმოების ლიცენზიატებისგან, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებისგან და იმპორტიორებისგან ელექტროენერჯის შესყიდვა და პირდაპირი მომხმარებლებისა და ექსპორტიორებისთვის მისი მიწოდება განისაზღვრა.[17] შესაბამისმა ცვლილებებმა გამოიწვია ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურის მცირედი ცვლილება, რომელიც ნაჩვენებია ნახაზზე N2.

ევროპის „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების ოქმი და ევროკავშირთან „ასოცირების შეთანხმება“ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის მოთხოვნებთან, რომელთა მიზანია ენერგეტიკის სფეროში კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით კანონმდებლობაში ძირეული ცვლილებების განხორციელებამდე, დადგა საჭიროება თანდათანობით გაზრდილიყო

რომლის თანახმადაც: ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლად სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება „პირი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლისთვის განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს“. განხორციელებული ცვლილებების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე მომხმარებლების ეტაპობრივი დაშვება ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე და საბითუმო ბაზარზე ელექტროენერჯის მყიდველთა რაოდენობის გაზრდა, ამასთანავე ელექტროენერჯეტიკული ბაზრის გახსნის პროცესის მოქნილი, მარტივი და ეფექტური აღსრულების ხელშეწყობა.

ცვლილების შემდეგ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონმა როგორც უკვე ვნახეთ პირდაპირი მომხმარებლის განმარტება მთავრობის დადგენილებას დაუკავშირა. მთავრობის დადგენილებით სავალდებულო კრიტერიუმად კი განისაზღვრა შემდეგი: „პირდაპირ მომხმარებელს, წარმოადგენს მომხმარებელი, რომელიც საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერჯიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების, გადაცემის ან განაწილების ლიცენზიატ(ებ)ის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან სხვა მომხმარებლის კუთვნილი ქსელ(ებ)იდან, მისი ქსელთან მიერთების წერტილებიდან ერთი მაინც მდებარეობს 35-110 კილოვოლტის ძაბვის ქსელზე, აღნიშნული ძაბვის ქსელ(ებ)ზე მდებარე მიწოდების წერტილ(ებ)იდან, ჯამურად, თვეში მოიხმარს არანაკლებ 5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერჯიას და აკმაყოფილებს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს“ [18].

გარდა იმისა, რომ მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლებისთვის სავალდებულო კრიტერიუმები, ასევე განისაზღვრა ვადა რომლის ფარგლებშიც, მომხმარებლები, რომლებიც 2018 წლის მონაცემების საფუძველზე აკმაყოფილებდნენ აღნიშნულ კრიტერიუმებს უნდა

დარეგისტრირებულიყვნენ პირდაპირ მომხმარებლებად. აღნიშნული რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 2019 წლის პირველი მაისისა. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილება და მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე გაზარდა ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა და შესაბამისად მისი ლიკვიდურობა.

2.1. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის არსებული სტრუქტურა და სუბიექტები

შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, სხვადასხვა მნიშვნელოვანმა რეფორმამ, სახელმწიფოს მცდელობამ გამხდარიყო ევროპული ოჯახის წევრი მოგვიყვანა დღევანდელ ელექტროენერგეტიკულ ბაზრამდე, რომელიც ეტაპობრივად განხორციელებული ცვლილებებისა და სიახლეების მიუხედავად ჯერ კიდევ ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს, იმისათვის რომ ჩამოყალიბდეს გახსნილ და კონკურენტულ ელექტროენერგეტიკულ ბაზრად. თუმცა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დაწყებული ბაზრის ტრანსფორმაციის პოზიტიური ტენდენციები და სახელმწიფოს მცდელობა დაუახლოვდეს ევროპის ენერგეტიკულ ბაზრებს.

ზემოხსენებულმა და დეტალურად განხილულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მოგვიყვანა დღევანდელი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირებამდე. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ამჟამინდელი მოდელი, შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც პირდაპირი კონტრაქტების ბაზარი, სადაც ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეები ვალდებულების შესრულებას ახორციელებენ ყოველთვიური ანგარიშსწორების საფუძველზე. პირდაპირი კონტრაქტების ბაზართან ერთად ასევე ფუნქციონირებს ელექტროენერჯის საბალანსო ბაზარი, რომელიც ელექტროენერგეტიკული ბაზრს მონაწილეებს საშუალებას აძლევს შეისყიდონ/გაყიდონ დამატებით მოთხოვნილი/გამომუშავებული ელექტროენერჯია და დააბალანსონ პირდაპირი კონტრაქტებით მათ მიერ

ნაკისრი ვალდებულებები. ზემოხსენებულ ელექტროენერგეტიკულ ბაზრებთან ერთად კვლავ ფუნქციონირებს გარანტირებული სიმძლავრის ბაზარი, რომელიც ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობასა და საიმედო ფუნქციონირებას ესმახურება [19]. როგორც საბალანსო ელექტროენერგის ბაზარს, ასევე გარანტირებული სიმძლავრის ბაზარსაც დღეის მდგომარეობით ოპერირებას უწევს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ – ესკო, რომელიც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ფუნქციებს ასრულებდა და დღესაც ასრულებს. 2019 წლის 28 დეკემბერს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებითა და „ელექტროენერგის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N246 დადგენილებით „ესკო“ ბაზრის ოპერატორის ფუნქციებს ბაზრის სრულ გახსნამდე გარდამავალ პერიოდში განახორციელებს.

საქართველოს მოქმედი ელექტროენერგეტიკული ბაზარი საბითუმო და საცალო ბაზრებისგან შედგება.

საბითუმო ბაზარზე ბაზრის მონაწილეებს შორის ურთიერთობა და ელექტროენერგით ვაჭრობა უმეტესად წესრიგდება პირდაპირი კონტრაქტებით. ელექტროენერგიას ყიდიან ელექტროენერგის მწარმოებლები, იმპორტიორები, საბითუმო მიმწოდებლები, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო), ხოლო ყიდულობენ – ელექტროენერგის განაწილების ლიცენზიატები (მიწოდებისა და ქსელის დანაკარგების შესყიდვის ნაწილში), პირდაპირი მომხმარებლები, ექსპორტიორები, ელექტროენერგის მწარმოებლები (სასადგურე დანახარჯებისათვის), ესკო და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგის შესყიდვის ნაწილში. საბითუმო ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე მონაწილეობისთვის საჭიროებას

წარმოადგენს კვალიფიციურ საწარმოად სუბიექტის დარეგისტრირება. აღნიშნულ რეგისტრაციას ახორციელებს ესკო [20].

ელექტროენერჯის მწარმოებლები, რეგულირების მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა კატეგორიებად იყოფა. ეს კატეგორიებია:

ა) *მარეგულირებელი ელექტროსადგურები*, რომლებსაც კომისია უდგენს ფიქსირებულ ტარიფებს;

ბ) *ნაწილობრივ დერეგულირებული ელექტროსადგურები 40 მგვტ - ზე მეტი სიმძლავრით*, რომლებსაც კომისია უდგენს ზღვრულ (ზედა ზღვარი) ტარიფებს;

გ) *ნაწილობრივ დერეგულირებული ელექტროსადგურები 40 მგვტ -ზე ნაკლები სიმძლავრით*, რომლებიც რჩებიან სალიცენზიო რეგულირების ფარგლებში, თუმცა გათავისუფლებული არიან სატარიფო რეგულირებისგან;

დ) *დერეგულირებული ელექტროსადგურები*, რომლებიც აშენებულია 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ და ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე საქმიანობას ახორციელებენ კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის გარეშე;

ე) *გარანტირებული სიმძლავრის წყაროები* (თბოელექტროსადგურები), რომლებსაც კომისია უდგენს გარანტირებული სიმძლავრის საფასურს და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრულ (ზედა ზღვარი) ტარიფს.

იმ ელექტროსადგურებზე, რომელთა საპროექტო სიმძლავრე აღემატება 15 მგვტ - ს, კომისია გასცემს ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიას, ხოლო 15 მგვტ - მდე საპროექტო სიმძლავრის ელექტროსადგურები (მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები) გათავისუფლებულია ლიცენზირების ვალდებულებისაგან.

გარანტირებული სიმძლავრის წყაროების ფუნქციონირება ემსახურება ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო, გამართულ და საიმედო ოპერირების უზრუნველყოფას. გარანტირებული სიმძლავრის წყაროებს ადგენს საქართველოს მთავრობა გარანტირებული სიმძლავრისა და მათ მიერ

გარანტირებული სიმძლავრით სისტემის უზრუნველყოფის პერიოდის მიხედვით ინდივიდუალურად [20].

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე შედარებით ახალ სუბიექტს წარმოადგენს ელექტროენერჯის საბითუმო მიმწოდებელი, რომელიც ვაჭრობს ელექტროენერჯით. ბაზრის აღნიშნული მონაწილე ელექტროენერჯის შეისყიდის წარმოების ლიცენზიატებისაგან, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებისაგან, იმპორტიორებისგან, ხოლო, თავის მხრივ, ელექტროენერჯიას ყიდის პირდაპირ მომხმარებლებსა და ექსპორტიორებზე.

ელექტროენერჯის იმპორტისა და ექსპორტის საქმიანობები საქართველოში დერეგულირებულია და შესაძლებელია, განხორციელდეს ლიცენზიის გარეშე. ელექტროენერჯის ექსპორტი ხორციელდება თავისუფალი (ტარიფის გარეშე) ფასით, ელექტროენერჯის იმპორტის შემთხვევაში – ფასით, რომელიც იანგარიშება კომისიის მიერ დადგენილი ფორმულით⁷ [20].

2020 წელს ელექტროენერჯის ბაზარზე პირდაპირ მომხმარებლებად სავალდებულო წესით წარმოდგენილი იყვნენ მომხმარებლები, რომლებიც საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერჯიას (სიმძლავრეს) იღებდნენ წარმოების, გადაცემის ან განაწილების ლიცენზიატ(ებ)ის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან სხვა მომხმარებლის კუთვნილი ქსელ(ებ)იდან, ქსელთან მიერთების წერტილებიდან ერთი მაინც მდებარეობდა 35 – 110 კილოვოლტის ძაბვის ქსელზე, აღნიშნული ძაბვის ქსელ(ებ)ზე მდებარე მიწოდების წერტილ(ებ)იდან, ჯამურად, თვეში საშუალოდ მოიხმარდნენ არანაკლებ 5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერჯიას. ამასთანავე, მათი მოხმარების არანაკლებ 90% მიღებული აქვთ 35 - 110 კილოვოლტის ძაბვის ქსელზე მდებარე მიწოდების წერტილებიდან და მომხმარებლები, რომლებიც საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერჯიას (სიმძლავრეს) იღებენ წარმოების

⁷ იმპორტთან დაგავშირებით მიდგომა შეიცვალა, ელექტროენერჯის იმპორტის განხორციელება შესაძლებელია თავისუფალი ტარიფით

ლიცენზიატ(ებ)ის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის კუთვნილი 6 – 10 კილოვოლტი სძაბვის ქსელ(ებ)იდან და აღნიშნული მიწოდების წერტილ(ებ)იდან, ჯამურად, თვეში საშუალოდ მოიხმარენ არანაკლებ 5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას [20].

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს ელექტროენერგის ვაჭრობის კუთხით შეუძლია, შეისყიდოს ან/და გაყიდოს ელექტროენერგია პირდაპირი ხელშეკრულებებით ან საბალანსო ელექტროენერგის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით, კვალიფიციური საწარმოების მოთხოვნათა დაკმაყოფილების (დაბალანსების) მიზნით. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, მასზე კანონით დაკისრებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების ფარგლებში, ორგანიზებას უწევს გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას, ახორციელებს ენერგეტიკული საწარმოების ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციას, სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებას საჭიროების შემთხვევაში და რეგისტრაციის გაუქმებას. ესკო ფლობს და ექსპლუატაციას უწევს კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემას (კაას სისტემა), რომელიც ახდენს ელექტროენერგის ყიდვა-გაყიდვის ერთიანი ბაზის ფორმირებას და აღრიცხვის მონაცემებს ავტომატურად იღებს ელექტროენერგისა და სიმძლავრის კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზებული (ესკაა) სისტემებიდან. მის ფუნქციას წარმოადგენს მონაცემების მიღება, შემოწმება, შეგროვება, დაჯგუფება და დაჯამება ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობის ანგარიშსწორებისათვის [20].

ელექტროენერგის საბითუმო ბაზარზე საქსელო და სისტემურ მომსახურებას გადამცემი სისტემის და განაწილების ლიცენზიატები ახორციელებენ. გადამცემი სისტემის ოპერატორის, რომელიც ამავდროულად არის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, გაფორმებული აქვს სპეციალური ხელშეკრულებები გადამცემი ქსელის აქტივების მფლობელ გადამცემის ლიცენზიატებთან. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გადამცემის სისტემის მფლობელი კომპანიები გადამცემი ქსელის

ოპერირებისა და განვითარების დაგეგმვის უფლებამოსილებას ანდობენ გადაცემის სისტემის ოპერატორს. გადაცემის სისტემის ოპერატორი სისტემის ძირითად მართვას უზრუნველყოფს SCADA - ს გამოყენებით, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს საზედამხედველო კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების ელექტრონულ სისტემას. ამასთანავე, იყენებს ზედა დონის ელექტროენერჯის, სიმძლავრის კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემას (ზედა დონის ესკაა სისტემა) [20].

ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატები საქსელო, ამასთანავე გატარების მომსახურებას ახორციელებენ როგორც მათი, ასევე მესამე პირების საკუთრებაში არსებული ელექტროენერგეტიკული ქსელების მეშვეობით. [20].

ელექტროენერჯის საცალო ბაზარზე ელექტროენერჯის გაყიდვა ხორციელდება განაწილების ლიცენზიატების მეშვეობით მარეგულირებელი კომისიის განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად. განაწილების ლიცენზიანტები ასევე ახორციელებენ საცალო მომხმარებლების საქსელო და სასისტემო მომსახურებას მიწოდების მომსახურებასთან ერთად. [20].

ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე საცალო მომხმარებლები საცალო ბაზრის სეგმენტზე წარმოდგენილი არიან საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებით. ამასთანავე, 2016 წლიდან, აღნიშნულ კატეგორიებს, საკანონმდებლო სიახლეების და განახლებადი ენერჯის წყაროების წახალისების უზრუნველსაყოფად, შეემატა ის საცალო მომხმარებელი, რომელიც ფლობს განახლებადი ენერჯის წყაროზე მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურს [20].

2020 წლის მდგომარეობითაც ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე შენარჩუნდა 2018 წლის ბაზრის სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია ზემოთმოყვანილ ნაზაზზე N1.

საკანონმდებლო სიახლეებმა, ბაზარზე ახალი მოთამაშეების გაჩენამ, პირდაპირი მომხმარებლების თვისობრივად ახალი განმარტების შემუშავებამ, გამოიწვია ის რომ 2019 წელს საბითუმო ბაზრის მონაწილეთა

რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. კონკრეტულად კი თხუთმეტი პირდაპირი მომხმარებელი⁸ და ათი საბითუმო მიმწოდებელი⁹ დაემატა ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს [21].

2019 წლის პირველი მაისიდან ბაზრის დერეგულირებისა და კონკურენტული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბების გეგმის ფარგლებში, თერთმეტი კომპანია, რომელთა თვიური ელექტროენერჯის მოხმარება აღემატებოდა 5 მგვტ.სთ – ს სავალდებულო წესით დარეგისტრირდა ელექტროენერჯის პირდაპირ მომხმარებლად. სავალდებულო წესით რეგისტრაცია 2018 წლის მაისშიც განხორციელდა იმ კომპანიებისთვის, რომელთა მოხმარება თვიურად 15 მგვტ.სთ – ს აღემატებოდა. ამ ორი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლების რიცხვი ბოლო ორ წელიწადში 2 – იდან 15 – ამდე გაიზარდა. ამასთან, მათი ჯამური ყოველთვიური მოხმარება გასამმაგდა – თუ 2018 წლის იანვარში მათი ჯამური მოხმარება 108 მგვტ.სთ – ი იყო, 2019 წლის ივლისის მონაცემებით 334 მგვტ.სთ შეადგინა [22]. აქვე აღსანიშნავია, რომ ბაზრის დერეგულირების პროცესი 2020 – 2021 წლებშიც გრძელდება და ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს პირდაპირი მომხმარებლები თანდათან და ეტაპობრივად ემატებიან.

⁸ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“; შპს „ჯორჯიან მანგანუმი“; შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯია“; სს ენერგო პრო ჯორჯია“; შპს „ბლოქ ფაუერი“; შპს „ჯი თი ემ გრუპი“; შპს „რუსთავის ფოლადი“; შპს „ჯეოსთილი“; შპს „აითილეები“; შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“; სს „რუსთავის აზოტი“; შპს „რუსელოის“; სს „RMG Copper“; შპს „ჭაიდელბერგცემენტ ჯორჯია“; შპს ჯეომეინთენანსი“;

⁹ შპს „თბილისის საინვესტიციო ჯგუფი“; შპს „მარილო კონსალტინგი“; შპს „საქართველოს საერთა-შორისო ენერგეტიკული კორპორაცია“; სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“; სს „ენერგო-პრო ჯორჯია“; შპს „ენერგია ექსი“; შპს „საქართველოს ენერჯით ვაჭრობის კომპანია“; შპს „ინტერ რაო საქართველო“; შპს „ენ ფი ჯგუფი“; შპს „კოინმანიია“; შპს „თრეიდინგ სოლუშენს“; შპს „ქისტოუნ ქოლსანთინგ“; შპს „ეი ელ ენ ქომოდითი“;

2.2. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის 2019 – 2020

წლების მახასიათებლები

შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, სხვადასხვა მნიშვნელოვანმა რეფორმამ, სახელმწიფოს მცდელობამ გამხდარიყო ევროპული ოჯახის წევრი მოგვიყვანა დღევანდელ ელექტროენერგეტიკულ ბაზრამდე, რომელიც ეტაპობრივად განხორციელებული ცვლილებებისა და სიახლეების მიუხედავად ჯერ კიდევ ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს, იმისათვის რომ ჩამოყალიბდეს გახსნილ და კონკურენტულ ელექტროენერგეტიკულ ბაზრად. თუმცა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სახელმწიფოსა და ელექტროენერგეტიკული სექტორის მონაწილეთა მიერ გადადგმული ნაბიჯები მოთხოვნების შესასრულებლად და აღნიშნულის შედეგად მიღებული პოზიტიური ცვლილებები. სწორედ, რომ აღნიშნულმა გადაწყვეტილებებმა განაპირობა 2019 – 2020 წლის ელექტროენერგეტიკული ბაზრის მახასიათებლების ჩამოყალიბება.


ელექტროენერგეტიკული ბაზრის მნიშვნელოვან და ერთ – ერთ ძირითად მონაწილეს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“. კანონმდებლობის საფუძველზე „ესკო“ ექსკლუზიურად ახორციელებს საბალანსო ელექტროენერგიითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობას, სეზონური საჭიროების მიხედვით, ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტს, საბითუმო აღრიცხვის კვანძების ინსპექტირებას; გვევლინება ახლადამენებული ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გარანტირებულ შემსყიდველად და სხვ.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის 2019 წლის საქმიანობის ანგარიშში დეტალურად არის მოყვანილი არსებული ბაზრის მდგომარეობა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები. „ესკოს“ მონაცემებით 2019 წელს მთლიანმა მიწოდება - მოხმარებამ 13 253 673 102.21 კვტ.სთ შეადგინა [23], მათ შორის:


კვალიფიციურ საწარმოებს შორის გაფორმებული ელექტროენერჯის ნასყიდობის პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე სულ გაყიდული (შესყიდული) იქნა 10 369 781 406.8 კვტ.სთ ელექტროენერჯია, რაც მთლიანი მიწოდება - მოხმარების 78% შეადგენს. რაც შეეხება 2020 წელს, მთლიანმა მიწოდება - მოხმარებამ 12 553 319 157,0 კვტ.სთ შეადგინა [24], მათ შორის: კვალიფიციურ საწარმოებს შორის გაფორმებული ელექტროენერჯის ნასყიდობის პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე სულ გაყიდული (შესყიდული) იქნა 9 531 194 521,8 კვტ.სთ ელექტროენერჯია, რაც მთლიანი მიწოდება - მოხმარების 76% შეადგენს.

2019 წელს გაყიდული (შესყიდული) საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობამ 2 883 891 695.41 კვტ.სთ შეადგინა [25], რაც მთლიანი ქსელში მიწოდების 22% - ია. 2020 წელს კი, გაყიდული (შესყიდული) საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობამ 3 022 124 635.2 კვტ.სთ შეადგინა [26], რაც მთლიანი ქსელში მიწოდების 24% - ია.

ნახაზებზე 3 და 4 მოცემულია 2019 – 2020 წლებში საბალანსო ელექტროენერჯის წილები მიწოდების მთლიან მოცულობაში.



ნახ. 3. საბალანსო ელექტროენერჯის წილი მთლიან მიწოდებაში, 2019 წ.



ნახ. 4. საბალანსო ელექტროენერჯის წილი მთლიან მიწოდებაში, 2020 წ.

2019 - 2020 წლებში „ესკო“ - ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია შედგება თბოელექტროსადგურების, ჰიდროელექტროსადგურების, ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული და იმპორტირებული ელექტროენერგიისაგან, რომელთა წილობრივი მონაწილეობა მოცემულია ცხრილებში N2 და N3.

ცხრილი 1. 2019 წელს კვალიფიციური საწარმოების წილობრივი მონაწილეობა ესკო - ს მიერ შესყიდულ საბალანსო ელექტროენერგიაში

ელექტროენერგიის გამყიდველები	2019 წელი	
	კვტ.სთ	წილი, %
ჰიდროელექტროსადგურები	1 143 349 566.21	39.6%
თბოელექტროსადგურები	130 959 778.30	4.50%
ქარის ელექტროსადგური	84 635 180.00	2.90%
იმპორტიორი	1 524 947 170.90	52.90%
ჯამი	2 883 891 695.41	100%

ცხრილი 2. 2020 წელს კვალიფიციური საწარმოების წილობრივი მონაწილეობა ესკო - ს მიერ შესყიდულ საბალანსო ელექტროენერგიაში

ელექტროენერგიის გამყიდველები	2020 წელი	
	კვტ.სთ	წილი, %
ჰიდროელექტროსადგურები	1 555 207 177.3	52%
თბოელექტროსადგურები	253 202 698.1	8%
ქარის ელექტროსადგური	90 780 200.0	3%
იმპორტიორი	1 122 934 559.8	37%
ჯამი	3 022 124 635.2	100%

ჯერ კიდევ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება ხდება „ესკო“ - ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასის პრინციპით.

2019 წელს საბალანსო ელექტროენერგიის გასაყიდი საშუალო შეწონილი ტარიფები [25] მოყვანილია ცხრილში N4.

ცხრილი 3. 2019 წ. საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ტარიფი

პერიოდი, 2019	ტარიფი თეთრი/კვტ.სთ
იანვარი	13.5344729
თებერვალი	13.6642708
მარტი	13.4569052
აპრილი	13.0127023
მაისი	7.363211
ივნისი	7.2359449
ივლისი	13.6042795
აგვისტო	14.2850281
სექტემბერი	14.8374913
ოქტომბერი	14.6878804
ნოემბერი	15.4506703
დეკემბერი	14.7297273

2020 წელს საბალანსო ელექტროენერჯის გასაყიდი საშუალო შეწონილი ტარიფები [26] მოყვანილია ცხრილში N5.

ცხრილი 4. 2020 წ. საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ტარიფი

პერიოდი, 2020	ტარიფი თეთრი/კვტ.სთ
იანვარი	14.5868671
თებერვალი	13.8837893
მარტი	18.4660737
აპრილი	16.0888149
მაისი	13.2076731
ივნისი	13.1741005
ივლისი	15.0346724
აგვისტო	15.4649966
სექტემბერი	16.6390665
ოქტომბერი	17.329179
ნოემბერი	16.6347986
დეკემბერი	15.7376184

საბალანსო ელექტროენერჯის გარდა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს

გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა, რომელიც ემსახურება ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მგდრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას. „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ თანახმად, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მეშვეობით 2019 წელს გაყიდულმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა ჯამურად 164 930 875.00 ლარი შეადგინა [27], ხოლო 2020 წელს გაყიდულმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა ჯამურად 170 492 371.00 ლარი შეადგინა [28].

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისთვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გადახდა 2019 წელს, ისევე როგორც 2020 წელს ხდებოდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების მიხედვით, დღიურ ბაზისზე და შესაბამისი პერიოდისთვის თითოეულისთვის დადგენილი საფასური შესაბამისი წლების მიხედვით მოცემულია ცხრილებში N6 [27] და N7 [28]:

ცხრილი 5. 2019 წელს გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისთვის დღიურ ბაზისზე ასანაზღაურებელი თანხა

№9 ენერგობლოკი	№3 ენერგობლოკი	№4 ენერგობლოკი	აირტურბინული ელექტროსადგური	გარდაბნის კომბინირებული ელექტროსადგური
77 121.00 ლარი/დღე	20 006.00 ლარი/დღე	21 811.00 ლარი/დღე	47 720.00 ლარი/დღე	383 971.00 ლარი/დღე

ცხრილი 6. 2020 წელს გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისთვის დღიურ ბაზისზე ასანაზღაურებელი თანხა

№9 ენერგობლოკი	№3 ენერგობლოკი	№4 ენერგობლოკი	აირტურბინული ელექტროსადგური	გარდაბნის კომბინირებული ელექტროსადგური
77 330.00 ლარი/დღე	25 159.00 ლარი/დღე	27 444.00 ლარი/დღე	47 898.00 ლარი/დღე	404 214.00 ლარი/დღე

2019 წლის ჩათვლით გარანტირებული სიმძლავრის თითოეული წყაროს მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის დღეთა მთლიანი რაოდენობა და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის ჯამური საფასური თითოეული წყაროსთვის მოცემულია [27] ცხრილში N8.

ცხრილი 7. 2019 წლის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის დღეთა მთლიანი რაოდენობა და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის ჯამური საფასური


	№9 ენერგობლოკი	№3 ენერგობლოკი	№4 ენერგობლოკი	აირტურბინული ელექტროსადგური	კომბინი- რებული ელექტრო- სადგური
მზადყოფნის დღეთა რაოდენობა	275	300	300	335	300
<i>სიმძლავრის საფასური (მლნ.ლარი)</i>	21.21	6.00	6.54	15.99	115.19

2020 წლის ჩათვლით გარანტირებული სიმძლავრის თითოეული წყაროს მიერ გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის დღეთა მთლიანი რაოდენობა და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის ჯამური საფასური თითოეული წყაროსთვის მოცემულია [28] ცხრილში N9.

ცხრილი 8. 2020 წლის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის დღეთა მთლიანი რაოდენობა და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის ჯამური საფასური


	№9 ენერგობლოკი	№3 ენერგობლოკი	№4 ენერგობლოკი	აირტურბინული ელექტროსადგური	კომბინი- რებული ელექტრო- სადგური
მზადყოფნის დღეთა რაოდენობა	276	301	301	336	290
<i>სიმძლავრის საფასური (მლნ.ლარი)</i>	21.34	7.57	8.26	16.09	117.22

რაც შეეხება გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველ კვალიფიციურ საწარმოებს, 2019 წლის მონაცემებით გარანტირებული სიმძლავრის მთლიან შესყიდვაში გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი გამანაწილებელ კომპანიებს აქვთ, რაც 73.23% შეადგენს. ამასთან, 2019 წლის პერიოდში ექსპორტიორი კვალიფიციური საწარმოების მიერ ელექტროენერჯის ექსპორტი განხორციელდა რუსეთის ფედერაციაში, სომხეთის რესპუბლიკაში, თურქეთის რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ექსპორტის მიზნით შესყიდულმა გარანტირებულმა სიმძლავრემ მთლიანი შესყიდვის 1.9413% შეადგინა. აღნიშნული მონაცემები მოცემულია ნახაზზე N5.



ნახ. 5. 2019 წ. გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების შესყიდვის წილი მთლიან შესყიდვაში

რაც შეეხება 2020 წელს გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველ კვალიფიციურ საწარმოებს, გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი გამანაწილებელ კომპანიებს აქვთ, რაც 72.49% შეადგენს. ამასთან, 2020 წელს ექსპორტიორი კვალიფიციური საწარმოების მიერ ელექტროენერჯის ექსპორტი განხორციელდა სომხეთის რესპუბლიკაში, თურქეთის რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. ექსპორტის მიზნით შესყიდულმა გარანტირებულმა სიმძლავრემ მთლიანი შესყიდვის 1.8055% შეადგინა.



ნახ. 6. 2020 წ. გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების შესყიდვის წილი მთლიან შესყიდვაში

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ, 2019 - 2020 წლები საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორისთვის საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა. ბაზარზე გაჩნდნენ ახალი მოთამაშეები, გამრავალფეროვანდა საბაზრო ურთიერთობები, უპრეცედენტოდ გაიზარდა პირდაპირი მომხმარებლების რაოდენობა. აღნიშნული მოთამაშეების გაზრდილმა რაოდენობამ გავლენა იქონია 2019 წელს საბალანსო ელექტროენერჯის ფასის ფორმირებაზე, შეინიშნებოდა პოზიტიური დინამიკა ტარიფის შემცირების კუთხით, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა, ლარის გაუფასურებამ, 2020 წელს მსოფლიო პანდემიამ აღნიშნული პოზიტიური დინამიკის შენარჩუნებას ხელი შეუშალა. თუმცა, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მოვლენები ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

თავი 3. ენერგეტიკული გაერთიანებისა და ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი ელექტროენერგეტიკული ბაზრების შედარებითი ანალიზი

როგორც უკვე ვიცით, ენერგეტიკული გაერთიანება წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციის, რომელიც აერთიანებს ევროკავშირს და მის მეზობელ სახელმწიფოებს იმისთვის, რომ შეიქმნას ერთიანი ინტეგრირებული საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზარი. ენერგეტიკული გაერთიანების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული ბაზრის წესებისა და პრინციპების გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, შავი ზღვის რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში.

ევროკავშირი წარმოადგენს ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მხარეს. ევროკავშირი ორგანიზაციაში წარმოდგენილია ევროკომისიის მიერ, რომელიც წარმოადგენს ენერგეტიკული გაერთიანების მუდმივმოქმედ ვიცე პრეზიდენტს.

ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირების და არსის უკეთ გასაგებად და საქართველოში ახალი გამართული ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის ჩამოსაყალიბებისკენ სწორი ნაბიჯების გადადგმის მიზნით განვიხილოთ ენერგეტიკული გაერთიანებისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ენერგეტიკული ბაზრები. კონკრეტულად კი უკრაინისა და ხორვატიის. რატომ კონკრეტულად აღნიშნული ქვეყნების ელექტროენერგეტიკული ბაზრები? უკრაინა, საქართველოზე სამი წლით ადრე, 2011 წელს გაწევრიანდა ენერგეტიკული გაერთიანებაში. მას მოუწია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაცია „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუმცა უკრაინის მიერ ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმირების არჩეულმა გზამ სექტორი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ბაზრის გახსნის მიუხედავად კვლავ მოქმედებს მკაცრი რეგულირების მექანიზმები და სექტორის მონაწილეებს უჭირთ როგორც მათზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება, ასევე

ფინანსური ანგარიშსწორება, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს მთელ ელექტროენერგეტიკულ სექტორს. რაც შეეხება ხორვატიის რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკულ ბაზარს, მისი ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ 2001 წლიდან დაიწყო. რეფორმების შედეგად, ხორვატიაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის მცირე ზომის მიუხედავად, ოპერირებს კარგად ფუნქციონირებადი ელექტროენერგეტიკული ორგანიზებული ბაზრები. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზარი აწყობილია, სწორედ იმ პრინციპით, რომელიც სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებულია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ალტერნატიულ გზად.

3.1 უკრაინის ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის მიმოხილვა

2011 წელს უკრაინამ ხელი მოაწერა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას და გახდა ენერგეტიკული გაერთიანების სრულფასოვანი წევრი [29].

უკრაინის ელექტროენერგეტიკული ბაზარი 2011 წლის მდგომარეობით ორგანიზებული იყო ერთი მყიდველის მოდელის პრინციპით. 2011 წლის მდგომარეობით უკრაინაში არ არსებობდა ბაზარზე დაფუძნებული მეთოდები მოთხოვნისა და მიწოდების დასაბალანსებლად.

2011 წელს უკრაინის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შემდეგ დაიწყო რეფორმების ხანგრძლივი პროცესი ბაზრის ტრანსფორმაციისა და უკრაინის ენერგეტიკული კანონმდებლობის მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან დაახლოების მიზნით. შემუშავდა ენერგეტიკის მარეგულირებელი ახალი კანონპროექტი, ჩამოყალიბდა რეფორმების განხორციელების დეტალური გზამკვლევი, შემუშავდა მეორადი კანონმდებლობის ჩამოყალიბების სამოქმედო გეგმა. საჭირო გახდა, როგორც მარეგულირებელი კომისიის როლის გაძლიერება, ასევე არსებული ბაზრის მოდელის გარდაქმნა, არსებული სტრუქტურების მესამე

ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნების შესაბამისად გამოყოფა, ტრანსფორმაცია, ახალი ბაზრის მონაწილეების და ბაზრის ტრუქტურის ჩამოყალიბება. უკრაინამ საძირკველი ჩაუყარა არა მხოლოდ ენერგეტიკული სექტორის რეფორმირებას, არამედ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ რეფორმებს, რომლებიც პირველ რიგში მიზნად ისახავდა ეროვნული მარეგულირებელი სტრუქტურების გაძლიერებას და მათი დამოუკიდებლობის მაღალი დონის უზრუნველყოფას.

3.1.1. უკრაინის ენერგეტიკული სექტორის რეგულირება, მმართველობითი ორგანოები და პოლიტიკის გამტარებლები

უკრაინის ენერგეტიკული სექტორის მმართველობის განმახორციელებელი და პოლიტიკის გამტარებელი ძირითადი მოთამაშეები არიან უკრაინის მინისტრთა კაბინეტი (CMU), უკრაინის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო (MECI)¹⁰ და უკრაინის ენერგეტიკისა და კომუნალური მომსახურების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (NEURC).

უკრაინის მინისტრთა კაბინეტი წარმოადგენს უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებაზე, მათ შორის სახელმწიფო პოლიტიკის ზედამხედველობაზე ენერგეტიკისა და ელექტროენერგეტიკის სფეროებში.

უკრაინის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო აყალიბებს და ატარებს სახელმწიფო პოლიტიკას ენერგეტიკის დარგში. იგი ანგარიშვალდებულია უკრაინის მინისტრთა კაბინეტის, უმაღლესი რადას (პარლამენტის) და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინაშე.¹¹ ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელებასთან ერთად უკრაინის

¹⁰ 2019 წელს რეფორმების შედეგად უკრაინის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო გარდაიქმნა უკრაინის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროდ.

¹¹ აღნიშნული ანგარიშვალდებულება უკრაინის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მინისტრთა კაბინეტის, პარლამენტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინაშე 2011 წლიდან მოყოლებული დღემდე აქვს.

ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო საზღვრავს ეკონომიკურ წამახალისებელ მექანიზმებს, მონიტორინგს უწევს და ადგენს ანგარიშებს ენერჯის მოთხოვნასა და პროგნოზებზე, განსაზღვრავს სტრატეგიას და მეთოდოლოგიას გენერაციის ობიექტების მშენებლობისთვის. სამინისტრო ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ენერგეტიკის ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორსა [30] და უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან ელექტროენერჯისა და სითბოს მიწოდების საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებასთან და ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ინსპექტორი ბირთვული რეგულირების საკითხებში [31] უშუალოდ მოქმედებს უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან კორდინაციაში და უზრუნველყოფს ბირთვული ენერჯის უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას [31].

უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან და უკრაინის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსთან ერთად უკრაინის ენერგეტიკისა და კომუნალური მომსახურებების მარეგულირებელი კომისია რჩება ქვეყნის რეგულირების ცენტრალურ ორგანოდ, კონკრეტულად ადგენს სატარიფო პოლიტიკას და განსაზღვრავს ფასების გაანგარიშების წესებს [32].

3.1.2. უკრაინის საბითუმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერირება რეფორმამდე პერიოდში

უკრაინის ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი ჯერ კიდევ 1990 - იან წლებში ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ გენერაციის ობიექტების, გადაცემის სისტემის ოპერატორების, მიმწოდებლების და განაწილების საქმიანობები არ იკვეთებოდა („ობლენერგოების“ გარდა, რომლებშიც ერთიანდებოდა დისტრიბუციისა და მიწოდების ფუნქციები), მთავრობა განაგრძობდა ბაზრის რეგულირებას. ინგლისურ და უელსურ

„ენერგეტიკული ფულის“ მოდელის საფუძველზე, „ენერგორინოკი“ (ელექტროენერგეტიკული ბაზარი) 2000 წელს შეიქმნა, როგორც ერთადერთი მყიდველი, რომელიც ბაზრის მოთაბამაშეებს შორის, სექტორის ფარგლებში, უკრაინის ენერგეტიკისა და კომუნალური მომსახურების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით განახორციელებდა ანგარიშსწორებას. „ენერგორინოკი“ რეგულირებულ ფასად შეისყიდოდა ელექტროენერგიას ისეთი გენერაციის ობიექტებიდან, როგორებიც იყვნენ „ენერგოატომი“¹² და „უკრჰიდროენერგო“¹³, რომლის გადაცემაც შემდგომში ხორციელდებოდა „უკრენერგოს“¹⁴ მიერ ე.წ. ობლენერგოებისთვის დისტრიბუციის მიზნით. „ენერგორინოკისგან“ ელექტროენერგიის შესყიდვასა და მომხმარებლისთვის საცალო ფასად, რომელიც ეფუძნებოდა წარმოების, გადაცემის და განაწილების ხარჯებს, მის მიყიდვაზე პასუხისმგებელი იყვნენ „ობლენერგოები“. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების ტარიფები საკმაოდ განსხვავდებოდა, ისინი საგრძნობლად დაბალი იყო საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის, მაშინ როცა ინდუსტრიული მომხმარებლების ტარიფები რამდენადმე აღემატებოდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლების ტარიფებს. თუმცა არსებობდა გამონაკლისები საერთო დადგენილი სამართლებრივი ჩარჩოდან. მაგალითად, მაშინ როცა „ობლენერგოები“ პასუხისმგებელი იყვნენ ელექტროენერგიის ყიდვასა და განაწილებაზე, დიდ ინდუსტრიულ მომხმარებლებს შეეძლოთ ელექტროენერგიის შესყიდვა თავისუფალი მიმწოდებლებისგან ან პირდაპირ „ენერგორინოკისგან“. მეორეს მხრივ, მომხმარებლები უფლებამოსილნი იყვნენ (და დღესაც არიან) ელექტროენერგია პირდაპირ „უკრენერგოსგან“ მიეღოთ, რომელიც ობლენერგოების მეშვეობით ახორციელებდა ელექტროენერგიის

¹² „ენერგოატომი“ უკრაინის სახელმწიფო საწარმო - ეროვნული ატომური ენერგეტიკული კომპანია“

¹³ „უკრჰიდროენერგო“ უკრაინის სახელმწიფო საწარმო, რომელიც ადმინისტრირებას უწევს ჰიდროელექტროსადგურების უმეტესობას;

¹⁴ „უკრენერგო“ უკრაინის გადაცემის სისტემის ოპერატორი (TSO)

უმალესმა რაღამ მიიღო კანონი ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის შესახებ, რათა მოეხდინა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მესამე ენერგეტიკული პაკეტის მიხედვით. რეფორმები და ახალი ლიბერალიზებული ბაზარი 2017 წელს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა აღნიშნული ვადის გადაწევა 2014 წელს მიმდინარე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სირთულებმა გამოიწვია [34].

2017 წლის 13 აპრილს უკრაინამ მიიღო კანონი ელექტროენერჯის ბაზრების შესახებ, რომელშიც მოცემულია ელექტროენერგეტიკული ბაზრების სამართლებრივი და ორგანიზაციული პრინციპები ელექტროენერჯის წარმოებას, გადაცემას, განაწილებას, ყიდვა/გაყიდვას და მიწოდებასთან დაკავშირებით.

ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზარი ემსახურება უკრაინის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობას და მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ახალი ბაზარი ენერგოეფექტურობის წახალისებას, ხარჯების შემცირებას და ბაზრის ინტერესების განვითარებას ემსახურება არადისკრიმინაციული ტარიფების, თავისუფალი მიმწოდებლის არჩევის, დამოუკიდებელი მარეგულირებელისა და უკეთესი გამჭირვალობის პრინციპების განვითარებით. კანონის ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს მხარეებს შორის ორმხრივი ხელშეკრულებების ინსტიტუტის ჩამოყალიბება, დღით ადრე, დღიური, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზართან და ისეთ საცალო ბაზართან ერთად, რომელიც მომხმარებლების საჭიროებებს დააკმაყოფილებს [35].

კანონმდებლობის ამოქმედებისა და შესაბამისი რეგულაციების ძალაში შესვლის შემდეგ 2019 წლის პირველ ივლისს გაეშვა უკრაინის ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზარი. შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზარი საკმაოდ ფუნქციურია, ისეთი მნიშვნელოვანი სეგმენტებით როგორებიცაა ორმხრივი კონტრაქტები, დღით ადრე ბაზარი, დღიური ბაზარი და საბალანსო ბაზარი. რეფორმის

შედეგად განხორციელებული ბაზრის სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებები ქვემოთ არის მოცემული:

- „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნების შესასრულებლად, უკრაინის ელექტროენერგეტიკული ბაზრის შესახებ კანონის საკვანძო ელემენტს შეადგენს „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისა“ და „გარანტირებული მყიდველის“ ინსტიტუტების დაფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ „ენერგორინოკმა“, როგორც ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ოპერატორმა შეწყვიტა ფუნქციონირება ის განაგრძობს არსებობას. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისა და გარანტირებული მყიდველის ინსტიტუტების დაფუძნება ახალი ბაზრის გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი იყო. თავდაპირველად ორივე დაფუძნებული კომპანია წარმოადგენდა „ენერგორინოკის“ ფილიალს, თუმცა 2019 წლის ივნისის შემდეგ ისინი დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბდნენ. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ჩართულია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ზედამხედველობაში, ის ახორციელებს ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრების მონიტორინგს და ახორციელებს ელექტროენერჯის ყიდვა/გაყიდვის ორგანიზებას. რაც შეეხება „გარანტირებულ მყიდველს“, ის პასუხისმგებელია განახლებადი ენერჯის წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერჯის წილის გაზრდაზე, იმ მწარმოებლებისგან წარმოებული ელექტროენერჯის შესყიდვით, რომლებისთვისაც დადგენილია ე.წ „მწვანე ტარიფი“ [36].
- მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ე.წ „ობლენერგოების“ განცალკევება მიწოდების კომპანიებად და განაწილების სისტემის ოპერატორებად (DSO). „ელექტროენერგეტიკული ბაზრის შესახებ“ კანონის თანახმად განხორციელდა „ობლენერგოების“ განცალკევება განაწილების სისტემის ოპერატორებად და მიმწოდებლებად. განაწილების

სისტემის ოპერატორები პასუხისმგებელი არიან ელექტროენერჯის დისპეტჩინგზე საბოლოო მომხმარებლებთან, მაშინ როცა მიმწოდებლები ყიდულობენ ელექტროენერჯის ელექტროენერჯის მწარმოებლებისგან და ყიდიან მას საბოლოო მომხმარებლებზე. კანონის თანახმად, მომხმარებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სამი სახის მიმწოდებლის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა: თავისუფალი მიმწოდებლები, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლები. არარეგულირებული მომხმარებლები უფლებამოსილი არიან აირჩიონ თავისუფალი მიმწოდებლები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მათი ტარიფი ემყარება ელექტროენერჯის მწარმოებლებსა და მიმწოდებლებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს. ამასთან უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები აწვდიან ელექტროენერჯის მხოლოდ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს და მცირე საწარმოებს რეგულირებულ ფასად. თავისუფალი მიმწოდებლებისგან განსხვავებით, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები ოპერირებენ მხოლოდ იმ ტერიტორიულ ერთეულში, რომელშიც მიღებული აქვს ლიცენზია. ერთ ტერიტორიულ ერთეულში მხოლოდ ერთ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს აქვს ოპერირების უფლება. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი¹⁵ (უკრინტენერგო) აწვდის თავის მომსახურებას ისეთ მომხმარებლებს, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზის გამო დაკარგეს მიმწოდებელი. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი მომხმარებელს ემსახურება რეგულირებული ტარიფით მხოლოდ 90 დღის განმავლობაში [37].

- რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია „უკრენერგოს“ როგორც გადაცემის სისტემის ოპერატორის სერტიფიცირება (TSO). მაღალი გადამცემი ქსელის მეშვეობით ელექტროენერჯის გადაცემასა და


¹⁵ უკრინტენერგო განისაზღვრა როგორც ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი

დისპეტჩირებასთან ერთად „უკრენერგო“ ისწრაფვის, დააკმაყოფილოს ევროკავშირის მოთხოვნები გადაცემის სისტემის ოპერატორებისთვის. განცალკევებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად „უკრენერგო“ გამოვიდა უკრაინის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მფლობელობიდან, დაექვემდებარა უკრაინის ფინანსთა სამინისტროს მენეჯმენტს და კორპორაციად გარდაიქმნა. უკრაინის ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის პირობებში „უკრენერგო“ პასუხისმგებელია საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრის ოპერირებაზე, ორმხრივი ხელშეკრულების რეგისტრაციაზე, აღრიცხვისა და ანგარიშსწორების ადმინისტრატორის ფუნქციის განხორციელებაზე. თავის ახალ ფუნქციებთან და როლთან შესაბამისობისთვის „უკრენერგომ“ წარადგინა ახალი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საჭიროა საბალანსო ბაზრის ოპერირებისთვის. მართალია, კომპანია ჯერ კიდევ არ არის სერტიფიცირებული როგორც გადაცემის სისტემის ოპერატორი, თუმცა მიმდინარეობს აქტიური მუშაობა აღნიშნულთან დაკავშირებით [37].

გარდა ბაზრის სტრუქტურული ცვლილებებისა, უკრაინის ახალი კანონი ელექტროენერჯის ბაზრის შესახებ ითვალისწინებს მარეგულირებელ ჩარჩოში ცვლილებების განხორციელებასაც. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის მოთამაშეების, მათ შორის მინისტრთა კაბინეტის როლები უმეტესად უცვლელი რჩება, სხვა მოთამაშეების ჩართულობა ელექტროენერგეტიკულ სექტორში იზრდება. მაგალითად, ფინანსთა სამინისტრო ჩართულია ენერგეტიკის სექტორში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ფინანსური გეგმების შემუშავებაში, სესხებისთვის სახელმწიფო გარანტიის უზრუნველყოფაში და მთავრობისთვის წინადადებების წარდგენაში აღნიშნული საწარმოებიდან წმინდა მოგებისა და დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ნაწილობრივი ლიბერალიზაციისა და

თავისუფალი ვაჭრობის წახალისების ფონზე უკრაინის ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟის ეროვნული კომისია აქტიურად ჩაერთვება ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეების ზედამხედველობაში.

რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული უკრაინის საბითუმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი სტრუქტურა წარმოდგენილია ნახაზზე N8.



ნახ. 8. უკრაინის საბითუმო ელ. ბაზრის ახალი სტრუქტურა

3.1.4. უკრაინის ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის გაშვების შედეგად წარმოქმნილი სირთულეები

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზარი ფუნქციონირებს 2019 წლის პირველი ივლისიდან რეფორმის შედეგები საკამოდ არაერთგვაროვანია. მთავრობას ჯერ კიდევ სჭირდება სპეციალური მექანიზმის განსაზღვრა ელექტროენერჯის ბაზარზე გადაუხდელი თანხების ამოღებისთვის, ელექტროენერჯის გადაცემისთვის

ტარიფის დადგენის მექანიზმის განსაზღვრა და გარანტირებული მყიდველისთვის კომპენსაციის მექანიზმის დადგენა, რომელიც გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, მაშინ როცა ბირთვულ ენერჯისა და ჰიდროენერჯის მწარმოებლებზე დაწესებულმა საჯარო მომსახურების ვალდებულებამ (PSO) შექნა სერიოზული პრობლემები. აღსანიშნავია, რომ ბირთვული ენერჯით უმეტესწილად საყოფაცხოვრებო მომხმარებლების დაკმაყოფილება ხდება ზღვრულ დანახარჯზე დაბალ ფასად, შესაბამისად ბირთვული ელექტროსადგურების წარმოებული ელექტროენერჯის მხოლოდ მცირედი ნაწილის გაყიდვა ხდება ბაზრის მეშვეობით. აღნიშნული ინდუსტრიულ მომხმარებლებს აიძულებს, ელექტროენერჯია შეიძინონ ბაზრის ძვირი სეგმენტებიდან ისეთებიდან როგორცაა თბოელექტროსადგურები, რომელთა მიერ წარმოებული ელექტროენერჯია გაცილებით ძვირია ბირთვულ და ჰიდრო ელექტროსადგურების მიერ წარმოებულ [38].

ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების დავალიანების დაფარვის სამართლებრივი ჩარჩოს და მექანიზმის შემუშავება. 2019 წლის ივლისისთვის „ენერგორინოკს“ დაუფროვდა დაახლოებით 32 მილიარდი გრივნას ვალი. დავალიანების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ბაზრის მკაცრი რეგულირება და ინტერესების არსებობა, რომლებიც ხელს უშლიდა „ობლენერგოებს“ ამოეღოთ გაყიდული ელექტროენერჯის საფასური და აენაზღაურებინათ „ენერგორინოკისთვის“. ამის საპასუხოდ, „ენერგორინოკი“ აწყდებოდა სირთულეებს ანგარიშსწორება განეხორციელებინა ბაზრის მონაწილეებთან [38].

ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის გაშვებასთან და საბითუმო ბაზრის ოპერატორის როლის გაუქმებასთან ერთად, ელექტროენერჯის ყიდვა და გაყიდვა ეფუძნება ორმხრივ ხელშეკრულებებს მწარმოებლებს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის. იქიდან გამომდინარე, რომ უკრაინის ელექტროენერგეტიკული ბაზარი გარდამავალ პერიოდშია ელექტროენერჯის ფასებზე კვლავ ხდება ზედა ზღვრების დაწესება, თუმცა

უკრაინა მუშაობს აღნიშნული სექტორების და ჯვარედინი სუბსიდირების აღმოფხვრაზე. თუმცა, „უკრენერგოსთვის“ და განაწილების სისტემის ოპერატორებისთვის კვლავ ხდება ტარიფის დადგენა მათი მონოპოლიური საქმიანობიდან გამომდინარე და აღნიშნული კომპანიები არ არიან ჩართული ელექტროენერჯის ყიდვა/გაყიდვის საქმიანობაში (გარდა ქსელში დანაკარგების აღმოფხვრის მიზნით ელ. ენერჯის შესყიდვისა) [38].

ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის პირობებში, „უკრენერგომ“ შეიძინა ახალი ფუნქციები, მათ შორის აღრიცხვისა და ანგარიშსწორების ადმინისტრირების, მაშინ როცა ის უწევს ორგანიზებას საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრებს, არეგისტრირებს ორმხრივ ხელშეკრულებებს და ემზადება ENTSO-E-ში ინტეგრაციისთვის [38]. თუმცა ახალ ფუნქციებთან ერთად „უკრენერგო“ ბევრ სირთულეს წააწყდა. მაგალითად „უკრენერგოს“ ტარიფების განსაზღვრის მექანიზმთან დაკავშირებით მიმდინარე დავამ და სასამართლოს მიერ მისი ტარიფის შემცირებამ წამოჭრა კითხვები, იმასთან დაკავშირებით შეძლებს თუ არა კომპანია საკუთარი ოპერირების ხარჯების ანაზღაურებას, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიის ფუნქციები გაზიარდა და ის გახდა პასუხისმგებელი „გარანტირებული მყიდველის“ მიერ განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ფიიდ-ინ-ტარიფით შეძენილი ელექტროენერჯის საფასურის ანაზღაურებაზე [38].

უკრაინის ენერგეტიკისა და კომუნალური მომსახურების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემებით, ელექტროენერჯის ახალი ბაზრის გაშვებამდე „უკრენერგოს“ გადაცემის ტარიფი განისაზღვრებოდა 57.4 გრივნა/მგვტ-ზე. თუმცა ახალი ბაზრის გაშვებასთან ერთად განხორციელდა ტარიფის გადახედვა და 2019 წლის ივნისის მდგომარეობით შეადგენდა 347.43 გრივნა/მგვტ-ზე. ტარიფის მსგავსი ნახტომისებური გაძვირების ნაწილობრივი მიზეზს წარმოადგენდა ქსელში დანაკარგების აღმოფხვრის გადაცემის ტარიფში გათვალისწინება და „უკრენერგოს“ მიერ „გარანტირებული მყიდველის“ დანახარჯების ანაზღაურების პასუხისმგებლობა. 2019 წლის ივლისის თვეში ბაზრის

გახსნით ივარაუდებოდა ელექტროენერგიაზე ფასების შემცირება, თუმცა გადაცემით ტარიფის თითქმის ექვსჯერ გაზრდამ 2019 წელს ელექტროენერგიაზე ფასების ზრდა გამოიწვია. „უკრენერგოს“ შეფასებით ელექტროენერგის ახალი ბაზრის გაშვებიდან მალევე ინდუსტრიული მომხმარებლების ელექტროენერგის ხარჯები დაახლოებით 30%-ით გაიზარდა. „უკრენერგოს“ აღნიშნული განცხადება ფასების ზრდასთან დაკავშირებით შეფასდა როგორც ნაადრევი, ვინაიდან ახალი ბაზარი ჯერ მცირე დრო ფუნქციონირებს. სხვადასხვა საწარმოებმა სარჩელით მიმართეს კიევის ადმინისტრაციულ სასამართლოს „უკრენერგოს“ ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით. ამის საპასუხოდ, სასამართლომ შეაჩერა მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი ტარიფი და დროებით გადაცემის ტარიფად განსაზღვრა 57.4 გრივნა მეგავატზე. თუმცა „უკრენერგოს“ ტარიფის შემცირებამ გამოიწვია ის, რომ მას არ შეუძლია თავისი ხარჯების ბოლომდე დაფარვა და „გარანტირებული მყიდველისთვის“ ალტერნატიული ენერჯის წყაროებიდან შესყიდული ელექტროენერჯისთვის კომპენსაციის გადახდის შეუძლებლობა [39].

განახლებადი ენერჯის სექტორის წახალისების მიზნით, უკრაინამ დაადგინა ე.წ „მწვანე ტარიფი“ განახლებადი ენერჯის წყაროებიდან შესყიდული ელექტროენერჯისთვის. „მწვანე ტარიფის“ დადგენა ხდება უკრაინის ენერჯეტიკისა და კომუნალური მომსახურების მარეგულირებელი კომისიის მიერ და ემყარება სხვადასხვა ალტერნატიულ წყაროებს, გარდა ამისა უკრაინაში წარმოებული ატომური ენერჯის გამოყენებისთვის მწარმოებლები იღებენ დამატებით პრემიას. „მწვანე ტარიფი“ იქნა გამოყენებული 300-ზე მეტი განახლებადი ენერჯის მწარმოებლების მიმართ და ივარაუდება, რომ ისინი ძალაში 2030 წლამდე დარჩება. აღნიშნული ტარიფი განსხვავდება მწარმოებლებისა და ალტერნატიული ენერჯის მიხედვით, ამასთან ერთად მზის პანელების მიერ ნაწარმოები ენერჯისთვის მწარმოებლები უფრო მაღალ ტარიფს იღებენ.

უკრაინის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ცვლილებებიდან გამომდინარე „უკრენერგო“ გახდა პასუხისმგებელი „გარანტირებული მყიდველის“ მიერ გადახდილი „მწვანე ტარიფის“ კონპენსირებაზე. თუმცა, უკრაინის სასამართლოს მიერ „უკრენერგოსთვის“ დადგენილი ტარიფის შემცირებით კომპანიისთვის 2.4 მილიარდი გრივნას დეფიციტი გამოიწვია, ტარიფის ყოველმა შემდგომმა შემცირებამ კომპანიისთვის დიდ დანაკარგებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული სირთულეების გამო, „უკრენერგომ“ ვეღარ შეძლო „გარანტირებული მყიდველისთვის“ კომპენსაციის გადახდა, შესაბამისად ეს უკანასკნელი მწვანე ენერჯის მწარმოებლებთან და ინვესტორებთან თავისი ვალდებულებების შესრულების სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. გადახდების ანაზღაურების მიზნით ჯერ კიდევ 2019 წელს „გარანტირებულმა მყიდველმა“ მიმართა უკრაინის სასამართლოს სარჩელით „უკრენერგოს“ წინააღმდეგ [39]. უკრაინის ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის გაშვებიდან 20 დღის შემდეგ „უკრენერგოს“ მიერ „გარანტირებული მყიდველისთვის“ აუნაზღაურებელმა თანხამ 1.58 მილიარდი გრივნა შეადგინა [39].

ელექტროენერგეტიკის ბაზრის ახალ მოდელზე გადასვლის შესამსუბუქებლად, უკრაინა მისწრაფვოდა სამომავლოდ მომხმარებლებისთვის (უმეტესად საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის) შეემცირებინა ელექტროენერჯის ტარიფები, ბაზრის კონკრეტულ მოთამაშეზე საჯარო მომსახურების ვალდებულების დაკისრების გზით. ელექტროენერგეტიკის სექტორში განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე მონაწილეებს წარმოადგენენ „გარანტირებული მყიდველი“, „უკრენერგო“, „განაწილების სისტემის ოპერატორები“ და უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები, ისევე როგორც ელექტროენერჯის მწარმოებლები (კონკრეტულად „ენერგოატომი“ და „უკრჰიდროენერგო“). „ენერგოატომს“ და „უკრჰიდროენერგოს“ მოუწევთ თავისი გამომუშავებული ელექტროენერჯის უდიდესი ნაწილის მიყიდვა ფიქსირებულ ფასად რეგულირებული მომხმარებლებისთვის. ამასთანავე, 2019 წლის ივნისში უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო რეზოლუცია,

რომლის თანახმადაც ატომური ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის 90%-ამდე უნდა გაყიდულიყო ფიქსირებულ ფასად, მანამ სანამ ელექტროენერჯის ბაზარზე მხოლოდ 10%-ის გაყიდვის უფლება ჰქონდათ. აღსანიშნავია ის რომ საჯარო მომსახურების ვალდებულებამ და მძიმე რეგულაციებმა გამოიწვია ბაზრის გაუმართაობა. მაშინ როცა „ენერგოატომი“ განაგრძობდა უკრაინის ელექტროსექტორის ნახევარზე მეტის წარმოებას, ბაზარზე გაყიდული ატომური ენერჯის ფასი გაცილებით დაბალი რჩებოდა ვიდრე სხვა წყაროების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის. შედარებისთვის, თბოელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის რაოდენობა ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერჯის დაახლოებით მესამედს შეადგენს. აღსანიშნავია, ის ფაქტიც რომ ელექტროენერჯის ახალი ბაზრის გაშვების შემდეგ ზღვრული ფასები არ აძლევდნენ თბოელექტროსადგურებს საშუალებას გაეყიდათ წარმოებული ელექტროენერჯია საბალანსო ბაზარზე, სადაც ფასები უფრო მაღალია [40].

„ენერგეტიკული გაერთიანების“ 2020 წლის მოხსენების თანახმად უკრაინის ელექტროენერგეტიკულ სექტორში საბითუმო ბაზრის გახსნა დასრულდა დამხმარე მომსახურებების ბაზრის გაშვებით, მანამდე განხორციელდა ორმხრივი ხელშეკრულებების, დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრების გაშვება. თუმცა, ამასთანავე ბაზარი კვლავ დიდწილად არ არის თავისუფალი მძიმე რეგულაციების გამო, ისეთების როგორებიცაა ფასების ზედა ზღვრები და საჯარო მომსახურების ვალდებულებები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბირთვული და ჰიდრო ელექტროსადგურებიდან წარმოებული ელექტროენერჯის უნივერსალური მომსახურების მიწოდებელთან გადამისამართებაზე ისეთ ფასად, რომელიც ზიანს აყენებს როგორც კონკურენციას ასევე ელექტროსადგურების უსაფრთხო და გამართულ ფუნქციონირებას. საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის მიწოდება კვლავ თვითღირებულებაზე დაბალ ფასად ხორციელდება, რაც ხელს უშლის საცალო ბაზარზე კონკურენციის განვითარებას. მესამე

ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნებიდან გამომდინარე ჯერ კიდევ არ განხორციელებულა უკრაინის გადაცემის სისტემის ოპერატორის „უკრენერგოს“ განცალკევება და სერტიფიცირება. აღნიშნული პროცესი ქონებრივი განცალკევების კუთხით ერთხელ უკვე ჩავარდა, ახლა კი განცალკევების ახალი მოდელის შესარჩევად, კონკრეტულად კი დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორად „უკრენერგოს“ ჩამოსაყალიბებლად საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება [41].

უკრაინის ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის მთავარ პრობლემებს წარმოადგენს: დადგენილი ფასების ზედა ზღვრების არაეფექტურობა, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის საჯარო მომსახურების ვალდებულების დიზაინი, ბაზარზე ძალაუფლების გადანაწილების საკითხის გაუკონტროლებლობა, ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვები, ბაზრის დიზაინი მონაწილეებს მასზე მანიპულაციების განხორციელების საშუალებას აძლევს, აუნაზღაურებელი თანხების რაოდენობის გაზრდა, სახელმწიფო საწარმოების მიერ აუქციონის წესების ბოროტად გამოყენება და სხვ [42].

დასკვნის სახით, სავსებით სამართლიანად, შეიძლება ითქვას რომ უკრაინის ელექტროენერგეტიკულ ბაზარსე ამჟამად მოქმედი საჯარო მომსახურების ვალდებულების დიზაინი არ შეესაბამება ლიბერალიზებული ბაზრის მოდელს და არღვევს მესამე ენერგეტიკული პაკეტის ძირითად მოთხოვნებს. აღნიშნული დიზაინი აფერხებს ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას. აღნიშნული მოდელი, ამახინჯებს ენერგეტიკის დარგში პოლიტიკის განხორციელების პროცესს, და იძულებულს ხდის ხელისუფლებას დააწესოს რეგულირება ტარიფზე.

უკრაინის ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურის, მონაწილეების, მოდელის, ტრანსფორმაციისა და რეფორმების განხილვამ დაგვანახა თუ რამდენად რთული აღმოჩნდა სექტორისთვის აღნიშნული ცვლილებები. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ უკრაინის ენერგოსექტორი საკმაოდ მძლავრ, კონცენტრირებულ და კარგად ფუნქციონირებად

სისტემას წარმოადგენს. მისი ენერგეტიკული ბაზარი თითქმის ყველა ტიპის რესურსს აერთიანებს. ასეთი მძლავრი ენერგოსექტორის მქონე ქვეყნისთვისაც კი საკმაოდ რთული აღმოჩნდა რეფორმების განხორციელება და მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან ბაზრის შესაბამისობაში მოყვანა. უკრაინის ენერგეტიკული სექტორის რეფორმა დღეის მდგომარეობითაც არ არის დასრულებული. ბაზრის ახალი სტრუქტურა მესამე ენერგეტიკული პაკეტის და ევროკავშირის საკანონმდებლო მოთხოვნებს დღესაც ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს. ახალი ბაზრის სტრუქტურის გამო, ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეები დღეის მდგომარეობითაც განიცდიან დიდ ფინანსურ ზარალს და ვერ ახერხებენ მათზე დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულებას.

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე უკრაინის მინისტრთა კაბინეტს, უმაღლეს რადას, ენერგეტიკის სამინისტროს, მარეგულირებელ ორგანოს ჯერ კიდევ არ მიუღიათ გადაწყვეტლება ბაზარზე შექმნილი ვითარების გასაუმჯობესებლად. უკრაინის ახალი ენერგეტიკული ბაზარი დღეის მდგომარეობითაც ხარვეზებით განაგრძობს ფუნქციონირებას, რაც ბაზრის მონაწილეებს საკმაოდ ძვირად უჯდებათ.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი ფაქტების, ანალიზისა და მოდელის გათვალისწინებით საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში აუცილებელია სხვა ქვეყნების მაგალითების გათვალისწინება, რათა რეფორმა ბაზრის მონაწილეების მძიმე წნეხად არ დააწვეს.

3.2. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის მიმოხილვა

ხორვატიის ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიბერალიზაციას საფუძველი 2001 წელს ენერგეტიკის შესახებ კანონის მიღებით ჩაეყარა. აღნიშნული კანონი ადგენდა იმ სამართლებრივ ჩარჩოს რომელიც საჭირო

იყო, იმისათვის რომ მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს ჰქონოდათ მეტი თავისუფლება ელექტროენერჯის გაყიდვისა და შესყიდვის დროს. ენერჯეტიკის შესახებ კანონი ასევე უზრუნველყოფდა ენერჯეტიკული ბაზრის ეფექტური და სანდო ფუნქციონირებისთვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას. ხორვატიის ენერჯეტიკული სექტორის მთავარმა საწარმოებმა, ხორვატიის ენერჯეტიკულმა კომპანიამ (HEP) [43] და ხორვატიის ნავთობისა და გაზის კომპანიამ (INA) [44], რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ელექტროენერჯის, ნავთობისა და გაზის, წარმოებას, განაწილებასა და მიწოდებაზე, დაიწყეს რესტრუქტურისაციის პროცესი ევროპის ლიბერალიზებული ბაზრისთვის ადაპტაციის მიზნით.

ხორვატიის ენერჯეტიკის შესახებ კანონის მიღებამ და ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესის დაწყებამ ბიძგი მისცა ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების საჭიროებას. ენერჯეტიკის შესახებ კანონის მიღებამ, ენერჯეტიკის კანონში ცვლილებების განხორციელების შესახებ კანონის მიღებამ, ელექტროენერჯეტიკის ბაზრის შესახებ კანონისა და მასში ცვლილებების განხორციელების შესახებ კანონის ამოქმედებამ, ენერჯეტიკული საქმიანობების რეგულირების შესახებ კანონის მიღებამ, ასევე განახლებადი ენერჯიებისა და მაღალეფექტური კოგენერაციის შესახებ კანონის ამოქმედებამ ხორვატიაში შექმნეს საჭირო გარემო ელექტროენერჯეტიკული ბაზრის გახსნის, შემდგომი განვითარებისა და განახლებადი ენერჯის წყაროების ქსელში ინტეგრაციისთვის.

ხორვატიაში ფუნქციონირებს ელექტროენერჯის ორი ბაზარი. ელექტროენერჯეტიკული ბაზრის გახსნის თავდაპირველ ეტაპზე არჩეულ იქნა ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარის მოდელი, რომელიც შემდგომ ელექტროენერჯის ბაზრის წესების შესაბამისად განახლდა საბალანსო ჯგუფის მოდელით. აღნიშნულ მოდელში ელექტროენერჯით ვაჭრობა ხორციელდება ორმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით. რაც შეეხება ელექტროენერჯის მეორე ბაზარს - ეს არის ელექტროენერჯის ორგანიზებული ბაზარი, რომელსაც მართავს ხორვატიის ენერჯეტიკული ბირჟა (CROATIAN POWER EXCHANGE Ltd. (CROPEX)) [45].

ხორვატიის ენერგეტიკული სისტემა შედგება საწარმოებისა და ობიექტებისგან ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემისა და განაწილებისთვის რომლებიც მდებარეობენ ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. უსაფრთხოების მიზნებისთვის, მიწოდების ხარისხისა და ელექტროენერჯის გაცვლის უზრუნველსაყოფად ხორვატიის ენერგეტიკული სისტემა ურთიერთდაკავშირებულია მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებთან და ერთად ისინი სინქრონულად დაკავშირებულნი არიან კონტინენტური ევროპის ელექტროქსელთან. ხორვატიაში მომხმარებლების ელექტრომარაგება ხორციელდება ხორვატიაში არსებული სადგურებიდან, ხორვატიის საჭიროებისთვის მეზობელ ქვეყნებში აშენებული სადგურებიდან და საზღვარგარეთიდან შესყიდული ელექტროენერჯით [46].

ხორვატიის ენერგეტიკული სისტემა თავისის სიდიდით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პატარაა. მწარმოებელი ელექტროსადგურების გეოგრაფიული მდებარეობისა და ლოკაციის გამო, მთელი წლის მანძილზე უმეტესი დროის განმავლობაში ხდება ელექტროენერჯის გადაცემა სამხრეთიდან ჩრდილოეთის და ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით [46].

ახლად აშენებული 400/220/110 კვ. ზერჯავინეს ქვესადგურის ექსპლუატაციაში გაშვებითა და 400/110 კვ ერნესტინოვოს ქვესადგურის რეაბილიტაციით ელექტროსისტემის გადაცემის სიმძლავრე, უსაფრთხოება და საიმედოობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში [46].

ხორვატიის ენერგეტიკული სისტემა ჰოფსის (ხორვატიის გადაცემის სისტემის ოპერატორი) მიერ კონტროლდება. სლოვენისა და ბოსნია ჰერცეგოვინას ენერგეტიკულ სისტემებთან ერთად ხორვატიის ენერგეტიკული სისტემა წარმოადგენს საკონტროლო მართვის ბლოკს ევროპის გადამცემი სისტემის ოპერატორების გაერთიანების - ENTSO-E-ის ფარგლებში [46].

3.2.1. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირება, სამთავრობო პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო

ენერგეტიკული ინდუსტრია ხორვატიაში განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობისაა. ხორვატიის სამთავრობო პოლიტიკის ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები ელექტროენერგეტიკულ სექტორთან დაკავშირებით მოცემულია ხორვატიის ენერგეტიკის განვითარების ამჟამინდელ სტრატეგიაში. სანამ მოქმედ ენერგეტიკულ სტრატეგიას მიიღებდნენ, ხორვატიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ენერგეტიკული სექტორის მომზადება და ადაპტირება ევროკავშირში შესასვლელად და ევროპის ერთიან ენერგეტიკულ ბაზარზე გასაწევრიანებლად, ამასთანავე მხედველობაში იყო გათვალისწინებული ხორვატიის ეროვნული ინტერესი [47].

ახალი სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ენერგეტიკის პოლიტიკის ახალ პერიოდზე გადასვლის უზრუნველყოფა, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის ენერგომომარაგება ქვეყნის ბიუჯეტზე ზედმეტი ზეწოლის, წამახალისებელი მექანიზმების და სუბსიდიების დაკისრების გარეშე. სტრატეგია ითვალისწინებს ენერგეტიკული პოლიტიკის ფართო ინიციატივებს მიწოდების უსაფრთხოების გასამდიერებლად, ენერჯის დანაკარგების შემცირებას, ენერგეტიკული ეფექტურობის ამაღლებას, წიაღისეული საწვავის დამოკიდებულების შემცირებას, შიდა წარმოების გაზრდას და განახლებადი ენერჯის წყაროებიდან წარმოების წახალისებას [47].

2013 წლის პირველ ივლისს ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მას დაეკისრა „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ ინპლემენტაციის ვალდებულება. შესაბამისად, ხორვატიამ მიიღო ახალი კანონმდებლობა ელექტროენერგეტიკული სექტორის დასარეგულირებლად. აღნიშნული კანონმდებლობა „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ ყველა რეგულაციას და დირექტივას აკმაყოფილებს. 2006 წლიდან, მანამ სანამ ხორვატია ევროკავშირის წევრი გახდებოდა, ის იყო „ენერგეტიკული გაერთიანების“

წევრი. ხორვატიის კონსტიტუციის თანახმად საერთაშორისო შეთანხმებებს ადგილობრივ კანონმდებლობასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება და წარმოადგენს ხორვატიის კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს, შესაბამისად „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნები ხორვატიას ნაწილობრივ შესრულებული ჯერ კიდევ 2006 წლიდან ჰქონდა [47].

ხორვატიის კანონმდებლობით ხდება ექვსი ენერგეტიკული საქმიანობის რეგულირება. ესენია ელექტროენერჯის გენერაცია, გადაცემა, განაწილება, მიწოდება, საცალო ბაზარი და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ორგანიზება. თავიდან ყველა ეს საქმიანობა ექსკლუზიურად ხორვატიის ეროვნული ელექტროენერჯის საწარმოს „ჰეპ ჯგუფის“ მიერ ხორციელდებოდა, თუმცა ლიბერალიზაციისა და ელექტროენერგეტიკული სექტორის გახსნას ბაზრის კონკურენციის ამაღლების პროცესში, ზოგიერთი ელექტროენერგეტიკული საქმიანობა გადაიქცა საბაზრო საქმიანობად, მაშინ როცა დანარჩენი საქმიანობები „ჰეპ ჯგუფის“ ექსკლუზიურ კომპეტენციად დარჩა. ახალი კანონმდებლობისა და ლიბერალიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ელექტროენერჯის წარმოება, საცალო ბაზრების რეგულირება და ელექტროენერჯის მიწოდება (საჯარო მომსახურების მიწოდების გარდა) ხორციელდება როგორც საბაზრო საქმიანობები (ფასი და მისაწოდებელი ელექტროენერჯის მოცულობა მთლიანად მოლაპარაკების საკითხს წარმოადგენს). მეორეს მხრივ, ელექტროენერჯის გადაცემისა და განაწილების საქმიანობები, ელექტროენერჯის ბაზრის ორგანიზება და მიწოდება (საჯარო მომსახურების სახით) წარმოადგენს რეგულირებულ საქმიანობებს და ხორციელდება როგორც საჯარო მომსახურების ვალდებულება. „ჰეპ ჯგუფი“ შედგება ჰრვატა ელექტროპრივოდისგან (ჰეპ დდ), რომელიც დედა კომპანიას წარმოადგენს და რამოდენიმე შვილობილი კომპანიისგან, რომელთაგანაც თითოეული ასრულებს რეგულირებულ და საბაზრო საქმიანობებს. კომპანია „ჰეპ“ - მა გაიარა განცალკევების პროცესი ენერგეტიკის შესახებ ხორვატიის კანონისა და „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპანიამ აირჩია დამოუკიდებელი გადაცემის ოპერატორის მოდელი (ITO), რაც გულისხმობს

რომ გადაცემის სისტემის ოპერატორი (ახალი სახელით (ჰოფსი) დარჩა ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს „ჰეპ“ ჯგუფის შემადგენლობაში. თუმცა, მოთხოვნების შესასრულებლად კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ფიზიკური, ტექნიკური და ფინანსური დამოუკიდებლობა „ჰეპ ჯგუფისგან“. „ჰეპ“ - განაწილების სისტემის ოპერატორი (HEP-Operator distribucijskog sustava d.o.o. (HEP-DSO)) წარმოადგენს ხორვატიის განაწილების სისტემის ოპერატორს. ის ასევე არის „ჰეპ ჯგუფის“ შემადგენლობაში, თუმცა დამოუკიდებელია აღნიშნული ჯგუფის სხვა საწარმოებისგან და საქმიანობებისგან [47].

2019 წლის აგვისტოს მონაცემებით ხორვატიის ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე რეგისტრირებული იყო 57 გენერაციის ობიექტი, 14 მიმწოდებელი და 34 საცალო ბაზრის მონაწილე. მართალია, მას შემდეგ რაც ხორვატია გახდა ევროკავშირის წევრი ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ ჰეპ ჯგუფი კვლავ ინარჩუნებს დომინირებულ მდგომარეობას ხორვატიის ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე. ბოლო წლების განმავლობაში ჰეპ ჯგუფის პოზიცია ნელ-ნელა შეიცვალა, იქიდან გამომდინარე რომ ბაზარზე მას ახალი კონკურენტები გამოუჩნდნენ, განსაკუთრებით კი მიმწოდებლები, მაგალითად გერმანული RWE და სლოვაკური GEN-I, რომლებიც მომხმარებლებს ბევრად დაბალ ფასს სთავაზობენ ელექტროენერჯის მიწოდებაზე. იმის გამო, რომ ჰეპ ჯგუფმა დაიწყო მომხმარებლების დაკარგვა, მას მოუწია სატარიფო პოლიტიკის გადახედვა და ფასების შემცირება ელექტროენერჯის მიწოდების მომსახურებაზე [47].

3.2.2. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი და ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეები

ხორვატიაში მოქმედი საბალანსო ჯგუფის მოდელი ორი საბალანსო ჯგუფისგან შედგება. ეს ჯგუფებია: ბაზრის საბალანსო ჯგუფი და

სპეციალური საბალანსო ჯგუფი. თავის მხრივ ამ ორ ჯგუფში სხვადასხვა ჯგუფებია გაერთიანებული [48].

ელექტროენერჯის ვაჭრობასთან დაკავშირებული ორმხრივი ხელშეკრულებები (ყიდვა/გაყიდვა, ქვეყნის შიგნით თუ მის საზღვრებს გარეთ) ფორმდება მიმწოდებელს, ტრეიდერსა ან მწარმოებელს შორის. ორმხრივი ხელშეკრულების ხელშემკვრელ მხარეებს წარმოადგენენ: დაბალანსების ჯგუფის წევრი - დაბალანსების ჯგუფის მმართველი (მენეჯერი), დაბალანსების ჯგუფის მმართველი - დაბალანსების ჯგუფის მმართველი ან დაბალანსების ჯგუფის წევრი - დაბალანსების ჯგუფის წევრი [48].

ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულების ხელშემკვრელ მხარეებს წარმოადგენენ კვალიფიციური მომხმარებლები და მიმწოდებლები. ელექტროენერჯის მიწოდებისა და ელექტროენერჯით ვაჭრობის ხელშეკრულებების გარდა კვალიფიციურმა საწარმოებმა და მწარმოებლებმა ხორვატიის გადამცემი სისტემის ოპერატორთან (HOPS) ან განაწილების სისტემის ოპერატორთან (Operator distribucijskog sustava (HEP-DSO)) უნდა გააფორმონ ქსელით სარგებლობის ხელშეკრულება იმის მიხედვით, თუ რომელ ძაბვაზე არიან ისინი მიერთებულნი [48].

ხორვატიის გადაცემის სისტემის ოპერატორი - HOPS პასუხისმგებელია იმ ელექტროენერჯის შესყიდვაზე, რომელიც საჭიროა ელექტროსისტემის დაბალანსებისთვის. საბალანსო ჯგუფის ყველა მმართველი (იქნება ეს მწარმოებელი, მიმწოდებელი თუ ტრეიდერი) თავისი სახელშეკრულებო მოცულობებიდან გადახრაზე პასუხისმგებელია გადაცემის სისტემის ოპერატორის წინაშე [48].

ბაზრის ყველა მონაწილის როლი და ფუნქცია ელექტროენერჯეტიკულ ბაზარში განმარტებულია და რეგულირდება ენერჯეტიკის შესახებ ხორვატიის კანონით. ხორვატიის ელექტროენერჯეტიკული ბაზრის მონაწილეები შეიძლება პირობითად ორ ნაწილად დავყოთ, კონკურენტული ბაზრის მონაწილეები და რეგულირებული ბაზრის

მონაწილეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბაზრის ორგანიზებასა და ქსელების მართვაზე [49].

ხორვატიის ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის მონაწილეს წარმოადგენს ყველა მწარმოებელი, მიმწოდებელი, ტრეიდერი და კვალიფიციური მომხმარებელი [50].

მწარმოებელს, მიმწოდებელსა და ტრეიდერს უნდა ჰქონდეთ, ხორვატიის ენერჯეტიკის მარეგულირებელი სააგენტოს (Croatian Energy Regulatory Agency - HERA) მიერ გაცემული, შესაბამისი ენერჯეტიკული საქმიანობის განხორციელების ლიცენზია [50].

ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ორგანიზება, ელექტროენერჯის გადაცემა და დისტრიბუცია წარმოადგენენ რეგულირებად საქმიანობებს, რომლებიც ხორციელდება როგორც საჯარო მომსახურება:

- HROTE პასუხისმგებელია ელექტროენერჯეტიკული ბაზრების ორგანიზებაზე;
- ხორვატიის გადამცემი სისტემის ოპერატორი - HOPS - ი პასუხისმგებელია ელექტროენერჯის გადაცემაზე, ქსელის განვითარებაზე, გადამცემი ხაზების მოვლა-პატრონობაზე, ქსელის მშენებლობასა და სისტემის კონტროლზე;
- გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი HEP - Operator distribucijskog sustava (HEP-DSO) პასუხისმგებელია ელექტროენერჯის განაწილებაზე, განაწილების ქსელის მოვლა-პატრონობაზე, მის განვითარებასა და მშენებლობაზე [50].

მწარმოებელს წარმოადგენს ენერჯეტიკული საწარმო, რომელსაც აქვს ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია, ენერჯეტიკული საწარმო რომელიც აწარმოებს ელექტროენერჯიას საკუთარი მოხმარებისთვის და ენერჯეტიკული საწარმო რომლის საკუთრებაშიც არის 1 მგვტ-ამდე სიმძლავრის მქონე გენერაციის ობიექტი. ხორვატიაში ორი სახის მწარმოებელი არსებობს: კვალიფიციური მწარმოებელი და დამოუკიდებელი მწარმოებელი. კვალიფიციურ მწარმოებლად მიიჩნევა ის მწარმოებელი, რომელსაც აღნიშნული სტატუსის მოპოვება შეუძლია

განახლებადი ენერჯის წყაროებიდან და კოგენერაციიდან ელექტროენერჯის წარმოების გზით.

ტრეიდერს წარმოადგენს ენერჯეტიკული საწარმო, რომელიც ყიდულობს და ყიდის ელექტროენერჯიას და რომელსაც მოპოვებული აქვს შესაბამისი ენერჯეტიკული საქმიანობის განხორციელების ლიცენზია [51].

ხორვატიის ელექტროენერჯეტიკის ბაზრების შესახებ აქტის მე-3 მუხლის 53-ე პუნქტის თანახმად ელექტროენერჯის ტრეიდერი წარმოადგენს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც უფლებამოსილია იყიდოს ან მიყიდოს ელექტროენერჯია, მათ შორის გადაყიდოს კიდევაც, ელექტროენერჯის კვალიფიციურ მომხმარებლებს, აღნიშნული არ უნდა მოიცავდეს საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის მიყიდვას [51].

ტრეიდერს შეუძლია იყიდოს ან მიყიდოს ელექტროენერჯია მწარმოებელს, მიმწოდებელს, სხვა ტრეიდერს, ელექტროენერჯეტიკულ ბირჟას, ხორვატიის გადაცემის სისტემის ოპერატორს - CTSO იმისათვის რომ მან შეძლოს დამხმარე მომსახურებების გაწევა, დაბალანსების მომსახურების გაწევა და გადაცემის ქსელის სისტემაში დანაკარგების დაფარვა, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს - HEP იმისათვის რომ მან შეძლოს დამხმარე მომსახურებების გაწევა და განაწილების სისტემაში დანაკარგების დაფარვა ან განახორციელოს იმპორტი და ექსპორტი.

მიმწოდებელს წარმოადგენს ენერჯეტიკული საწარმო, რომელსაც აქვს მოპოვებული ელექტროენერჯის მიწოდების საქმიანობის განმახორციელებელი ლიცენზია.

დღეის მდგომარეობით ხორვატიაში 9 მიმწოდებლის სტატუსის მქონე ენერჯეტიკული საწარმო ფუნქციონირებს [51].¹⁶

ხორვატიის ელექტროენერჯეტიკული ბაზრის მნიშვნელოვან მონაწილეს წარმოადგენს მომხმარებელი, რომელშიც იგულისხმება

¹⁶ 1. HEP - Opskrba d.o.o. ; 2. HEP - ELEKTRA d.o.o.; 3.GEN-I Zagreb d.o.o.; 4 RWE ENERGIJA d.o.o.; 5.PROENERGY d.o.o.; 6. PETROL d.o.o; 7. ENERGIJA GAS AND POWER d.o.o.; 8. CRODUX PLIN d.o.o.; 9. MET Croatia Energy Trade d.o.o. ;

ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებელი. მომხმარებელს (იქნება ის საყოფაცხოვრებო, კომპანია თუ მეწარმე) ელექტროენერჯია მიწოდება ექსკლუზიურად თავისი მიმწოდებლის მეორ. კვალიფიციურ მომხმარებელს თავისუფლად შეუძლია შეარჩიოს მიმწოდებელი და შეათანხმოს მასთან ელექტროენერჯის ფასი [51].

3.2.3. ხორვატიის ელექტროენერჯეტიკული რეგულირებული ბაზრები, მისი მონაწილეები და საბალანსო ჯგუფის მოქმედი მექანიზმი


ხორვატიის ელექტროენერჯეტიკულ ბაზარზე არსებული ბაზრის მონაწილეების გარდა, ბაზარზე არსებობს ბაზრის ოთხი რეგულირებული მონაწილე, ესენი არიან:

- ხორვატიის ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი (HROTE/ხროტე);
 - ხორვატიის ენერჯეტიკული ბირჟა (CROPEX/კროპექსი);
 - ხორვატიის გადაცემის სისტემის ოპერატორი (HOPS/ჰობსი);
 - ხორვატიის გადაცემის სისტემის ოპერატორი (HEP-DSO/ჰეფ-დიესო)
- [52].

ხორვატიის გადაცემის სისტემის ოპერატორი - ჰობსი პასუხისმგებელია წარმოება - მოხმარებას შორის მომენტალური ბალანსის შენარჩუნებაზე, მაგრამ ელექტროენერჯის რეალურ მიწოდებამდე, დაბალანსებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საბალანსო ჯგუფს. კანონმდებლობის თანახმად საბალანსო ჯგუფი აღწერილია, როგორც სუბიექტი რომელიც იღებს პასუხისმგებლობას დაბალანსებული პორტფელის შექმნაზე. საბალანსო ჯგუფი შესაძლოა წარმოადგენდეს გარკვეული რაოდენობის მწარმოებლებს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს ინდივიდუალურად ან მათ ერთობლიობას. დღით ადრე ბაზარი ხორვატიაში ორგანიზებულია საბალანსო ჯგუფებზე დაყრდნობით. ხორვატიის ელექტროენერჯეტიკულ ბაზარზე რამოდენიმე სახის საბალანსო ჯგუფი არსებობს, ესენი არიან:

- ბაზრის საბალანსო ჯგუფი;
- ენერგეტიკული ბირჟს საბალანსო ჯგუფი;
- გადაცემის სისტემის ოპერატორის საბალანსო ჯგუფი;
- განაწილების სისტემის ოპერატორის საბალანსო ჯგუფი [52].

ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრის საბალანსო ჯგუფის მოდელი წარმოდგენილია ნახაზზე N9.



ნახ.9. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრის საბალანსო ჯგუფის მოდელი

ბაზრის მონაწილე კონკრეტული საბალანსო ჯგუფის მონაწილე უნდა იყოს. ყველა საბალანსო ჯგუფს ჰყავს თავისი მმართველი/მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია მთელი საბალანსო ჯგუფის უბალანსობაზე. ბაზრის მონაწილეს, რომელსაც უნდა გახდეს კონკრეტული საბალანსო ჯგუფის წევრი ვალდებულია გააფორმოს წევრობაზე ხელშეკრულება საბალანსო ჯგუფის მმართველთან/მენეჯერთან. ყველა ბაზრის მონაწილე, ასევე ვალდებულია, გააფორმოს ელექტროენერჯის ბაზრის მონაწილის ხელშეკრულება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან - ხროტესთან. ენერგეტიკის შესახებ კანონით განსაზღვრულია, რომ საბალანსო ჯგუფის მმართველი/მენეჯერი პასუხისმგებელია თავისი საბალანსო ჯგუფის უბალანსობაზე ანგარიშსწორების შუალედში. ხორვატიის გადაცემის სისტემის ოპერატორი - ჰობსი ახორციელებს საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვას და ყოველთვიურად წარუდგენს

ინვოისებს საბალანსო ჯგუფის მენეჯერებს, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ გამოანგარიშებული უბალანსობისთვის. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საბალანსო ჯგუფს აქვს უარყოფითი უბალანსობა უბალანსობის ანგარიშსწორების დროს, გადაცემის სისტემის ოპერატორი უგზავნის ინვოისს საბალანსო ჯგუფის მმართველს/მენეჯერს. მეორეს მხრივ, თუ საბალანსო ჯგუფს დადებითი უბალანსობა აქვს, უბალანსობის ანგარიშსწორების დროს, საბალანსო ჯგუფის მმართველი/მენეჯერი წარუდგენს ინვოისს გადაცემის სისტემის ოპერატორს [52].

საბალანსო ელექტროენერჯის კალკულაცია ხორციელდება ელექტროენერჯის საბალანსო წესების შესაბამისად, მაშინ როცა საბალანსო ელექტროენერჯის ფასის გამოთვლა ხდება სპეციალური მეთოდოლოგიით, რომელიც განსაზღვრავს საბალანსო ელექტროენერჯის ანგარიშსწორების ფასს [52].

ენერგეტიკული ბირჟა - კროპექსი, არის ერთადერთი წევრი, ამასთანავე საბალანსო ჯგუფის მმართველი/მენეჯერი. ყველა ბაზრის მონაწილე, რომელსაც სურს ენერგეტიკულ ბირჟაზე მონაწილეობა, ვალდებულია გააფორმოს კროპექსთან წევრობის ხელშეკრულება.

გადაცემის სისტემის ოპერატორისა და განაწილების სისტემის ოპერატორის საბალანსო ჯგუფის ერთადერთი წევრები და მმართველები/მენეჯერები ისინი თავად არიან. ისინი ვალდებული არიან ჰქონდეთ საბალანსო ჯგუფი რადგანაც მათ ევალებათ ქსელში დანაკარგებისთვის ელექტროენერჯის (ორივეს) და საბალანსო ენერჯის შესყიდვა (მხოლოდ გადაცემის სისტემის ოპერატორს) [52].

დღით ადრე ბაზრის დახურვისთანავე, საბალანსო ჯგუფის მენეჯერები წარუდგენენ თავის საბაზრო პოზიციებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს - ხროტეს, რათა დაადასტურონ საკუთარი შესაბამისობა. ხროტე მიღებულ საბაზრო პოზიციებს უგზავნის გადაცემს სისტემის ოპერატორს - ჰობსს, რომელიც ადასტურებს მათ ტექნიკურ მზადყოფნას. საბალანსო ჯგუფების საბაზრო

პოზიციები ასევე ეგზავნება ხროტეს - ელექტროენერგეტიკულ ბაზრის ოპერატორს.

ხორვატიაში ელექტროენერგია შეიძლება ივაჭრობოდეს ორი სახის საბითუმო ელექტროენერგის ბაზარზე: ორმხრივი ხელშეკრულებებისა და ენერგეტიკული ბირჟის მეშვეობით. ორმხრივი ხელშეკრულებებით ვაჭრობა გულისხმობს, რომ ბაზრის მონაწილეები თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებს ერთმანეთთან უშუალო კომუნიკაციის გზით. ეს ნიშნავს რომ ბაზრის ყველა მონაწილე უფლებამოსილია დადოს ორმხრივი ხელშეკრულება საკუთარ საბალანსო ჯგუფში ან ხორვატიის გადაცემის სისტემის ოპერატორთან - ჰობსთან დაბალანსების მიზნით [52].

კროპეჟსი წარმოადგენს ხორვატიის ენერგეტიკულ ბირჟას და ამასთანავე არის ელექტროენერგის დელეგირებული ბაზრის ოპერატორი. კროპეჟსის მიერ დღით ადრე ორგანიზებულმა ბაზარმა ოპერირება 2016 წლის 10 თებერვლიდან დაიწყო, ხოლო დღიურმა ბაზარმა 2017 წლის 26 აპრილს დაიწყო ოპერირება. ხორვატიის ენერგეტიკული ბირჟა - კროპეჟსი არის კომპანია, რომელიც შეიქმნა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბაზრის მონაწილეებისთვის ელექტროენერგიით უსაფრთხო, საიმედო და გამჭირვალე ცენტრალიზებული სავაჭრო ადგილის არსებობა. ხორვატიის ენერგეტიკული ბირჟა მოქმედებს როგორც ცენტრალიზებული შემხვედრი მხარე ელექტროენერგის გამყიდველებსა და მყიდველებს შორის და საკუთარ თავზე იღებს ელექტროენერგის დღით ადრე და დღიური ბაზრის პლატფორმაზე ვაჭრობის დროს წარმოშობილი რისკებისთვის პასუხისმგებლობას [53].

კროპეჟსზე დღით ადრე ბაზრის მონაწილეები ათავსებენ წარმოებისა და მოთხოვნის განაცხადებს, რაც წარმოადგენს საბაზრო ფასის ფორმირების წინაპირობას. მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ განათავსონ თავისი განაცხადები ელექტრონული სავაჭრო სისტემის (ETS) მეშვეობით ყოველ დღე შუალდის 12 საათამდე რეალური მიწოდების დღემდე ერთი დღით ადრე. აღნიშნული განაცხადების ცვლილება არ შეიძლება და მათი განთავსება სავალდებულოა ბაზრის ყველა მონაწილისთვის. საათობრივი

განაცხადები ერთადერთი ტიპის განაცხადებია, რომელთა განსაზღვრაც ხდება კროპექსის დღით ადრე ბაზრის პლატფორმაზე [54].

ხორვატიის ენერგეტიკული ბირჟა კროპექსი იყენებს ელექტროენერგიით ვაჭრობის განგრძობად ფორმას. ეს ფორმა ბაზრის მონაწილეებისთვის, განსაკუთრებით კი განახლებადი ენერჯის წყაროებისთვისაა, რათა მათ უზალანსობის ხარჯის შემცირება შეძლონ. ზოგადად დღიური ბაზრით ვაჭრობა თავით თავში გულისხმობს ელექტროენერჯის ყიდვა - გაყიდვას განგრძობად რეჟიმში ენერგეტიკული ბირჟის მეშვეობით, რომელიც ხორციელდება ელექტროენერჯის მიწოდების დღეს [54].

ელექტროენერჯის მიწოდების ორმხრივი კონტრაქტების და ელექტროენერგიით ვაჭრობის ორმხრივი კონტრაქტების განხორციელებისას წარმოიქმნება გადახრები ელექტროენერჯის რეალიზებულ და დაგეგმილ მოცულობებს შორის. იქიდან გამომდინარე, რომ ენერგეტიკული სისტემის ოპერირება ემყარება ელექტროენერჯის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსს, სისტემის დაბალანსება მუდმივ საჭიროებას წარმოადგენს. ენერგეტიკული სისტემის რეალურ დაბალანსებაზე პასუხისმგებლობა ხორვატიის გადამცემი სისტემის ოპერატორს ეკისრება [55].

ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ანგარიშობს საბალანსო ელექტროენერჯიას, ხოლო ამ ანგარიშებზე დაყრდნობით კი ხორვატიის გადამცემი სისტემის ოპერატორი, დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირებს უდგენს დაბალანსების ხარჯს. ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის თანახმად, ბაზრის ყველა მონაწილე ვალდებულია იყოს დაბალანსებაზე პასუხისმგებელი რომელიმე ჯგუფის წევრი, რომლის მმართველიც მთელი დაბალანსებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის გადახრებზეა პასუხისმგებელი [55].

ელექტროენერჯის ბაზრის მონაწილეები ხორვატიის საცალო ბაზარზე არიან მიმწოდებლები, რომლებიც სთავაზობენ საბოლოო მომხმარებლებს ელექტროენერჯის მიწოდების ხელშეკრულებებს.

საბოლოო მომხმარებლებს აქვთ უფლება აირჩიონ მიმწოდებლები. მიმწოდებელი საბოლოო მომხმარებლებისთვის ასრულებს საბითუმო მყიდველის როლს [55].

ხორვატიის ენერგეტიკული სექტორის და მისი ბაზრის სტრუქტურის გაანალიზების შედეგად, თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ხორვატიას, მისი ენერგეტიკული რესურსების სიმცირის მიუხედავად, კარგად ფუნქციონირებადი ენერგეტიკული ბაზარი აქვს. ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელთა შედეგადაც ხორვატიამ აამუშავა დღით ადრე, დღიური, საბალანსო და ორმხრივი ხელშეკრულებების ელექტროენერჯის ბაზრები. აღნიშნული ნაბიჯით, ქვეყნის ენერგოსექტორი მეტად დაუახლოვდა ევროპის ერთიან შიდა ენერგეტიკულ ბაზარს, გაზარდა საკუთარი ბაზრის ლიკვიდურობა და კონკურენცია ბაზარზე. ამასთანავე ფუნქციონირებს ელექტროენერჯის ვაჭრობისთვის საჭირო პლატფორმები, რომელთა მეშვეობით ბაზრის მონაწილეები მარტივად ათავსებენ ელექტროენერჯის ვაჭრობის განაცხადებს და მონაწილეობენ ელექტროენერჯით ვაჭრობაში. ამასთანავე, ხორვატიის ენერგეტიკული კანონმდებლობა სრულად პასუხობს მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნებს და ამის მიუხედავად არ წყვეტს განვითარებას და საჭირო შემთხვევაში ახალ რეალობასთან ადაპტირებას. ქვეყანაში ოპერირებს ყველა ის ორგანიზაცია რომელთა არსებობაც საჭიროა გამართული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირებისთვის. ბაზრის ლიკვიდურობისა და კონკურენციის გაზრდის მიზნით ხორვატია აქტიურად თანამშრომლობს მეზობელ ქვეყნებთან და დაკავშირებულია მათ ენერგოსისტემებთან.

უკრაინისა და ხორვატიის ელექტროენერგეტიკული სექტორისა და ბაზრის სტრუქტურის განხილვის შედეგებმა დაგვანახა, რომ მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან და მის მოთხოვნებთან დაახლოება არცერთი ქვეყნისთვის არ ყოფილა მარტივი პროცესი. თუმცა, ხორვატიისგან განსხვავებით უკრაინისთვის რეფორმების პერიოდი და გარდამავალი ეტაპი ბევრად რთული აღმოჩნდა.

საქართველომ რეფორმების გზაზე აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა, არ დაუშვას ისეთი შეცდომები როგორც უკრაინამ დაუშვა , გაანალიზოს და გათვალისწინოს სხვა ქვეყნების მაგალითები, რათა შეძლოს რეფორმების წარმატებულად განხორციელება, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და უზრუნველყოს გარდამავალ პერიოდში ელექტროენერგეტიკული ბაზრის გამართულად ფუნქციონირება.

თავი 4. საქართველოს არჩეული გზა ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის ჩამოყალიბებისკენ

მესამე ენერგეტიკული პაკეტის იპლემენტაციისა და საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმირების შედეგად საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სამიზნე მოდელს წარმოადგენს თავისუფალი ბაზარი, სადაც ბაზრის მონაწილეები სარგებლობენ თანასწორი, არადისკრიმინაციული პირობებით და სადაც საბაზრო ფასი გამჭირვალედ ყალიბდება კონკურენტულ პირობებში, რაც მომხმარებლებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას აძლევს.

2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების“ შესახებ საქართველოს კანონის მიღებითა და 2019 წლის 27 დეკემბერს მისი ამოქმედებით ჩანაცვლდა მანამდე წლების განმავლობაში მოქმედი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი. ახალმა კანონმა თვისობრივად შეცვალა ელექტროენერგეტიკული სექტორის სტრუქტურა, რომელიც 2006 წლიდან მოქმედებდა საქართველოში.¹⁷

კანონის უმნიშვნელოვანეს და ერთ - ერთ საკვანძო სიახლეს წარმოადგენს საბითუმო ბაზრის განუყოფელი ნაწილის, კონკრეტულად კი ელექტროენერჯის ორგანიზებული ბაზრების ფუნქციონირების შესახებ დებულებები. „ამასთანავე, კანონის თანახმად, საბითუმო ბაზრის სეგმენტები და ელექტროენერჯის ბაზრის მოდელთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, საჯარო მომსახურების ვალდებულების და მასთან დაკავშირებული ნორმები, „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციით“ წესრიგდება“ [56]. აღნიშნული დოკუმენტი 2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობის დადგენილებით იქნა მიღებული „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების“ შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზრის

¹⁷ აღნიშნული ელექტროენერგეტიკული სტრუქტურა გარდამავალი პერიოდიდან და რეფორმის მოქმედების გადავადებიდან გამომდინარე 2021 წლის მდგომარეობითაც ჯერ კიდევ მოქმედებს.

გახსნისთვის საჭირო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა. აღნიშნული დადგენილების შემუშავება და ამოქმედება ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციისა და ახალი ბაზრის მოდელის ჩამოყალიბებისგან გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.


საკუთრივ „საბითუმო ბაზარი მოიცავს დღით ადრე, დღიურ, ორმხრივი ხელშეკრულებების, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრებს. ამასთანავე, კანონის მიხედვით, დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრები, იმავდროულად, ორგანიზებული ბაზრებია. რაც შეეხება ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარს, საქართველოში ის ორგანიზებული ბაზრის სეგმენტი არ არის“ [56] [57].

ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობა წესრიგდება „ელექტროენერჯის ბაზრის წესებით“, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია შესაბამისი ბაზრის ოპერატორის წარდგინებით. „ბაზრის წესები“ მოიცავს როგორც ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესებს, ისე ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესებს.

საკანონმდებლო ბაზის ცვლილებამ, ახალი კანონისა და ბაზრის მოდელის კონცეფციის მიღებამ გამოიწვია არსებული, წლების განმავლობაში მოქმედი ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურის სრული ტრანსფორმაცია. გარდამავალი და სატესტო პერიოდის დასრულების შემდეგ, რეფორმის სრულად ამოქმედების ფონზე ელექტროენერგეტიკული ბაზრის სამიზნე სტრუქტურა 2021 წლის ბოლოსთვის ახლებური სქემით ჩამოყალიბდება, რომელიც მოცემულია ნახაზზე N10 [58].

ახალი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებამ, როგორც ვხედავთ, სრულად გარდაქმნა ბაზრის სტრუქტურა. ელექტროენერგეტიკული ბაზარი გახდა მეტად მრავალფეროვანი, ბაზარზე ჩამოყალიბდა საბითუმო ბაზრის ისეთი მნიშვნელოვანი სეგმენტები, როგორებიცაა ელექტროენერჯის დღით ადრე,

დღიური, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარები.



ნახ.10. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სამიზნე სტრუქტურა

ახალ სეგმენტებთან ერთად, ბაზარზე გაჩნდნენ ბაზრის ახალი ოპერატორები, რომელთაც შესაბამისი ბაზრის ოპერირება და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა ევალებათ. დღით ადრე და დღიური ბაზრის ოპერირება - საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის, როგორც ახალი ბაზრის ოპერატორის ვალდებულებაა. საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარს ოპერირებას უწევს საბალანსო ბაზრის ოპერატორი. რაც შეეხება ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარს, ის არის საბითუმო ბაზრის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი, სადაც ელექტროენერჯით ვაჭრობა ხორციელდება ბაზრის მონაწილეებს შორის

გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებებით და არა ენერგეტიკული ბირჟის მეშვეობით.

ბაზრის რეფორმამ, ახალმა რეგულაციებმა, ჩამოყალიბებულმა ახალმა ელექტროენერგეტიკულმა ბაზრის სტრუქტურამ დაგვანახა, თუ რამდენად განსხვავდება ის დღეს მოქმედი ბაზრის სტრუქტურისა და ვაჭრობის სქემისგან. დღეის მდგომარეობით ჯერ კიდევ მოქმედი ელექტროენერგეტიკული ბაზრისგან განსხვავებით, რომელიც განისაზღვება, როგორც პირდაპირი ხელშეკრულებების ბაზარი, სადაც ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეები ვალდებულებებს ასრულებენ ყოველთვიური ანგარიშსწორების საფუძველზე, ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზარი მეტად დივერსიფიცირებულია. დღით ადრე ბაზარი, წარმოადგენს საბითუმო ბაზრის სეგმენტს, სადაც ელექტროენერგიით ვაჭრობა ხდება საათობრივად, ფიზიკური მიწოდების წინა დღეს. დღით ადრე ბაზარზე ტარდება აუქციონი და ნავაჭრი ელექტროენერგისათვის განისაზღვრება საერთო საბაზრო ფასი. დღიური ბაზარი საბითუმო ბაზრის ის სეგმენტია, სადაც ელექტროენერგიით ვაჭრობა ხდება განგრძობადად (უწყვეტად), დღით ადრე ბაზრის დახურვის შემდეგ წარმოქმნილი გარიგებების საფუძველზე. დღიურ ბაზარზე მოქმედებს ე.წ. "First come first served" პრინციპი (პირველად მოსული პირველი იღებს მომსახურებას) და ნავაჭრი ელექტროენერგის ფასი განისაზღვრება დაწყვილებული განაცხადებიდან უფრო ადრე განთავსებული განაცხადის ფასით. საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარიც წარმოადგენს საბითუმო ბაზრის მნიშვნელოვან და განუყოფელ სეგმენტს, რომელზეც ელექტროენერგიით ვაჭრობა ხდება ელექტროენერგეტიკული სისტემის რეალურ დროში დაბალანსების მიზნით. საბალანსო ბაზარზე ნავაჭრი სიმძლავრისა და ელექტროენერგისათვის მოქმედებს ფასწარმოქმნის განსხვავებული პრინციპები: სიმძლავრისათვის მოქმედებს გაცხადებული ფასის პრინციპი, ხოლო ელექტროენერგისათვის - ზღვრული ფასწარმოქმნის პრინციპი (ერთიანი ფასის მექანიზმი) [59].

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის N39/2 გადაწყვეტილებით სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟას“ მიენიჭა ელექტროენერჯის ბაზრის ოპერირების ლიცენზია დღით ადრე და დღიური ბაზრის სეგმენტებისთვის [60]. მსოფლიოში დანერგილი პრაქტიკის თანახმად დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ვაჭრობა ხორციელდება სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით, გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა, აღნიშნული ბაზრების დანერგვისა და შემდგომში გამართული ფუნქციონირებისთვის, იყენებს კომპანია Nord Pool - ის პროგრამულ უზრუნველყოფას. დღით ადრე ბაზრის პლატფორმის საშუალებით მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ განათავსონ საათობრივი განაცხადები. საბაზრო ფასის განსაზღვრისათვის ბირჟის ოპერატორი იყენებს ევროპული ბაზრების ინტეგრირების ალგორითმს (Euphemia). ამჟამად „სენბი“ სატესტო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებით დაინტერესებულ პირებს დღით ადრე ბაზრის სატესტო პლატფორმას სთავაზობს. სატესტო სავაჭრო პორტფელები სიმულაციური ბაზრის მონაწილეებს საწყის ეტაპზე შესაძლებლობას აძლევს უშუალოდ გაეცნონ ნორდ პულის სავაჭრო პლატფორმას და განათავსონ ელექტროენერჯის ყიდვისა და გაყიდვის განაცხადები [61].

ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის თანახმად საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟას ოპერირება 2021 წლის პირველი ივნლისიდან უნდა დაეწყო, თუმცა პანდემიიდან და რეფორმის სირთულიდან გამომდინარე ბაზრის გახსნა დაახლოებით 6 თვით გადავადდა და ამ პერიოდშიც სატესტო რეჟიმში გაგრძელდება.

ნორდ პული ყველა მოსარგებლეს სთავაზობს ეფექტური ანგარიშსწორების პროგრამულ გადაწყვეტას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ვაჭრობასთან დაკავშირებულ მონაცემებსა და ინფორმაციაზე მარტივი წვდომის მოპოვება. ელექტროენერჯის ბირჟა ბაზრის სხვადასხვა სეგმენტს მოიცავს. საყურადღებოა დღით ადრე ბაზარი, რომელზეც მიმდინარეობს ელექტროენერჯით ყოველდღიური ვაჭრობა 24 საათით ადრე ელექტროენერჯის მიწოდებამდე. ბაზრის აღნიშნული

სეგმენტი, მონაწილეებს საშუალებას აძლევს, დროის მოკლე მონაკვეთში ბაზრის ფასების შესაბამისად განახორციელონ საკუთარი პორტფელების ოპტიმიზაცია. დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობისა და ე.წ. „კლირინგის“ პროცესები სრულად ანონიმურია. ვაჭრობის არცერთ ეტაპზე ბაზრის მონაწილეებმა არ იციან, გაყიდვის ან ყიდვის რომელ დავალებას წარადგენენ ბირჟაზე ბაზრის ცალკეული მონაწილეები. საქართველოში, როგორც დღით ადრე ბაზარზე, ასევე დღიურ ბაზარზე ელექტროენერჯის საათობრივი ვაჭრობა მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილე ბირჟაზე განაცხადის წარდგენისას უთითებს, თითოეულ საათში რა რაოდენობის ელექტროენერჯის რა ფასად ყიდვა/გაყიდვა სურს. განაცხადის წარდგენა და ვაჭრობის შედეგების გაანგარიშება ხდება ბირჟის ოპერატორის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. როგორც უკვე ავლინებთ, საქართველოს ბირჟის ოპერატორი იყენებს Nord Pool-ის ელექტრონულ პლატფორმას [62]. საქართველოში დღით ადრე ბაზარზე საბაზრო ფასი საბაზრო წონასწორობის წერტილით განისაზღვრება და აუქციონის ყველა მონაწილისთვის საერთოა. დღიურ ბაზარზე საბაზრო ფასი არ დგინდება და მოქმედებს განაცხადის ფასის პრინციპი, კონკრეტულად კი, ელექტროენერჯის ფასს განსაზღვრავს დაწყვილებული განაცხადებიდან სისტემაში უფრო ადრე განთავსებული განაცხადის ფასი [63].

დღით ადრე ბაზარზე ყველა მონაწილის თითოეული განაცხადი (ე.ი. წინადადება, რომელიც ყოველი საათისთვის რამდენიმე) განთავსდება კოორდინატთა სიბრტყეზე, რომლის X ღერძი აღნიშნავს ელექტროენერჯის რაოდენობას, ხოლო Y ღერძი მის ფასს. თითოეული მონაწილის განაცხადების ერთმანეთთან დაკავშირებით აიგება ინდივიდუალური მრუდები, მათი გაერთიანებით კი მთლიანი ბაზრის ორი მრუდი მიწოდებისა და მოთხოვნის. მათი გადაკვეთის წერტილი (წონასწორობის წერტილი) განსაზღვრავს საბაზრო წონასწორობას, რომელიც მოიცავს დღით ადრე ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის რაოდენობასა და ფასს.

წონასწორობის წერტილის დადგენისთვის ბირჟის ოპერატორი იყენებს ევროპული ბაზრების ინტეგრირების ალგორითმს EUPHEMIA-ს [63].

ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციისა და ახალი სამიზნე სტრუქტურის შესაბამისად ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე წარმოიქმნა ახალი ორგანიზაცია WPSO - საჯარო მომსახურების ორგანიზაცია, რომელსაც ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციით საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია - მოვალეობები დაეკისრა. სწორედ, საჯარო მომსახურების ორგანიზაციის ვალდებულებას წარმოადგენს გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ელექტროენერჯის შესყიდვა და ორგანიზებულ ბაზრებზე მისი გაყიდვა, ფინანსური მექანიზმების გამოყენება ხელშეკრულებების პირობების შესრულების მიზნით და ფინანსურ ანგარიშსწორება; განახლებადი ენერჯისა და სხვა მხარდაჭერის სქემის მწარმოებლებთან შესაბამისი სქემის ფარგლებში ფინანსური ანგარიშსწორება; საჯარო მომსახურების გამწევ ელექტროენერჯის მწარმოებლებთან ფასთა სხვაობის ხელშეკრულების ფარგლებში ორგანიზებული ბაზრის ფასსა და კომისიის მიერ კანონის შესაბამისად დადგენილ ფასს შორის სხვაობაზე ფინანსური ანგარიშსწორება; საქართველოს ოკუპირებულ მოხმარებისათვის ელექტროენერჯის შესყიდვა ორგანიზებულ ბაზარზე, ასევე, მასთან დაკავშირებულ უბალანსობაზე პასუხისმგებლობა; უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელთან ფასთა სხვაობის ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზებული ბაზრის ფასსა და კომისიის მიერ კანონის შესაბამისად დადგენილ ფასს შორის სხვაობაზე ფინანსური ანგარიშსწორება და სხვა.

საქართველოს მიერ არჩეული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის უმთავრეს უპირატესობას წარმოადგენს ბაზარზე ყოველგვარი მანიპულაციის შეზღუდვა და მისი ლიკვიდურობის გაზრდაში. რაც უფრო ლიკვიდურია ბაზარი, მით მეტია მონაწილეთა ნდობა მის მიმართ. გარდა ამისა, ბაზარი მეტად მოქნილია და მონაწილეებს საშუალებას აძლევს დროის მოკლე მონაკვეთში მოახდინონ თავიანთი პორტფელის

ოპტიმიზაცია. ამასთანავე, ბაზარზე ფასის ფორმირება ხდება გამჭირვალედ და ყველა მონაწილისათვის თანაბარ პირობებში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის განვითარება ევროპასთან დაახლოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რადგანაც ელექტროენერგიით ვაჭრობის ევროპული მოდელის ანალოგის ამოქმედება ხელს შეუწყობს ევროპის ქვეყნებთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობის ინიცირებასა და ევროპულ ბაზრებზე ვაჭრობის შესაძლებლობის რეალიზებას.

როგორც ვხედავთ ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზარი საკმაოდ დივერსიფიცირებული და მრავალფეროვანია. „ბაზრის მოდელის კონცეფციით“ დარეგულირებული საკითხები განსხვავდება საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ამჟამინდელი მოწყობისაგან. განვიხილოთ მიღებული გადაწყვეტილებები და მათი შესაძლო შედეგები ახალი ბაზრის ფორმირების პროცესში.

ფორმირებული სამიზნე სტრუქტურისა და ბაზრის მოდელის კონცეფციის საფუძველზე ვხედავთ, რომ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მფლობელი ჰიდროელექტროსადგურებისთვის ელექტროენერგიით ვაჭრობას განახორციელებს WPSO და შესაბამისად საბაზრო ფასსა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასს შორის სხვაობას სწორედ, ის აანაზღაურებს. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე, მნიშვნელოვანი და მხედველობაში მისაღები იყო ზოგადად გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების სპეციფიკა და მათი როლი საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე.

ახალი ბაზრის ფორმირების და ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია არსებული ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინება. ერთ - ერთ მნიშვნელოვან და რთულ საკითხს, სწორედ, წარმოადგენს ინვესტორებსა და მთავრობას შორის დადებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები, რომლებიც განახლებადი ენერჯიების წახალისებისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით იქნა შემოღებული. აღნიშნული პრაქტიკა საქართველოში 2008 წლიდან არსებობს. ჯერ კიდევ

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე საქართველოს მთავრობა აქტიურად ცდილობდა განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისებას და მათ ხელშეწყობას. განახლებადი ენერჯის წყაროების ექსპლუატაციაში გაშვებიდან ათი წლის განმავლობაში ზამთრის თვეებში (3 თვე) მათ მიერ წარმოებული ელექტროენერჯია ქვეყნის შიდა ბაზარზე იყიდება. ელექტროენერჯის გაყიდვა ხდება საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე ან სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე“ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით დადგენილი ფასით, რომელიც განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად [64]. გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების წყალობით საქართველოს მთავრობასა და ინვესტორებს შორის გაფორმებულია ურთიერთგაგების 91 მემორანდუმი, მემორანდუმების საფუძველზე კი ინვესტორსა და ესკოს შორის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან გაფორმდა ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის 60 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე, 2014 წლიდან დღემდე, ეტაპობრივად, ექსპლუატაციაში შევიდა 35 ჰიდროელექტროსადგური.¹⁸

ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების მექანიზმის შემოღება განახლებადი ენერჯების წახალისების მიზნით საკმაოდ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა, რომელმაც შეიძლება ითქვას რომ გაამართლა. განხორციელდა ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების მოზიდვა, საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მეტად დივერსიფიკაცია და ნაწილობრივ ენერგოდამოკიდებულების შემცირება. თუმცა, თავის დადებით მხარეებთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს მოცემული მექანიზმის უარყოფითი ასპექტებიც. კერძოდ, კი ინდივიდუალური მიდგომა ინვესტორებისადმი, განსხვავებული პირობები, მაღალი ტარიფები და სხვა. თავის მხრივ ყველა ეს ფაქტორი ბაზრის ლიკვიდურობის შემცირებას უწყობს ხელს. ევროკავშირთან

¹⁸ ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობა; ესკო; <https://esco.ge/electricity/promotion-of-construction-of-new-power-plants>


დაახლოებისთვის, კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებისა და ბაზრის ლიკვიდურობის ასამაღლებლად საჭიროებას წარმოადგენდა მოცემული მექანიზმის გადახედვა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის დადგენილება „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციით“ დგინდება გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მწარმოებლების ხელშეწყობის საკითხი და მათ მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობის შესაძლებლობა. აღნიშნული საკითხი მთავრობის გადაწყვეტილებით ექცევა საჯარო მოსახურების ვალდებულების ფარგლებში. კონკრეტულად კი, კონცეფციის მე - 10 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ „საბითუმო საჯარო მომსახურების ვალდებულება მოიცავს გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ელექტროენერჯის შესყიდვას და ორგანიზებულ ბაზარზე გაყიდვას, შესაბამისი ფინანსური მექანიზმების გამოყენებას ხელშეკრულებების პირობების შესრულების მიზნით და ფინანსურ ანგარიშსწორებას“ [65]... მოცემული გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელი იყო იმ ფაქტის გათვალისწინება თუ რა გავლენას მოახდენენ ე.წ PPA სადგურები ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობისას ელექტროენერჯის ფასის ფორმირებაზე. როგორც ვიცით, გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების პრაქტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის ტარიფი ინდივიდუალური მოლაპარაკებისა და შეთანხმების საკითხს წარმოადგენდა. შესაბამისად, PPA სადგურებს არ აქვთ იდენტური ტარიფი, გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ და ნაწილობრივ დერეგულირებულ ჰესებთან შედარებით მათი ტარიფები გაცილებით მაღალია. ორგანიზებულ ბაზარზე ელექტროენერჯით ვაჭრობისას ინვესტორისთვის უმთავრესი მოგების მიღებაა, შესაბამისად, მათ მიერ, მათთვის შეთავაზებული ტარიფით, ბაზარზე განაცხადის გაკეთება, გვინდა ეს თუ არა, გავლენას მოახსენს ელექტროენერჯის საბაზრო ფასის ფორმირებაზე ზრდის ტენდენციით.

ახალი ბაზრის ფორმირების პროცესში ასევე პრობლემურ და რთულ საკითხს წარმოადგენს აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიისთვის ელექტროენერჯის მიწოდება. მიღებული გადაწყვეტილებებით, ბაზრის მოდელის კონცეფციისა და სამიზნე მოდელის სტრუქტურის თანახმად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიისთვის ელექტროენერჯის უზრუნველსაყოფად ორგანიზებულ ბაზრებზე ელექტროენერჯის შესყიდვა WPSO - ს დაევალა. შესაფასებელი და გასაანალიზებელია აღნიშნული გადაწყვეტილების სისწორე.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორია საქართველოს ელექტროენერჯეტიკული საბითუმო ბაზრის კვალიფიციური მონაწილე არ არის. „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის No77 ბრძანების შესაბამისად, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ელექტროენერჯის მიწოდება ხორციელდება ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის ჰიდროელექტროსადგურებიდან გამომუშავებული ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მეშვეობით. კონკრეტულად, კი აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ელექტროენერჯის ფიზიკური მიწოდება ხდება ვარდნილჰესის სალტებიდან გამავალი ელექტროგადამცემი ხაზებით, რომელიც სრულად მდებარეობს დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე: ა) ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის ჰიდროელექტროსადგურები თავიანთი გამომუშავებული ელექტროენერჯიდან იკლებენ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობას, შესაბამის საანგარიშო პერიოდში წარმოებული ელექტროენერჯის პროპორციულად და აწარმოებენ მის აღრიცხვას ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით; ბ) მაშინ როცა, ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის გამომუშავება არასაკმარისია, ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადისათვის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მისაწოდებელი ელექტროენერჯის შევსება ხდება ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის - ესკოს მიერ ელექტროენერჯის იმპორტის

განხორციელების გზით; გ) ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი ვალდებულნი არიან მომდევნო საანგარიშო პერიოდებში მიაწოდონ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს - ესკოს შესაბამისი რაოდენობის ელექტროენერგია [66]. გასათვალისწინებელია, ის ფაქტი რომ აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.



ნახ.11. აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერგიის მოხმარების სტატისტიკა (2015-2020 წ.წ)

გრაფიკზე მოცემულია 2015 წლიდან 2020 წლის ჩათვლით აფხაზეთის რეგიონს ელექტროენერგიის მოხმარების სტატისტიკა, რომელიც 2015 წლის მერე ყოველწლიურად იზრდება. ასევე წარმოდგენილია, აფხაზეთის რეგიონის მოხმარების დასაკმაყოფილებლად, წლების მანძილზე ენგურჰესისა და ვარდნილჰესის კასკადიდან შესყიდული ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობა. როგორც ვხედავთ, 2017, 2019 და 2020 წლებში ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ აფხაზეთში მისაწოდებელი ელექტროენერგიის რაოდენობა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობასთან შედარებით ნაკლებია. გარდა ამისა, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ზამთრის პერიოდში კონკრეტულ დღეებში, ხშირ შემთხვევაში, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მოხმარება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღის ჭრილში აღემატება ენგურისა და ვარდნილჰესების

კასკადის ფაქტიურ გამომუშავებებულ ელექტროენერგიას. ასეთი შემთხვევის დროს ხორციელდება საქართველოში არსებული სხვა ჰიდროელექტროსადგურებიდან აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის ელექტროენერგიის მოხმარების დაბალანსება, რომლის ანგარიშსწორებას, თვიურ ჭრილში, ახდენს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი - ესკო, ენგურისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ხარჯზე. ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ დღიური და საათობრივი ანგარიშსწორების შემთხვევაში, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დღიური და საათობრივი ანგარიშსწორება ენგურჰესის ხარჯზე პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება, იქიდან გამომდინარე, რომ ენგურჰესის ფაქტიური გამომუშავება, უმეტეს შემთხვევაში, დღიურად და საათობრივად არ არის საკმარისი აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის მოხმარების დასაკმაყოფილებლად.

ბაზრის მოდელის კონცეფციით და ელექტროენერგეტიკული ბაზრის სამიზნე მოდელით მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად საბითუმო საჯარო მომსახურების ვალდებულებები ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე კერძოდ, კი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკში ელექტროენერგიის მოხმარებისათვის ელექტროენერგიის შესყიდვას ელექტროენერგიის ორგანიზებული ბაზრების მეშვეობით, ასევე, მასთან დაკავშირებულ უბალანსობაზე პასუხისმგებლობას“ [65]. საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციას დაეკისრა ვალდებულება აფხაზეთის მოხმარების დასაკმაყოფილებლად ელექტროენერგიის შესყიდვა მოახდინოს ორგანიზებული ბაზრების მეშვეობით. ამჟამად აფხაზეთის მოხმარების უზრუნველყოფა, ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით, შესაბამისად საქართველოში მოქმედი ყველაზე დაბალი ტარიფით ხორციელდება. მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი ენგურჰესის, დღეის მდგომარეობით, მოქმედი ტარიფი შეადგენს 1.857 თეთრი/კვტსთ - ზე, ხოლო ვარდნილჰესების

კასკადის ტარიფი შეადგენს 2.565 თეთრი/კვტსთ - ზე. WPSO - ს მიერ აფხაზეთის მოხმარების უზრუნველსაყოფად ორგანიზებულ ბაზრებზე შესყიდული ელექტროენერჯის ფასი, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ესეთი დაბალი, გარდა ამისა, აფხაზეთის მოხმარებისთვის ორგანიზებულ ბაზარზე შესასყიდი ელექტროენერჯის რაოდენობა საკმაოდ დიდია, შესაბამისად ორივე ეს ფაქტორი გავლენას მოახდენს როგორც ელექტროენერჯის საბაზრო ფასის ფორმირებაზე ასევე, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის მიერ ელექტროენერჯის ფასის აუნაზღაურებლობის კუთხით, სახელმწიფოს ბიუჯეტზეც. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილების სისწორესა და შედეგებზე საუბარი მხოლოდ ბაზრის გახსნისა და რეალური ვაჭრობის მონაცემების გაანალიზების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ზემოხსენებული მაგალითებისა და საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ახალი ბაზრის ტრანსფორმაციის პროცესი და ახალ მოდელზე გადასვლა დიდ სირთულეებთან და გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებისა და აფხაზეთის მოხმარების ინტეგრაცია ორგანიზებულ ბაზარზე გამოიწვევს ელექტროენერჯის ტარიფის გაძვირებას, რაც მძიმე წნეხად დააწვება საბოლოო მომხმარებლებს.

ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის მიხედვით ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზარი 2020 წლის პირველი ივლისიდან უკვე მუშაობს სატესტო რეჟიმში, ასევე კონცეფციის დებულებების თანახმად რეალურ დროში დღით ადრე ბაზრის ამოქმედება 2021 წლის პირველი ივლისიდან უნდა განხორციელებულიყო, თუმცა რეფორმის კომპლექსურობიდან გამომდინარე მინიმუმ ექვსი თვით გადავადდა.

ელექტროენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია, ბაზრის გახსნა, კონკურენციის ამაღლება, გამჭირვალე ფასის ფორმირება, ევროპის ენერგეტიკულ პაკეტთან და ევროპულ ბაზრებთან დაახლოება, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია როგორც სექტორისთვის, ასევე ქვეყნისთვისაც

პრიორიტეტულია, თუმცა ამ ყველაფრის ფონზე აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის თავისებურებები და სპეციფიკა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმა აქტიურ ფაზაშია, შემუშავდა ახალი ბაზრის სტრუქტურა და არჩეულ იქნა კონკრეტული პლატფორმა თავისი ალგორითმით, რომელიც ახალი ბაზრის სეგმენტებზე განხორცილებს საბაზრო ფასის ფორმირებას. აქვე ნიშანდობლივია, რომ Euphemia – ს ალგორითმი თავისი არსით წარმოადგენს ევროპული ბაზრების ინტეგრირების ალგორითმს. ის, მორგებულია ბაზრების ინტეგრაციასა და დაწყვილებაზე. მისი აღწერის დასახელებაშიც კი მითითებულია, რომ Euphemia წარმოადგენს ერთი ფასის ფორმირების ალგორითმს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მთავარი დანიშნულება ელექტროენერჯის დღით ადრე ბაზრების დაწყვილებაა. ალგორითმის საჯარო აღწერილობაში, მითითებულია, რომ მისი შემუშავების მთავარ მიზანს წარმოადგენდა დღით ადრე ელექტროენერგეტიკული ბაზრების დაწყვილების პრობლემის აღმოფხვრა [67]. შესაბამისად, ჩდება კითხვა, რამდენად გამართლებულია აღნიშნული ალგორითმის გამოყენება საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნის პროცესში? არ უნდა დაგვავიწყდეს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და მეზობელი ქვეყნების ელექტროენერგეტიკული ბაზრების თავისებურებანი. საქართველოს ენერგეტიკული სისტემა, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, ინტეგრირებულია კავკასიის რეგიონში და აწარმოებს ელექტროენერჯის გაცვლას მეზობელ ქვეყნებთან, თანამშრომლობს მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ პარტნიორებთან თურქეთის რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციაში, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში, რითაც უზრუნველყოფს ენერგეტიკული სექტორის უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას, ასევე ელექტროენერჯის ექსპორტს/იმპორტს, ტრანზიტსა და ურთიერთდახმარებას საგანგებო/ავარიულ სიტუაციებში. საქართველო არ არის დაკავშირებული

მეზობელი ქვეყნების ელექტროენერგეტიკულ ბაზრებთან და აღნიშნულ ბაზრებს შორის არ ხორციელდება დღით ადრე ან დღიური ვაჭრობა.

რუსეთის ფერდერაციის ელექტროენერგეტიკული ბაზრის სპეციფიკისა და სიდიდის გათვალისწინებით, საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მასთან დაწყვილება შეუძლებელია. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მოქმედი ელექტროენერგეტიკული ბაზარი ჯერ კიდევ სრულად მონოპოლიურია და არ აკმაყოფილებს „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნებს, სომხეთის რესპუბლიკა, მართალია, ცდილობს „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანებას და კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მაგრამ პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე თითქმის არანაერი კავშირი არ აქვს თურქეთისა და აზერბაიჯანის ელექტროენერგეტიკულ ბაზრებთან. რაც შეეხება, თურქეთის ელექტროენერგეტიკულ ბაზარს ის ლიბერალიზებული და კონკურენტულია. თურქეთში მოქმედებს ორგანიზებული ბაზრები ადგილობრივად შემუშავებული პლატფორმის მეშვეობით. გარდა ამისა, თურქეთის რესპუბლიკა მიერთებულია ევროპის გადამცემი სისტემის ოპერატორების გაერთიანებასთან (ENTSO-E), რის შედეგადაც ელექტროენერგით პირველი საერთაშორისო ვაჭრობა ჯერ კიდევ 2012 წელს განხორციელდა. შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკულ სისტემასთან დაწყვილება საქართველოს აძლევს რეალურ შესაძლებლობას დაუკავშირდეს ევროპის ელექტროენერგეტიკულ ბაზარს, თუმცა აღნიშნული ვერ განხორციელდება საქართველოს მიერ არჩეული პლატფორმის მეშვეობით, რომელიც არ იძლევა თურქეთის რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული ბაზრის პლატფორმასთან დაწყვილების შესაძლებლობას.

საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობისა და მეზობელი ქვეყნების ელექტროენერგეტიკული ბაზრების სპეციფიკის გათვალისწინებით თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ელექტროენერგეტიკული ბაზარი მეზობელი ქვეყნების ელექტროენერგეტიკულ ბაზრებთან ვერ დაწყვილდება, რაც არჩეული

ალგორითმის გამართულ ფუნქციონირებას ბუნებრივია ხელს უშლის. მეზობელი ქვეყნების ელექტროენერგეტიკული ბაზრების სპეციფიკისა და Euphemia-ს ალგორითმის თავისებურების გაანალიზების ფონზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოსთვის ბაზრების აღნიშნული ალგორითმით ელექტროენერგეტიკული ორგანიზებული ბაზრების ოპერირება აზრს მოკლებულია. ბევრად მისაღები იქნებოდა თურქეთის რესპუბლიკის მაგალითის გაზიარება და საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის თავისებურებების გათვალისწინებით საკუთარი სავაჭრო პლატფორმის შექმნა.

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარს თავისი მცირე ზომიდან გამომდინარე არ აქვს დიდი ლიკვიდურობა, რამაც ბაზრის გახსნის შემდგომ სავსებით შესაძლებელია გამოიწვიოს ელექტროენერჯის ფასების ზრდა. გარდა ამისა, პლატფორმა რომლის მეშვეობითაც მომავალში განხორციელდება ელექტროენერჯით ვაჭრობა აწყობილი და მორგებულია ევროპის ქვეყნების ენერგეტიკულ ბაზრებზე და მისი ალგორითმი არ იძლევა ცვლილების ან ადაპტაციის შესაძლებლობას. ამის ნათელი მაგალითია, ის ფაქტი, რომ ბაზრის გახსნის შემდეგ ელექტროენერჯით ვაჭრობა მოხდება მეგავატ საათებში, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია მიღებული. ახალი ბაზრის წესების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად : ბირჟაზე ვაჭრობის პროდუქტები გამოისახება მეგავატსაათებში. აღნიშნული დებულება, საკმაო სირთულეებს უქმნის მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს და არა მარტო მათ. ვინაიდან, ბირჟაზე განაცხადის გაკეთება და მცირე რაოდენობით ელექტროენერჯით ვაჭრობას ვეღარ განახორციელებენ. გარდა ამისა, სადგურებს არ ეძლევათ ნულოვანი განაცხადის განთავსების უფლება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემდა ყოფილიყვნენ მუშა მდგომარეობაში, თუმცა არ ევაჭრათ ელექტროენერჯით. გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, Nord Pool-ის სავაჭრო პლატფორმის შესყიდვა და შემდგომში მისი გამართულად ფუნქციონირებისთვის მომსახურების უზრუნველყოფა სახელმწიფოს კოლოსალური თანხები უჯდება,

შესაბამისად ხდება აღნიშნული თანხების ქვეყნიდან გადინება, რაც საქართველოს ეკონომიკისთვის მომგებიანი ნამდვილად არ არის. სწორედ, ამ მიზეზის გამო, დარგის ბევრი ექსპერტი ემხრობოდა საქართველოზე მორგებული სავაჭრო პლატფორმის შექმნას, რომელიც გაითვალისწინებდა ჩვენი ბაზრის სპეციფიკასა და თავისებურებებს.

ზემოხსენებული ფაქტების გარდა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეზობელ ქვეყნებში მოქმედი საყოფაცხოვრებო ტარიფები საკმაოდ განსხვავდება საქართველოში მოქმედი ელექტროენერჯის საყოფაცხოვრებო ტარიფისგან. გარდა ამისა, როგორც დისერტაციაში განილულ სახელმწიფოებში, ასევე მეზობელ ქვეყნებში და საქართველოშიც შეინიშნება საყოფაცხოვრებო ტარიფების ყოველწლიური ზრდის ტენდენცია, შესაბამისად აღნიშნული ფაქტისა და უმეტესი მეზობელი ბაზრების მონოპოლიური ბუნებიდან გამომდინარე, მათ ელექტროენერგეტიკულ ბაზრებთან დაწყვილებამ შესაძლოა არასახარბიელო გავლენა იქონიოს საქართველოსში არსებულ საყოფაცხოვრებო ტარიფზე. ტარიფების ზრდის ტენდენცია ასახულია ცხრილში N10.

ცხრილი 9. 2019 - 2020 წლებისთვის მოქმედი ელექტროენერჯის საყოფაცხოვრებო ტარიფები ქვეყნების მიხედვით (თეთრი/კვტსთ)

ქვეყანა	2019 წელი	2020 წელი	ზრდის %
უკრაინა	14.130	16.552	17.14
ხორვატია	42.240	46.210	9.40
რუსეთი	16.340	18.144	11.04
სომხეთი	24.690	25.390	2.84
აზერბაიჯანი	13.880	15.575	12.21
თურქეთი	27.090	35.341	30.46
საქართველო	18.890	23.549	24.66

ცხრილში ნათლად ჩანს, ერთი წლის განმავლობაში, საყოფაცხოვრებო ტარიფების ზრდის % ტენდენცია. აღნიშნული ზრდა, ქვეყნების მიხედვით, სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული. უკრაინაში ტარიფებზე გავლენა მოახდინა მიმდინარე ენერგეტიკულმა რეფორმამ და ქვეყანაში შექმნილმა

პოლიტიკურმა ვითარებამ; ხორვატიაში ტარიფის ზრდის უმთავრეს მიზეზად სახელდება ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიკვიდურობის დაბალი დონე; რუსეთში საყოფაცხოვრებო ტარიფების ცვლილება უმეტესად დამოკიდებულია ქვეყნის სიდიდესა და განსხვავებულ ენერგეტიკულ ბაზრებზე, რომლებიც ზონების მიხედვით მოქმედებს; სომხეთში საყოფაცხოვრებო ტარიფი ბოლო ერთი წლის მანძილზე შეიძლება ითქვას, რომ მცირედით გაიზარდა, თუმცა ზრდის ტენდენცია მაინც სახეზეა; აზერბაიჯანის ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონოპოლიური ბუნება, მისი ენერგეტიკული რესურსის მრავალფეროვნების მიუხედავად, იწვევს საყოფაცხოვრებო ტარიფის ზრდას; თურქეთში ტარიფის ზრდის ტენდენცია საკმაოდ მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ელექტროენერგეტიკული ბაზარი პასუხობს თავისუფალი ბაზრის მოთხოვნებსა და დაკავშირებულია ევროპის ენერგეტიკულ ბაზრებთან; რაც შეეხება საქართველოს, საქართველოში საყოფაცხოვრებო ტარიფის ზრდა უმეტესად ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ და კურსის მნიშვნელოვანმა ცვლილებამ განაპირობა. ზემოხსენებული მოვლენების გარდა, არ უნდა დაგვავიწყდეს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები და პანდემია, რომელმაც არამარტო ენერგეტიკის სექტორი არამედ ყველა სფერო დააზარალა.

მოყვანილი ფაქტების გარდა, მხედველობაშია მისაღები იმ მეცნიერ - მკვლევართა აზრი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ენერგიაშემცველებზე ფასების მატება ან კლება სამომხმარებლო ბაზარზე მომენტალურ ასახვას პოვებს. საქართველოში, 2020 წლის ბოლოს, სწორედ, მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა მაშინ, როცა ელექტროენერჯის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს ტარიფი მნიშვნელოვნად გაეზარდათ. მართალია, გარკვეული დროის განმავლობაში საყოფაცხოვრებო მომხმარებელთა დიდი ნაწილისათვის გარზრილი ტარიფი დასუბსიდირდა, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, აღნიშნული მოვლენა საქართველოს ეკონომიკაზე ახდენს გავლენას და მძიმე ტვირთს წარმოადგენს [68].

გასათვალისწინებელია, რომ ტარიფის ცვლილებაზე საკმაო ზეგავლენას ახდენს ის გარემოება, თუ როგორაა გათვალისწინებული დარგის განვითარებაში ის თავისებურებები რომელიც ზოგადად ენერგეტიკის სექტორს გააჩნია. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ელექტროენერჯის წარმოება და მოხმარება ერთმანეთს დროში ემთხვევა. ამასთანავე გასათვალისწინებელია, დარგის ინტენსიური და უწყვეტი დაფინანსების საჭიროების სპეციფიკა, რათა შენარჩუნდეს მისი ფუნქციონირების უნარი და იმავდროულად დარგმა შეძლოს პროგრესის მიღწევა მაკროეკონომიკური გარემოს მოთხოვნილებების შესაბამისად. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სხვა სფეროებისგან განსხვავებით ენერგეტიკას აკისრია მაღალი სოციალურ - ეკონომიკური პასუხისმგებლობა. იგი როგორც ბუნებრივი მონოპოლიის არსებობის ტიპური წარმომადგენელი მუდმივად საჭიროებს დამოუკიდებელ რეგულირებას. ამასთანავე, ენერგეტიკული სფეროს გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია დიდ რაოდენობით უწყვეტი ინვესტიციების მოზიდვა. ზემოხსენებული გარემოებები, სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად ზრდის ენერგეტიკულ სფეროში არსებულ დანახარჯებს, რაც შესაბამისად საყოფაცხოვრებო ტარიფის ზრდას განაპირობებს [68].

ამასთანავე, ტარიფის დონის განსაზღვრაზე უთუო გავლენა აქვთ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა გლობალიზაცია, ელექტროენერჯის წარმოების სტრუქტურა, ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისება, საზოგადოების როლი და სხვ. შესაბამისად მსოფლიო პანდემიამ, საქართველოში მიმდინარე ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმამ, რომელიც საბითუმო ელექტროენერჯიაზე ფასის მატების ტენდენციით ხასიათდება, ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისებლობამ ქვეყანაში მინდინარე მოვლენების გამო, ენერგობიექტების მშენებლობის ხელის შეშლამ საზოგადოების უარყოფითმა დამოკიდებულებამ გამო, ინვესტიციების შეჩერებამ ენერგეტიკის სექტორში არ შეიძლება უკვალოდ

ჩაიაროს და საბოლოოდ არ მოახდინოს გავლენა საყოფაცხოვრებო ტარიფებზე.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმის დადებით მხარედ, ელექტროენერგიაზე ფასების შემცირების მიჩნევა მცდარი და საფუძველს მოკლებულია. რეფორმები, ძირითადად მომსახურების გაუმჯობესებისკენ და მომხმარებელთა უფლებების უკეთ დაცვისკენ არის მიმართული, რაც ინვესტიციების განხორციელებით მიიღწევა. აღნიშნული, კი თავისთავად გულსხმობს ძვირადღირებულ ტექნოლოგიებს, მაღალკვალიფიციურ კადრებს, შესაბამისად მეტ ხარჯს. შედეგად, მართალია, მომსახურების ხარისხი უმჯობესდება, თუმცა მისი საფასური პროპორციულად იზრდება.

მოყვანილი ფაქტებისა და განვითარებული მსჯელობის საფუძველზე თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეფორმის შედეგად ელექტროენერგიის ტარიფები კი არ დაიკლებს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი და ბაზრის მონაწილე მიიჩნევს, არამედ პირიქით, მოიმატებს.

თავი 5. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ალტერნატიული გზა - ევროპექსის მაგალითი

საქართველოსთვის ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია უმნიშვნელოვანესია. ამისთვის, რეფორმების პროცესში, “მესამე ენერგეტიკული პაკეტის” მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შემუშავებულ იქნა როგორც საჭირო საკანონმდებლო ბაზა ასევე ჩამოყალიბდა ბაზრის ახალი სტრუქტურა. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი სტრუქტურის გამართულად ფუნქციონირებისთვის, როგორც ზემოთ განვიხილეთ, შერჩეულ იქნა კონკრეტული მექანიზმი და ბაზრის გახსნისთვის გაიწერა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც საჭიროა ბაზრის გახსნის პროცესში. თუმცა, განხილული საბაზრო პლატფორმის შეფასებისას გამოიკვეთა სხვადასხვა საჭირობო საკითხი, რომლებმაც შესაძლოა ბაზრის სრულფასოვანი ამოქმედება შეაფერხოს და იმოქმედოს, როგორც ბაზრის მონაწილეებზე, ასევე ბაზრის ფუნქციონირებაზე.

შესაბამისად, ჩდება კითხვა ხომ არ შეიძლებოდა რეფორმის პროცესში სხვა გზის არჩევა, მარტივი გზით წასვლა, რომელიც დააკმაყოფილებდა როგორც ევროკავშირის მოთხოვნებს, ასევე მორგებული იქნებოდა საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სპეციფიკაზე.

სადოქტორო თემის, „საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად“, მოცემულ ნაწილში შემოთავაზებულია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის ფორმირების ალტერნატიული გზა, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც ელექტროენერგეტიკულ ბაზარს გამართულად ფუნქციონირებასთან ერთად, მეზობელ ქვეყნებთან (თურქეთი) დაწყვილების რეალური შესაძლებლობა უჩნდება. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ალტერნატიულ გზად შემოთავაზებულია Europex - ის მაგალითი. კონკრეტულად კი, დელეგირებული ბაზრის ოპერატორის ინსტიტუტის არსებობა და მისი

მეშვეობით ელექტროენერგეტიკული ორგანიზებული ბაზრების ოპერირება.

Europex - ი (ევროპექსი) წარმოადგენს ევროპული ენერგეტიკული ბირჟების ასოციაციას, ენერგეტიკული ბირჟების ბიზნეს ასოციაციას, ბაზრის ოპერატორებსა და დელეგირებულ ოპერატორებს ევროპაში. როგორც ენერგეტიკული ბაზრის ინფრასტრუქტურის უზრუნველმყოფები, ევროპექსის წევრების მთავარი საქმიანობები მოიცავს, სხვა ფუნქცია - მოვალეობებთან ერთად, საბითუმო ელექტროენერგეტიკული, გაზისა და ემისიის ბაზრების ოპერირებას გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდში. გარდა ამისა, Europex - ი ფუნქციონირებს როგორც ორგანიზებული ბაზარი (Organised Market Places), რეგისტრირებული საანგარიშსწორებო მექანიზმი (Registered Reporting Mechanisms) და შიდა ინფორმირებულობის პლატფორმა (Inside Information Platforms) საბითუმო ენერგეტიკული ბაზრის ინტეგრაციისა და გამჭირვალეობის შესახებ ევროკავშირის რეგულაციის ფარგლებში [69], ასევე, ოპერირებას უწევს განახლებადი ენერჯის წყაროების წარმოშობის სერტიფიკატების რეესტრს [70]. Europex - ი წარმოადგენს ბირჟაზე დაფუძნებული საბითუმო ელექტროენერჯის, გაზისა და გარემოსდაცვითი ბაზრების ინტერესებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ევროპული კანონმდებლობის სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებაზე საბითუმო ენერჯით ვაჭრობის კუთხით და უზრუნველყოფს უმაღლეს დონეზე სადისკუსიო პლატფორმას [70]. Europex - ის ფესვები ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციაშია, რომელიც ჯერ კიდევ 1990 - იან წლებში დაიწყო. ელექტროენერჯისა და გაზის კონკურენტული ბაზრების დაფუძნების შემდეგ, ევროპულმა ენერგეტიკულმა ბირჟებმა, როგორც ახლადდაფუძნებული ინფრასტრუქტურის მომსახურების მიმწოდებლებმა, გააცნობიერეს თანამშრომლობის საჭიროება. 2001 წელს შვიდი ენერგეტიკული ბირჟა ნებაყოფლობით დათანხმდა შეექმნათ ერთიანი უფლებადამცველი ორგანო ევროკავშირის დონეზე, რომელიც ერთიანი შიდა ენერგეტიკული ბაზრის მარეგულირებელ სირთულეებს გაუმკლავდებოდა, შეათანხმებდა წევრების

პოზიციებს და მოახდენდა კომუნიკაციას პოლიტიკის გამტარებლებთან, მარეგულირებელ ორგანოებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან. 2002 წლის 12 აპრილს მისი ფორმალური დაფუძნების შემდეგ Europex-ი გაიზარდა და გარდაიქმნა. Europex-ის წევრებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით დღევანდელი ევროპული ლიბერალიზებული ენერგეტიკული ბაზრის დიზაინის შემუშავებასა და გამართულ ფუნქციონირებაში. ასოციაციის თავდაპირველ აქცენტს წარმოადგენდა ევროპის მამტაბით მოკლევადიანი ელექტროენერგეტიკული ბაზრების ინტეგრაცია და გრძელვადიანი ბაზრების გაჩენის პროცესში რისკების შემცირების უზრუნველყოფა. დღეის მდგომარეობით, Europex-ი მოქმედებს როგორც ევროპული ენერგეტიკული ბირჟების ცენტრალიზებული წარმომადგენელი ევროპული ინსტიტუტების, ეროვნული ფინანსური და ენერგეტიკული მარეგულირებელი ორგანოების და სხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე. ამჟამად Europex-ს ჰყავს ოცდახუთი სრულუფლებიანი წევრი და ოთხი ასოცირებული წევრი [71]. 2015 წლიდან საქართველოს ამჟამინდელი, ჯერ კიდევ მოქმედი, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ - ესკო, არის Europex - ს სრულფასოვანი წევრი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ესკო Europex - ის პირველი წარმომადგენელია ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან.

5.1. დელეგირებული ბაზრის ოპერატორი

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელი ხელშეკრულების წევრებს შორის და დიდი ბრიტანეთის რამოდენიმე ქვეყანაში ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია საბალანსო ბაზრის ოპერირებასთან ხორციელდება მესამე მხარეების მიერ და არა გადაცემის სიტემის ოპერატორების (TSO-ების) მიერ, როგორც ეს ევროპის უმეტეს ქვეყანაში ხდება.

ტერმინით „ბაზრის ოპერატორი“ ძირითადად აღინიშნება სუბიექტი, რომელიც ახორციელებს გარკვეულ „სისტემურ“ ფუნქციას ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე, რომელიც ყველა ქვეყანაში შეიძლება არც კი არსებობდეს. მაგალითად „ბაზრის ოპერატორის“ ფუნქციებს განეკუთვნება საბალანსო სქემის მართვა, გაფორმებული ხელშეკრულების რეესტრის წარმოება და ოპერატიული მონაცემების პროგნოზირება, ბაზრის დაბალანზება, უბალანსობის ანგარიშსწორება და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტერმინით გამოხატული ორგანიზაცია არ არის უნივერსალური ის საკმაოდ გავრცელებულია როგორც ევროკავშირის ასევე ენერგეტიკული გაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის [72]. ცალკე არსებულ იურიდიულ პირებს და შესაბამისად ბაზრის ოპერატორებს წარმოადგენენ „ბორზენი“ (სლოვენია), „ელექსონი“ (დიდი ბრიტანეთი), „სემო“ (ირლანდია), „აპცს“ (ავსტრია), „ხროტე“ (ხორვატია), „ოტკე“ (სლოვაკეთი), „ოტე“ (ჩეხეთის რესპუბლიკა), „ოპცომ“ (რუმინეთი), „ესკო“ (საქართველო), „ცოტე“ (მონტენეგრო) და სხვა [73].


დელეგირებული ბაზრის ოპერატორის ფუნქციები პრაქტიკიდან გამომდინარე მოიცავს შემდეგს:

- ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის ადმინისტრირებას;
- დაბალანსებაზე პასუხისმგებელი მხარეების უბალანსობის გამოთვლას ყოველდღიურ გრაფიკებსა და სისტემის ოპერატორების მიერ მიღებული გამოთვლების საფუძველზე;
- ელექტროენერჯის გადაცემის სისტემის ოპერატორისთვის ყველა იმ მონაცემების წარდგენას, რომელიც საჭიროა ყოველდღიურად ყიდვა/გაყიდვის გრაფიკების შესადგენად და ელექტროენერჯის ვაჭრობისთვის;
- ბაზრის მონაწილეებს შორის გაფორმებული ყველა იმ ხელშეკრულების რეესტრის წარმოებას რომელიც მათ ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე გააფორმეს;

- ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეებსა და ბაზრის ოპერატორებს შორის დაბალანსების ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების რეესტრის წარმოებას;
- ელექტროენერგეტიკული ბაზრის ყოველდღიური გრაფიკის მომზადებას;
- ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეთა რეესტრის წარმოებას;
- ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე საბალანსო ჯგუფების რეესტრის წარმოებას;
- ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეგისტრირებული მონაწილეების შესახებ გადაცემის სისტემის ოპერატორისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის დროულ მიწოდებას;
- ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებას, ისევე როგორც დაბალანსებაზე პასუხისმგებლობის აღებას იმ პრივილეგირებული ელექტროენერჯის მწარმოებლებისთვის, რომლებიც სარგებლობენ ე.წ „მწვანე ტარიფით (feed-in tariff) [73].

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატორი - ესკო დელეგირებული ბაზრის ოპერატორის ფუნქცია - მოვალეობების უმეტეს ნაწილს წლების განმავლობაში ახორციელებდა და დღეის მდგომარეობითაც ახორციელებს რეფორმის გარდამავალი პერიოდიდან გამომდინარე.

დელეგირებული ოპერატორების უმთავრეს ფუნქციებს წარმოადგენს, სხვა ფუნქციებთან ერთად, უბალანსობის გაანგარიშება და ანგარიშსწორება, ელექტროენერჯის საბალანსო ბაზართან დაკავშირებული მონაცემების გამოქვეყნება და საბალანსო ბაზრისა და უბალანსობის ანგარიშსწორების წესების გამოცემა. აღნიშნული ამოცანები აუცილებელია ელექტროენერჯის ბაზრის ეფექტურად მუშაობისთვის და წარმოადგენს მნიშვნელოვან კავშირს ელექტროენერჯის ფიზიკურ მიწოდებასა და ფინანსურ ანგარიშსწორებას შორის [73].



ნახ.12. ევროპეკსის დელეგირებული ბაზრის ოპერატორები

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი - „ესკო“ თავისი ფუნქცია - მოვალეობებით პრაქტიკულად ასრულებს დელეგირებული ბაზრის ოპერატორის როლს, სწორედ, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, Europex - მა „ესკო“ თავის წევრად მიიღო. „ესკო“, როგორც, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ყიდის და ყიდულობს საბალანსო ელექტროენერგიას (სიმძლავრის). მათ შორის, მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტზე საშუალო და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმება. ელექტროენერგიით შეუფერხებელი ვაჭრობის მიზნით ესკო როგორც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ასრულებს შემდეგ ფუნქცია - მოვალეობებს:

- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგენს საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობისათვის საჭირო პირდაპირი ხელშეკრულებების სტანდარტულ პირობებს;
- განსაზღვრავს საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობებს, გამომუშავებული, მიწოდებული, იმპორტირებული, მოხმარებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობების შესაბამისად, ამასთანავე ახდენს მხარეთა მიერ, მოლაპარაკებების საფუძველზე გაფორმებული, პირდაპირი ხელშეკრულებებით დადგენილი და მათ საფუძველზე შედგენილი ელექტროენერგიის მიღება - ჩაბარების აქტებში პირდაპირი ხელშეკრულებების შესაბამისად დაფიქსირებული ფაქტობრივი რაოდენობების შედარებას;
- საქართველოს კონონმდებლობის შესაბამისად ესკო, როგორც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, "ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" დებულებების თანახმად, ახორციელებს საბალანსო ელექტროენერგიის ფასების გაანგარიშებას;
- ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ესკო ახორციელებს კვალიფიციურ საწარმოებთან ანგარიშსწორებას მის მიერ შესყიდულ და გაყიდულ საბალანსო ელექტროენერგიაზე;
- კანონით მასზე დაკისრებული, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისთვის სპეციფიური ფუნქციებიდან, ესკო ახორციელებს საშუალო და გრძელვადიანი ხელშეკრულებებს გაფორმებას ელექტროენერგიის იმპორტსა და ექსპორტზე უცხო ქვეყნის შესაბამის სუბიექტებთან. ამ მიზნით ესკო უფლებამოსილია, იმპორტირებული ან/და საექსპორტოდ განკუთვნილი ელექტროენერგია გაყიდოს ან/და იყიდოს როგორც პირდაპირი ხელშეკრულებებით, აგრეთვე საბალანსო ელექტროენერგიის ყიდვა - გაყიდვისათვის დადგენილი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.

გარდა ამისა, „ესკოს“, როგორც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს გარანტირებული სიმძლავრის ბაზრის მართვა, საბითუმო ყიდვა - გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის წარმოება, საბითუმო აღრიცხვაში გამოყენებული მრიცხველების ინსპექტირება და კანონმდებლობითა და ბაზრის წესებით მასზე დაკისრებულ სხვა მნიშვნელოვან ფუნქცია - მოვალეობების შესრულება [74].

ელექტროენერგეტიკულ სექტორში თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი - „ესკო“, აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის რეფორმირების პროცესში. დაწყებული ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიღებით დამთავრებული.

მესამე მხარის მიერ აღნიშნული ტიპის ბაზრის მოწყობა ევროპაში დაფუძნდა წინა ორი დეკადის განმავლობაში და წარმოადგენს ევროპული ელექტროენერგეტიკული ბაზრების მხარდაჭერის შეუცვლელ ფუნქციას. დელეგირებული ოპერატორები უზრუნველყოფენ თავისი პასუხისმგებელი სფეროების ექსპერტიზას და ხელს უწყობენ კონკურენციისა და ინოვაციების გაზრდას ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე. აღნიშნული ტიპის ბაზრის მოწყობა დღეის მდგომარეობით არსებობს ევროკავშირის თერთმეტ წევრ სახელმწიფოში, მათ შორის ავსტრიაში, ხორვატიაში, ჩეხეთში, ირლანდიაში, რუმინეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, დანიაში, ფინეთში, ნორვეგიასა და შვედეთში.

5.2. საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების ალტერნატიული გზა

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელი აუცილებლად უნდა პასუხობდეს ევროკავშირისა და მესამე ენერგეტიკული ბაზრის მოთხოვნებს, ითვალისწინებდეს ყველა იმ საკვანძო პრინციპს, რომელიც

აღიარებულია ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებში და ამასთანავე ითვალისწინებდეს საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის სპეციფიკას.

რეფორმის აქტიური პროცესიდან და მიღებული საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ბაზრის ფორმირების ალტერნატიული გზა ვერ იქნება არჩეული ბაზრის მოდელისგან რადიკალურად განსხვავებული. განსხვავებით საქართველოს მიერ არჩეული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირებისგან, აღნიშნული მექანიზმი ნაკლებ სირთულეებთან, ხარჯებთანა და ბაზარზე ჩარევასთან არის დაკავშირებული. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის გამართულად ფუნქციონირებისთვის შემოთავაზებული გზა ითვალისწინებს მიზნის მიღწევის განსხვავებულ მექანიზმს, ორგანიზებული ბაზრების ოპერირების ალტერნატიულ გზას, ბაზრების დაწყვილების რეალურ შესაძლებლობას ბაზრის მონაწილეებზე ნაკლები ზეწოლისა და ნაკლები დანახარჯის გაწევის გზით.

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე 2006 წლის მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელების შემდეგ ჩამოყალიბდა და წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი - „ესკო“. არსებული ბაზრის მოწყობისა და საკანონმდებლო რეგულირების ფონზე „ესკო“ ახორციელებდა და ახორციელებს ბაზრის დაბალანსებისა და შეკვრის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მსგავსი მოდელით არსებობის პრაქტიკა, როგორც უკვე ვნახეთ EUROPEX - ის მაგალითი, ევროპის ბევრ ქვეყანაში დღესაც არსებობს და გამართულად ფუნქციონირებს. შესაბამისად, აღნიშნული მოდელის შენარჩუნება მისი მეტად დივერსიფიკაციის მიზნით ბევრად გამართლებული იქნებდა, ვიდრე იმ გზის არჩევა, რომლითაც ახალმა ელექტროენერგეტიკულმა ბაზარმა უნდა განაგრძოს ფუნქციონირება.

ენერგეტიკული ბაზრის რეფორმა ითვალისწინებს ძლიერი ბაზრის ოპერატორის არსებობას ორგანიზებული ბაზრების გამართულად ფუნქციონირებისთვის.

რეფორმის განხორციელებამდე საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი მხოლოდ სამი სახის ელექტროენერგეტიკულ ბაზარს ითვალისწინებდა, ესენია ორმხრივი ხელშეკრულების ბაზარი, საბალანსო ელექტროენერჯის ბაზარი და გარანტირებული სიმძლავრის ბაზარი. ელექტროენერგეტიკული ბაზრების გამართულად ფუნქციონირებას, მათ ურთიერთკავშირსა და ფინანსურ ანგარიშსწორებას „ესკო“ - როგორც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ახორციელებდა და დღეის მდგომარეობითაც ახორციელებს. ბაზრის ლიბერალიზაციისა და კონკურენციის ამაღლების კუთხით საჭიროებას წარმოადგენს ბაზრების სეგმენტების დივერსიფიკაცია და ისეთი ორგანიზებული ბაზრების ჩამოყალიბება როგორებიც არის დღით ადრე და დღიური ელექტროენერჯის ბაზარი. რაც შეეხება საბალანსო ელექტროენერჯის ბაზარს ის საქართველოში წლების გამავლობაში ფუნქციონირებდა, თუმცა ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრების პრაქტიკიდან და „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროებას წარმოადგენს მისი ტრანსფორმაცია და რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული ბაზრის სეგმენტების ოპერირებისთვის ესკოს გააჩნია, როგორც ტექნიკური, ასევე პროფესიული და მატერიალური შესაძლებლობა. სწორედ, ის უწევდა წლების განმავლობაში ელექტროენერგეტიკულ ბაზარს ოპერირებას და უზრუნველყოფდა ელექტროენერგეტიკული ბაზრის გამართულ და საიმედო ფუნქციონირებას.

საქართველოს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ ახალი კანონის ნორმების თანახმად ბაზრის ოპერატორის საქმიანობები მოიცავს: ელექტროენერგეტიკული ბაზრების ორგანიზებას, ანგარიშების მომზადებას, საოპერაციო და ფინანსური გეგმების შემუშავებას, მონაცემთა ბაზის ინფორმაციის შენახვას, ელექტროენერჯის ბაზრის წესების შესაბამისად ხელშეკრულებების და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ მონაცემების აღრიცხვას, საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ ელექტროენერჯის ყიდვა - გაყიდვის გრაფიკების მომზადებას დღით ადრე

ბაზარზე ელექტროენერჯის ყიდვა - გაყიდვიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად, გადაცემის სისტემის შესაბამისი ოპერატორისთვის ელექტროენერჯის ყიდვა - გაყიდვის შესახებ შესაბამისი გრაფიკების დროულ წარდგენას, ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეების რეგისტრაციასა და შესაბამისი რეესტრის წარმოებას, ელექტროენერგეტიკული ბაზრის შეუფერხებელი ორგანიზებისა და ელექტროენერგეტიკული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის გამოქვეყნებას.¹⁹ ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციების აბსოლუტურ უმრავლესობას „ესკო“, როგორც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი დღესაც ახორციელებს. შესაბამისად, ბაზარზე ახალი დამოუკიდებელი სუბიექტის გაჩენა, რომელიც ბაზრის ოპერატორის ფუნქციების შესრულებას განახორციელებს საფუძველს მოკლებულია. გარდა ამისა, „ესკო“ - სთვის საბითუმო საჯარო მომსახურების გამწევი ორგანიზაციის როლის დაკისრება, მისი ბაზრის ოპერირების გამოცდილებიდან გამომდინარე არ არის გამართლებული [74].

„ესკო“ - როგორც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ახორციელებს საბითუმო ელექტროენერჯის ბაზრის ანგარიშსწორებას და აბალანსებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მუშაობას. ამ მიზნით ესკო განსაზღვრავს ელექტროენერჯის მოცულობებს, ახდენს საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობისა და ფასის გაანგარიშებას, საბალანსო ელექტროენერჯის ფასის ფორმირებას და ფინანსურ ანგარიშსწორებას. აღნიშნული ფუნქციები სრულად შეესაბამება დელეგირებული ბაზრის ოპერატორის მიერ განხორციელებულ ფუნქციებს და წარმოადგენს ევროპის ქვეყნებში დანერგილ აპრობირებულ პრაქტიკას.

ახალი საკანონმდებლო ბაზის შემუშავების პროცესში საჭირო იყო „ესკო“ - ს, როგორც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ლიცენზირება ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მიერ და მისთვის

¹⁹ საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, მუხლი 122 ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ფუნქციები

ელექტროენერგეტიკული ორგანიზებული ბაზრების ოპერირების უფლებამოსილების მინიჭება. აღნიშნული ლიცენზიის მოსაპოვებლად, ელექტროენერგეტიკულ ბაზრის ოპერატორს ბაზრების დივერსიფიკაციის და ახალი ბაზრის სეგმენტების ჩამოყალიბების პროცესში მოუწევდა ელექტროენერგიით ვაჭრობის პლატფორმის ჩამოყალიბება, თუნდაც თურქეთის რესპუბლიკის მაგალითის გათვალისწინებით. რეალურად, „ესკო“ - ს ელექტრონული საიტის ბაზაზე უკვე შემუშავებული აქვს დღით ადრე და საბალანსო ბაზრის პლატფორმები, რომლებიც ბაზრის მონაწილეებს საშუალებას აძლევთ ივაჭრონ თავისი მოთხოვნების შესაბამისად და ოპტიმალურად დააბალანსონ თავისი პორტფელები.

ერთადერთ დაბრკოლებას და „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნებთან შეუსაბამობას „ესკო“ - სთვის წარმოადგენს მისი ჩართულობა ელექტროენერგიის ვაჭრობის საქმიანობაში. კანონმდებლობა და „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნები ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორს არ აძლევს უფლებას ივაჭროს ელექტროენერგიით. აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, საჭიროა „ესკო“ - ს ბაზრის ოპერირების საქმიანობებისგან ელექტროენერგიით ვაჭრობის საქმიანობების გამოყოფა. კონკრეტულად კი, ძველი კანონმდებლობისა და ჯერ კიდევ მოქმედი ბაზრის მოწყობის თანახმად „ესკო“ - ს მნიშვნელოვან, თუმცა ბაზრის ოპერატორისთვის, სპეციფიურ ფუნქციას წარმოადგენს იმპორტ - ექსპორტის განხორციელება და განახლებადი ენერჯის წარმოებისგან გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების (PPA) საფუძველზე ელექტროენერგიის შესყიდვა. იმისათვის, რომ „ესკო“ - მ როგორც ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობის მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილოს საკმარისი იყო აღნიშნული ფუნქციების გამოყოფა ბაზრის ოპერირების საქმიანობებისგან [76].

გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვანია ბაზრის აღნიშნული სეგმენტების ეტაპობრივი ამოქმედება, რათა ბაზრის სრულად გახსნამ არ გამოიწვიოს ელექტროენერგიაზე ფასების უეცარი გაზრდა, ისე როგორც ეს მაგალითად უკრაინაში მოხდა.

ორგანიზებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერირებისთვის ბაზრის ოპერატორის უმნიშვნელოვანეს და უპირობო ფუნქციას წარმოადგენს ელექტროენერგიაზე განხორციელებული გარიგებების დასრულების შედგომ ანგარიშსწორების განხორციელება. „ესკო“, თავისი ფუნქციამოვალეებიდან გამომდინარე, ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ერთადერთი საწარმოა, რომელსაც გააჩნია ანგარიშსწორების ერთიანი ბაზა, ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელება ხდება ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ვაჭრობის შედეგების შეგროვების შემდეგ. აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა „ესკო“ - ს მიერ შემუშავებული ელექტროენერჯის სავაჭრო პლატფორმა. ანგარიშსწორების პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით „ესკო“ თანამშრომლობს საბანკო სექტორთან, რათა ტრანზაქციები ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე შეუფერხებლად ხორციელდებოდეს. „ესკო“ - ს აქვს ფინანსური რისკების მართვის პრაქტიკული მრავალწლიანი გამოცდილება. სწორედ, რომ ერთად აღებული ყველა ეს ასპექტი უზრუნველყოფს ორგანიზებული ბაზრების გამართულად ფუნქციონირებას. გარდა ყოველივე ზემოხსენებულისა, „ესკო“ - ს გააჩნია ელექტროენერჯის ბაზრის ორგანიზებისთვის საჭირო ტექნიკური აღწურვილობა და ჰყავს კვალიფიციური კადრები, რომლებიც წლების განმავლობაში უზრუნველყოფდნენ საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ევროპის ქვეყნებში მოქმედი ბაზრის მოწყობის მექანიზმების ანალიზით, საქართველოს ბაზრის მოდელის სპეციფიკის მხედველობაში მიღებით შეიძლება ითქვას რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სამიზნე მოდელის ჩამოყალიბებისკენ არჩეული გზა საკმაოდ რთული და კომპლექსურია. გაცილებით უპრიანი იქნებოდა, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაცია არსებული რესურსის გამოყენებით.

დასკვნა

1. საქართველოს მიერ „ასოცირების ხელშეკრულების“ ხელმოწერითა და „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანებით გამოიკვეთა საქართველოს არსებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის შეუსაბამობა „მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან“, შესაბამისად აღებული ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაცია.
2. „ენერგეტიკული გაერთიანებისა“ და ევროკავშირის ქვეყნების კონკრეტულად კი, უკრაინისა და ხორვატიის ელექტროენერგეტიკული ბაზრების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ რეფორმამ, განსაკუთრებით უკრაინაში, ელექტროენერგეტიკული ბაზარი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების პროცესში გასათვალისწინებელია ხსენებული ქვეყნების გამოცდილება და ის სირთულეები, რომლებსაც ისინი წააწყდნენ რეფორმის პროცესში და მის შემდგომ.
3. საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირების კომპლექსურობიდან გამომდინარე, საჭიროებას წარმოადგენს ახალი ბაზრის მოდელის ამოქმედების მინიმუმ ორი წლით გადავადება. აღნიშნული ბაზრის მონაწილეებს საშუალებას მისცემს უკეთ გაერკვიონ ახალი ბაზრის მოდელის სპეციფიკაში, მოემზადონ ბაზრის გახსნისთვის და წარმოდგენა იქონიონ ბაზრის გახსნის შედეგებზე. თუმცა, აუცილებლობას წარმოადგენს ახალი ბაზრის მოდელის ტესტირების რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, ელექტროენერჯის ბაზრის კონკურენტულ მოდელზე გადასვლის სირთულეების აღმოსაფხვრელად.
4. საქართველოს ელექტროენერჯის ახალი კონკურენტული ბაზრის მოდელის ჩამოყალიბებისა და გამართულად ფუნქციონირებისთვის,

საქართველოს ბაზრის სპეციფიკიდან და მისი სირთულიდან გამომდინარე, საჭირო იქნება მინიმუმ ორ წლიანი გარდამავალი პერიოდი, რომლის ფუნქციონირებაც აუცილებელია, მანამ სანამ, ბაზრის ყველა მონაწილე არ მოერგება ახალ სავაჭრო სტრუქტურას, არ მოხდება ახალი მოდელის მიხედვით ვაჭრობის შედეგების დეტალურად გაანალიზება და ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზრებზე ფორმირებული სავაჭრო ფასის დასტაბილურება. აღნიშნული გარდამავალი პერიოდი საჭიროა, რათა არ მოხდეს როგორც საბითუმო ბაზრის მონაწილეებისთვის, ასევე საცალო ბაზრის მონაწილეებისთვის ელექტროენერჯის ტარიფის ნახტომისებური ზრდა, რაც თავისთავად მძიმე ტვირთად დააწვება, როგორც მომხმარებლებს ასევე ქვეყნის ეკონომიკას.

5. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის კონკურენტულ მოდელზე გადასვლის წინაპირობების მოსაწესრიგებლად საჭიროებას წარმოადგენს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების“ შესახებ საქართველოს კანონსა და „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციაში“ შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს სპეციფიკაზე მორგებულ ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის ჩამოყალიბებას.
6. „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციით“ განსაღვრული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მფლობელი სადგურების ორგანიზებულ ბაზარზე შეშვებისა და აფხაზეთის მოხმარებისთვის ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზრებზე შესყიდვის შესახებ, გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანამდე, აღნიშნული გადაწყვეტილების ტარიფზე გავლენის შეფასება და შესაბამისი გაანგარიშებების განხორციელება კომპეტენტური უწყებების, მეცნიერ - მკვლევარებისა და დარგის სპეციალისტების მიერ.
7. მიღებული გადაწყვეტილებების და ჩამოყალიბებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის ფონზე მოქმედ

ელექტროენერგეტიკულ ბაზრის ოპერატორის - „ესკო“ - ს დაეკისრა WPSO - ს ფუნქციები და ჩამოერთვა ბაზრის ოპერირების ფუნქცია მოვალეობები, თუმცა ახალი ბაზრის მოდელის განხილვამ და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის „ესკო“ - ს როლმა, დღევანდელი ელექტროენერგეტიკული ბაზრის გამართულად ფუნქციონირებაში, გამოკვეთა მისი, როგორც ბაზრის ოპერატორის როლის გაძლიერების საჭიროება.

8. Europex – ის მაგალითის განხილვამ, ნათლად დაგვანახა რომ დელეგირებული ბაზრის ოპერატორის ინსტიტუტი ევროპის ბევრ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს და სრულად აკმაყოფილებს „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნებს. შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინებით, საჭიროებას წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის „ესკო“ - ს, როგორც Europex - ის სრულფასოვანი წევრის გამოცდილებისა და რესურსის გამოყენება და მის ბაზაზე არსებული სავაჭრო პლატფორმის განვითარება.
9. მოყვანილი ფაქტებისა და განხილული მაგალითების გათვალისწინებით ცხადია, რომ ელექტროენერგეტიკული რეფორმის განხორციელება მოკლევადიან პერსპექტივაში ტარიფების შემცირების ნაცვლად მათ გაზრდას გამოიწვევს, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან, საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად. ასევე აუცილებლობას წარმოადგენს, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ტარიფის ზრდისგან დაცვის მიზნით სამეცნიერო - ტექნოლოგიური და მენეჯერული პროცესების განვითარება, საჭირო მექანიზმის შემუშავებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩომახიძე დ. საქართველოს ენერჯეტიკა ეკონომიკა, რეგულირება, ტერმინოლოგია, სტატისტიკა. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014, გვ. 6-15.
2. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, დანართი 25 - „ენერჯეტიკა“, №200/42, 480610000.03.030.016275. ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან.
3. <https://www.energy-community.org/legal/treaty.html>; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
4. <https://www.energy-community.org/legal/treaty.html> Treaty establishing Energy Community, CHAPTER VII – THE ADAPTATION AND EVOLUTION OF THE ACQUIS. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
5. <https://www.energy-community.org/>; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
6. [http://europa.eu/rapid/press-release MEMO-11-125_en.htm?locale=en](http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-11-125_en.htm?locale=en); უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
7. https://ec.europa.eu/energy/topics/markets-and-consumers/market-legislation/third-energy-package_en უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
8. https://ec.europa.eu/energy/sites/default/files/documents/2010_01_21_the_unbundling_regime.pdf; EUROPEAN COMMISSION. Brussels, 22 January 2010, COMMISSION STAFF WORKING PAPER, THE UNBUNDLING REGIME. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
9. https://ec.europa.eu/energy/sites/default/files/documents/sec_2009-642.pdf COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES. Brussels, 6.5.2009 SEC(2009)642 final. COMMISSION STAFF WORKING PAPER, Commission staff working document on Article 22 of Directive 2003/55/EC concerning common rules for the internal market in natural gas and Article 7 of Regulation (EC) No 1228/2003 on conditions for access to the network for cross-border exchanges in electricity. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
10. https://ec.europa.eu/energy/sites/default/files/documents/2010_01_21_the_regulatory_authorities.pdf EUROPEAN COMMISSION. Brussels, 22 January 2010,

COMMISSION STAFF WORKING PAPER, THE REGULATORY AUTHORITIES. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

11. https://ec.europa.eu/energy/sites/default/files/documents/2010_01_21_retail_markets.pdf; EUROPEAN COMMISSION. Brussels, 22 January 2010, COMMISSION STAFF WORKING PAPER, RETAIL MARKETS. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

12. <http://energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energetikuli%20Gaertianebis%20D amfudznebel%20Khelshekrulebastansakartvelos%20Sheertebis%20Shesakheb%20 Okmi%201454%20geo.pdf> ; „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან შეერთების ოქმი, დანართი; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

13. წურწუშია თ. ჯანელიძე ს. „ენერგეტიკის გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების ოქმით განსაზღვრული ვალდებულებები ენერგეტიკის დარგში“. თბილისი: 2019, გვ. 29-32.

14. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმის დამტკიცების შესახებ“. თბილისი, 13.11.2020, № 682.

15. WEG – World Experience for Georgia; „ენერგეტიკის სექტორში 2014 წელს მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შეფასება“. თბილისი: 2014 წ. გვ. 1-2.

16. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2014 წლის წლიური ანგარიში: კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და შედეგები. თბილისი: 2014, გვ. 10-11.

17. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2018 წლის საქმიანობის ანგარიში: ელექტროენერგეტიკული ბაზარი; მარეგულირებელი ჩარჩოების განვითარება, გვ. 16-17.

18. საქართველოს მთავრობის დადგენილება „ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, თბილისი, 25.03.2019 წ. №144

19. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2019 წლის საქმიანობის ანგარიში: ელექტროენერგეტიკული ბაზარი; თბილისი: გვ. 17-18.
20. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2020 წლის საქმიანობის ანგარიში: ელექტროენერგეტიკული სექტორი; თბილისი: გვ. 27-30.
21. <https://esco.ge/kvalifitsiuri-satsarmoebi/direct-customers>;
<https://esco.ge/kvalifitsiuri-satsarmoebi/wholesale-supplier> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
22. გალთ & თაგარტი. „ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა“; ენერგეტიკა. თბილისი: 2019 წლის 8 თვე; 03.10.2019წ. გვ. 1-2.
23. <https://esco.ge/energobalansi/by-year-1/elektroenergiis-balansi-2019> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
24. <https://esco.ge/energobalansi/by-year-1/elektroenergiis-balansi-2020> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
25. https://esco.ge/files/data/Electricity/0_Balancing/Tariff_2019_geo.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
26. https://esco.ge/files/data/Electricity/0_Balancing/Tariff_2020_geo.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
27. https://esco.ge/files/data/Capacity/0_Source/uzrunvelyofili_2019_geo.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
28. https://esco.ge/files/data/Capacity/0_Source/uzrunvelyofili_2020_geo.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
29. <https://www.energy-community.org/aboutus/howweare.html>; Ukraine, Contracting Party, Day of accession - 1 February 2011. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
30. <http://www.fao.org/faolex/results/details/en/c/LEX-FAOC175118/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
31. <https://snriu.gov.ua/en/main-page/about-inspectorate/about-snriu> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

32. <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Snapshot-of-Ukraines-Energy-Sector-EN.pdf>; Snapshot of Ukraine's Energy Sector: Institutions, Governance and Policy Framework; Energy Sector Regulatory Framework, Governance and Policy Framework, p. 20-21. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
33. <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Snapshot-of-Ukraines-Energy-Sector-EN.pdf>; Snapshot of Ukraine's Energy Sector: Institutions, Governance and Policy Framework; Energy Sector Regulatory Framework, Governance and Policy Framework, p. 29-31. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
34. <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Snapshot-of-Ukraines-Energy-Sector-EN.pdf>; Snapshot of Ukraine's Energy Sector: Institutions, Governance and Policy Framework; Energy Sector Regulatory Framework, Governance and Policy Framework, p. 31-33. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
35. <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Snapshot-of-Ukraines-Energy-Sector-EN.pdf>; Snapshot of Ukraine's Energy Sector: Institutions, Governance and Policy Framework; Energy Sector Regulatory Framework, Governance and Policy Framework, p. 32-34. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
36. <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Snapshot-of-Ukraines-Energy-Sector-EN.pdf>; Snapshot of Ukraine's Energy Sector: Institutions, Governance and Policy Framework; Energy Sector Regulatory Framework, Governance and Policy Framework, p. 33-36. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
37. <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Snapshot-of-Ukraines-Energy-Sector-EN.pdf>; Snapshot of Ukraine's Energy Sector: Institutions, Governance and Policy Framework; Energy Sector Regulatory Framework, Governance and Policy Framework, p. 35-37 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
38. <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Snapshot-of-Ukraines-Energy-Sector-EN.pdf>; Snapshot of Ukraine's Energy Sector: Institutions, Governance and Policy Framework; Energy Sector Regulatory Framework, Governance and Policy Framework, p. 36-39 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
39. <https://en.interfax.com.ua/news/economic/604266.html>

<https://kosatka.media/en/category/elektroenergiya/news/garantirovannyi-pokupatel-podal-v-sud-na-ukrenergo> „გარანტირებული მიიღველის“ წარმომადგენლების სარჩელი „უკრენერგოს“ წინააღმდეგ; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

40. <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/Snapshot-of-Ukraines-Energy-Sector-EN.pdf>; Snapshot of Ukraine's Energy Sector: Institutions, Governance and Policy Framework; Energy Sector Regulatory Framework, Governance and Policy Framework, p. 39-41 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

41. <https://energy-community.org/implementation/Ukraine.html> „Energy Community – Annual Implementation Report“ – Ukraine 2020; p. 5-9 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

42. https://www.lowcarbonukraine.com/wp-content/uploads/20200922_MEMO_5_ENG.pdf Monitoring of Electricity Market Opening – First year in review; p.15-17. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

43. <https://www.hep.hr/about-hep-group/2502> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

44. <https://www.ina.hr/en/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021წ.

45. <https://www.cropex.hr/en/> CROATIAN POWER EXCHANGE Ltd. (CROPEX); უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

46. <https://www.hops.hr/en/croatian-power-system> „ხორვატიის ენერგეტიკული სისტემა“ - Croatian Power System; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

47. <https://www.mdpi.com/1996-1073/11/2/346/htm> „Electricity Market Design in Croatia within the European Electricity Market“-Recommendations for Further Development; p. 5-7. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 14.06.2021 წ.

48. <https://www.hrote.hr/market-model> „Market model“; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021წ.

49. <https://www.mdpi.com/1996-1073/11/2/346/htm> „Electricity Market Design in Croatia within the European Electricity Market“ - Recommendations for Further Development; p.6-8. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021წ.

50. <https://www.hrote.hr/market-model> უკანასკნელად იქნა
გადამოწმებული 14.06.2021 წ.
51. <https://www.hrote.hr/market-participants>; უკანასკნელად იქნა
გადამოწმებული 14.06.2021 წ.
52. <https://www.hrote.hr/market-model> „Market model“; უკანასკნელად იქნა
გადამოწმებული;
53. <https://www.mdpi.com/1996-1073/11/2/346/htm> „Electricity Market
Design in Croatia within the European Electricity Market“-Recommendations for
Further Development; p.6-9. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული
14.06.2021 წ.
54. <https://www.mdpi.com/1996-1073/11/2/346/htm> „Electricity Market
Design in Croatia within the European Electricity Market“-Recommendations for
Further Development; p.11-13. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული
14.06.2021 წ.
55. <https://www.mdpi.com/1996-1073/11/2/346/htm> „Electricity Market
Design in Croatia within the European Electricity Market“-Recommendations for
Further Development; p.11-14. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული
14.06.2021 წ.
56. <http://lawjournal.ge/index.php/4824468-2/> გაწერელია ა., ბარსონიძე თ.
„ელექტროენერჯით ვაჭრობა ორგანიზებულ ბაზარზე საქართველოში“
(შედარება ევროპულ გამოცდილებასთან); თბილისი: შედარებითი
სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 11/2020, გვ. 13-14.
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
57. საქართველოს კანონი „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“.
№5646-რს, 300280000.05.001.019734. თბილისი, 27.12.2019 წ.
58. „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2020 წლის საქმიანობის ანგარიში:
ელექტროენერჯეტიკული სექტორი; 2.1. ელექტროენერჯეტიკული ბაზრის
ტრანსფორმაცია. თბილისი: გვ. 30-32.
59. <http://lawjournal.ge/index.php/4824468-2/> გაწერელია ა. ბარსონიძე თ.;
„ელექტროენერჯით ვაჭრობა ორგანიზებულ ბაზარზე საქართველოში“
(შედარება ევროპულ გამოცდილებასთან); თბილისი: შედარებითი
სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 11/2020. გვ.14-17.
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

60. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება სს „საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაზე“ ელექტროენერჯის ბაზრის ოპერირების ლიცენზიის გაცემის შესახებ. N39/2, თბილისი, 28.05.2020 წ.
61. <https://genex.ge/ka/TabbedPage/Index/60?pageId=60&parent=63&activeMenu=144&activeChild=0> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
62. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“. №46, 300300000.16.009.016398. თბილისი, 20.08.2020 წ.
63. <http://lawjournal.ge/index.php/4824468-2/> გაწერელია ა. ბარსონიძე თ.; „ელექტროენერჯით ვაჭრობა ორგანიზებულ ბაზარზე საქართველოში“ (შედარება ევროპულ გამოცდილებასთან); თბილისი: შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 11/2020. გვ.16-18. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
64. საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ საქართველოში განახლებადი ენერჯის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“. №107, 300.280.020.10.003.001.051. თბილისი, 22.04.2008 წ.
65. საქართველოს მთავრობის დადგენილება „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის“ შესახებ. №246, 300280000.10.003.021958. თბილისი, 16.04.2020 წ.
66. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“. №77, 300.300.000.22.025.009.162. თბილისი, 31.08.2009 წ.
67. <https://www.nordpoolgroup.com/globalassets/download-center/single-day-ahead-coupling/euphemia-public-description.pdf> „EUPHEMIA - Public Description, Single Price Coupling Algorithm“; pg. 5-7. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
68. http://mcm.ge/82121/?fbclid=IwAR2aiacHv04cBg5t5sv9YWqqMOy22ampyeIcSVSbcs7gDcCHy_EVwPhhiQo „ენერგეტიკაში არსებული ტარიფების ცვლილების მიზეზ - შედეგობრივი ასპექტები ანუ ისმინე სრულიად საქართველო“; ჩომახიძე დ. თბილისი. 18.01.2021 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.

69. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32011R1227&from=EN> „EU Regulation on Wholesale Energy Market Integrity and Transparency (REMIT)“; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
70. <https://www.europex.org/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
71. <https://www.europex.org/about/association/#who> Europex, „Who are we; Our Mission“; უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.06.2021 წ.
72. „Electricity market functions – short overview and description Online capacity-building material; EU4 Enerty, Energy Community“. March 2020. Pg.4-5.
73. „The Essential Tasks of Delegated Operators in the Electricity Market“. Overview Paper (Update). Pg. 1-2.
74. მაჭავარიანი მ. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ტრანსფორმაცია და მისი ამოცანები საქართველოს ახალი ელექტროენერგეტიკული ბაზრის პირობებში. „ენერჯია“, 2020, №4(96), გვ. 5 - 15.
75. მაჭავარიანი მ. ლომსაძე-კუჭავა მ. საქართველო და მისი განახლებადი ენერჯის პოტენციალი „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანების შედეგად. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2018, №01-02, გვ. 156 - 161.
76. მაჭავარიანი მ. Key challenges of Georgia’s Electricity Market. „ენერჯია“, 2020, №4(96), გვ. 16-22;
სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის რეგულარული ინტერნეტ გამოცემა Energyonline, (EOL). 2020, №1(14).
<http://www.energyonline.ge/issue14/stat-Machavariani-engl.pdf>
77. მაჭავარიანი მ. მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნებიდან გამომდინარე საქართველოში განსახორციელებელი ე.წ. „Unbundling“-ის რეფორმა. მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ - მოხსენებების კრებული. აწსუ, ქ. ქუთაისი 26 ოქტომბერი, 2018 წ. გვ. 171-174.